პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 იანვარი **სამშაბათი** 2013 №022 (13 938) ფასი 80 თეთრი

# ჯერ დროგბა, ახლა მანუჩარი




## მარკოიშვილმა გალათასარაისთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სტამბოლში ჩავიდა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინისტრთან დაბარებულები




## ზვიად სიჭინავა

**2020 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა ჩვენც გვსურს და ვფიქრობ, შანსი 50/50-ზეა...**

## რევაზ არველაძე

**რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით შეთანხმება გაგვიჭირდება. არჩევნები 2015 წელს არის გასამართი და მსურველებმა მაგ დროს უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა...**



პრესკონფერენცია ფეხბურთის ფედერაციაში

2

## ბრუკლინმა თორნიკე დაიბრუნა, მაგრამ...

ქართველს ტვინის შერყევის ნიშნები აქვს და მისი მოედანზე გასვლის თარიღი უცნობია

საკალათბურთო ამბები 13



## ნეიმარი: 2013 წელს ყველაფერი უნდა მოვიგო

9

# ჰოლტბი ლონდონელია




გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ლუის ჰოლტბი** „ტოტენჰემს“ არა ზაფხულიდან, არამედ, ახლავე შეუერთდება - ლონდონურმა კლუბმა „შალკესთან“ შეთანხმებას მიაღწია და 22 წლის ნახევარმცველი „ნისლიან ალბიონზე“ მიდის.

დღეს ჰოლტბი ლონდონში ჩავა, რათა ტრანსფერს საბოლოოდ დაესვას წერტილი. „ტოტენჰემს“ **სანდროს** ტრავმის შემდეგ, ჰოლტბი იანვარშივე დასჭირდა, თუმცა გერმანული კლუბი აქამდე უარზე იყო. საბოლოოდ, გელზენკირხენელები დათანხმდნენ „ტოტენჰემის“ 1,5-მილიონიან (ფუნტებში) წინადადებას და პირობას, რომ წლეულს ამხანაგური მატჩის გასამართავად ეწვევიან „შალკეს“.

სხვათა შორის, სანახევროდ ინგლისელი (მამა ინგლისელი ჰყავს) ჰოლტბი, ინგლისის ნაკრების, „ევერტონისა“ და **დევიდ ბექჰემის** თავგადაკლული ფანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინგლისში XXIV ტური

## დღეს სიტი იწყებს, ხვალ ცენტრალური მატჩია

# არსენალი VS ლივერპული

ტურის წინათქმა 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პრესკონფერენცია ფეხბურთის ფედერაციაში

# ფედერაცია უეფადან დაბრუნდა და მინისტრთან დაიბარეს

## შეხვედრას მინისტრის მეგობრებიც დაესწრნენ
## ვინ და როგორ უმიზნებს პრეზიდენტობას?

**გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს. ჟურნალისტების წინაშე წარდგნენ ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, გენერალური მდივანი რევაზ არველაძე, საპატიო ვიცე-პრეზიდენტი მურთაზ ხურცილავა და ვიცე-პრეზიდენტი გია ფირცხალავა.**

**პრესკონფერენცია დანიშნულ დროზე გვიან დაიწყო, მიზეზიც შევიტყვეთ: ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან იყო დაბარებული.**

**პრესკონფერენცია ფაქტობრივად ორ ნაწილად დაიყო. პირველი ნაწილი პრეზიდენტის და გენერალური მდივნის უეფაში ვიზიტს მოიცავდა, მეორე და ძალიან საინტერესო ნაწილი კი სპორტის სამინისტროში გამართულ შეხვედრას.**



მარცხნიდან: გია ფირცხალავა, მურთაზ ხურცილავა, ზვიად სიჭინავა, რევაზ არველაძე
ფოტო: www.msy.gov.ge

**ზვიად სიჭინავა:** უეფას ღონისძიებაზე გახლდით, ჩვენთვის საინტერესო საკითხებს შევეხეთ: ტექნიკური სპონსორი, მწვრთნელთა განათლება და კიდევ სხვა თემები.

**რევაზ არველაძე:** ფიფას წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხზე ამ ორგანიზაციის ყველა კონტინენტური კონფედერაცია მუშაობს. ცვლილებები უნდა შევიდეს ფიფას პრეზიდენტის და აღმასკომის არჩევის წესებში. უეფასთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ყოველივესთან დაკავშირებით ერთიანი, კონსოლიდირებული პოზიციის დაფიქსირება. იყო შენიშვნები ცალკეულ დეტალებზე, თუმცა თითქმის ერთსულოვანი პოზიციის დაფიქსირება მაინც მოხერხდა უეფას 53 წევრ ასოციაციას შორის. ალბათ ასევე მოხდება ფიფას სხვა კონფედერაციებშიც.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიეღო იმის უფლება, რომ მწვრთნელებისთვის პროლიცენზიის კურსების გამართვა და დიპლომირება განეხორციელებინა. ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და ამიერიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შევიდა იმ ქვეყნების სიაში, პროლიცენზიის გაცემა რომ შეუძლიათ. ეს იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ქართველმა მწვრთნელმა მშობლიურ ენაზე მიიღოს პროლიცენზიისთვის საჭირო განათლება, ეს უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე სხვა ქვეყანაში გამგზავრება და პროლიცენზიის აღება.

მომდევნო საკითხი იყო „ადიდასთან“ ურთიერთობა. ამ პროცესში უეფა გვიწევს ასისტენტობას. მომდევნო შესარჩევი ციკლიდან საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებები „ადიდასის“ ნაწარმით შეიმოსებიან, დანარჩენი ნაკრებებისთვის კი ეკიპირების შეძენა მოგვიწევს.

სექტემბერში ხორვატიაში გაიმართება უეფას წევრი ასოციაციების პრეზიდენტებისა და გენმდივნების შეხვედრა და მოეწყობა დიდი განხილვა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე. არის აზრი, რომ ფინალი და ნახევარფინალები ერთ ქალაქში გაიმართოს, ცხადია, ეს ქალაქი ტურნირის მთავარი მასპინძელი იქნება.

**- რა შანსი აქვს საქართველოს, ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი რომ გახდეს?**

**ზვიად სიჭინავა:** 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა ჩვენც გვსურს და ვფიქრობ, შანსი 50/50-ზეა. ევროპის ჩემპიონატს 60 წელი უსრულდება, ევროპული ფეხბურთის ზეიმია და ძალიან გვინდა, რომ ამაში ჩვენც ვიყოთ ჩართული. 1960 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ქართველმა ფეხბურთელებმაც ითამაშეს, დიდი წვლილი შეიტანეს ნაკრების წარმატებაში და ვფიქრობ, ამის გათვალისწინებითაც გვეკუთვნის თბილისში თუნდაც ერთი მატჩის ჩატარება 2020 წლის ჩემპიონატზე. გვაქვს სტადიონი, მაგრამ სხვა ფაქტორებიც არის გასათვალისწინებელი, მაგალითად, სასტუმროების საკითხი - ათეულ ათასობით გულშემატკივარს დაბინავება ხომ სჭირდება? მათი მგზავრობაც შეუფერხებლად უნდა მოხდეს. ერთი სიტყვით, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი ჩვენც ვიყოთ. 1960 წლის ფინალი ვახსენე და თუ რუსეთსაც მოუნდება ჩემპიონატის მასპინძლობა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი რუსეთში იმართება და 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის თანმასპინძლობა ჩვენ უფრო გვეკუთვნის. წარმატებული ქვეყნები ამ შემთხვევაშიც ჩვენ წინ არიან, სასტუმროების და აეროპორტის ფაქტორი მათ ასეთ დროს დიდ უპირატესობას უქმნის, ასეთი სერიოზული ტურნირის ორგანიზებაც მალევე შეუძლიათ, ჩვენთან კი გარკვეული სამუშაოები იქნება ჩასატარებელი.

**რევაზ არველაძე:** ერთ-ერთ შვეიცარიულ ბანკთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. ლაპარაკია 2-პროცენტიან კრედიტზე, უეფა აქ მესამე მხარეს წარმოადგენს. გვსურს, რომ ქართული ფეხბურთისთვის სასარგებლო პროექტი განვახორციელოთ, სიტყვიერი შეთანხმება ამ ყველაფერზე უკვე არსებობს.

**- შევიტყვეთ, რომ აქ მოსვლამდე შეხვედრა გქონდათ სპორტის სამინისტროში. რა თემაზე ისაუბრეთ?**

**რევაზ არველაძე:** სპორტის მინისტრს შევხვდით მე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე და გია ფირცხალავა. შეხვედრას ესწრებოდნენ მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაულიც. განვიხილეთ ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე არჩევნების საკითხი. უწინდელი არჩევნების შედეგის ლეგიტიმურობა არ დგას ეჭვის ქვეშ უეფას და მის პრეზიდენტის, მიშელ პლატინის მხრიდან.

**- რა სტატუსით ესწრებოდნენ ამ შეხვედრას მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული?**

**რევაზ არველაძე:** ისინი არიან ყოფილი ფეხბურთელები, საქართველოს ნაკრების საკმაოდ კარგი მოთამაშეები და აღელვებთ ქართულ ფეხბურთის ბედი.

**- რა პოზიციაზეა რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით სპორტის მინისტრი და თუ არის შესაძლებელი მის პოზიციასთან შეთანხმება?**

**რევაზ არველაძე:** მინისტრის პოზიცია ალბათ ცნობილია თქვენთვის. ქართულ ფეხბურთში არის პრობლემები, მაგრამ რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით შეთანხმება გაგვიჭირდება. არჩევნები 2015 წელს არის გასამართი და ვისაც ფედერაციის პრეზიდენტობის სურვილი აქვს, მაგ დროს მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა.

**მურთაზ ხურცილავა:** მეგობრული შეხვედრა იყო, ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ. ფეხბურთის ფედერაციის დამოკიდებულება სწორია: მოვა დრო და ჩატარდება ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები.

**დავით თავართქილაძე**

● დილა



# ვალდას ივანაუსკასი: საქართველო მეორე სამშობლოდ მიმაჩნია

გორის "დილამ" საზოგადოებას ახალი მთავარი მწვრთნელი, ლიტველი **ვალდას ივანაუსკასი** წარუდგინა. ეს ღონისძიება გუშინ დილით სასტუმრო "თორის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართა. ივანაუსკასთან ერთად, მედიის წინაშე "დილას" კაპიტანი **დავით კვირკველია** წარსდგა.

**ვალდას ივანაუსკასი:** - მოხარული ვარ, რომ ჩემს პრესკონფერენციაზე ამდენი ჟურნალისტი მოვიდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოში ფეხბურთი ძალიან პოპულარულია. საქართველო ჩემს მეორე სამშობლოდ მიმაჩნია. ლიტველები და ქართველები ხომ ძალიან დიდი ხანია, ვმეგობრობთ და ამის გამო თქვენთან ყოფნა ძალიან მიხარია.

ქართული ფეხბურთის შესახებ საკმაო ინფორმაციას ვფლობ. მინახავს საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების თამაშები, გარკვეული წარმოდგენა მაქვს საქართველოს ჩემპიონატზეც. "დილას" რაც შეეხება, ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი მაქვს ნანახი და მაღალი დონის გუნდის შთაბეჭდილება დატოვა.

თურქულ შეკრებაზე ჩემი ახალი გუნდის შესახებ მაქსიმალურ წარმოდგენას შევიქმნი. დრო ცოტა გვაქვს, მაგრამ შევეცდებით, შეკრება ნაყოფიერად გამოვიყენოთ. სეზონს 22 თებერვალს, სუპერთასის მატჩით განვაახლებთ და იქაც და სხვა შეხვედრებშიც თავის საუკეთესო კუთხით წარმოჩენას შევეცდებით.

ცუდია, რომ "დილა" არაერთმა გამოცდილმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც თავის გამოჩენის საშუალება მიეცემათ. გუნდში რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე მაინც დარჩა და მათი დიდი იმედი მაქვს. მოხარული ვარ, რომ გუნდში დიდი კონკურენციაა".

**დავით კვირკველია:** - მიხარია, რომ "დილაში" ერთი კარგი მწვრთნელი მეორე არანაკლებ კვალიფიციურმა სპეციალისტმა შეცვალა. ივანაუსკასზე ბევრი კარგი რამ გვსმენია და იმედი მაქვს, "დილაშიც" გაამართლებს.

■ ■ ■

გუშინ "დილა" შეკრებაზე თურქეთის კურორტ ბელექში გაემგზავრა, სადაც 12 თებერვლამდე დარჩება.

■ ■ ■

ბოლოს კი 46 წლის ვალდას ივანაუსკასის მდიდარ ბიოგრაფიას მოკლედ გაგაცნობთ:

ფეხბურთელის კარიერა: "ჟალგირისი" (ლიტვა), ცსკა (რუსეთი), "ლოკომოტივი" (რუსეთი), "აუსტრია" (ავსტრია), "ჰამბურგი" (გერმანია).

უთამაშია სსრკ-ისა და ლიტვის ნაკრებებში.

სამწვრთნელო კარიერა: ლიტვის ეროვნული ნაკრები (მთავარი მწვრთნელის ასისტენტი), ლიტვის 21-წლამდელთა და 18-წლამდელთა ნაკრებები, "კაუნასი" (ლიტვა), "ჰართსი" (შოტლანდია), "კარლ ცაისი" (გერმანია), "ბანგა" (ლიტვა), "სტანდარტი" (აზერბაიჯანი), "შიაულაი" (ლიტვა).

**ლევან ჯანეზაშვილი**



დავით კვირკველია (მარცხნივ) და ვალდას ივანაუსკასი — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები

● ზესტაფონი

# კაჭარავას 24 რჩეული და სპარინგების სია

დღეს გამთენიისას "ზესტაფონი" თურქეთში გაემგზავრა, სადაც ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ სიდეში შეკრებას გაივლის. საქართველოს მოქმედი ჩემპიონის შემადგენლობაში თურქეთში წასვლამდე არაერთი გასასინჯი ფეხბურთელი ვარჯიშობდა, საბოლოოდ კი, გუნდის მთავარმა მწვთნელმა **კახა კაჭარავამ** უცხოური შეკრებისთვის შემდეგი 24 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები: **როინ კვასხვაძე, კახაბერ მეშველიანი, რომან ტურავა;**

მცველები: **თეიმურაზ ლონლაძე, გიორგი კაჭკაჭიშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, მალხაზ გაგოშიძე;**

ნახევარმცველები: **თორნიკე აფციაური, ალექსი ბენაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი, ლევან შარიქაძე; გურამ სამუშია, დავით რაჟამაშვილი, ვახტანგ ჭანტურიშვილი, იგორ იელიჩი, ავთო ენდელაძე, გიორგი ჭანკოტაძე, ლევან კუტალია, მიხეილ სარდალიშვილი;**

თავდამსხმელები: **რატი წინამძღვრიშვილი, ბოტი გოა დემელი, მოჰამედ რეკრუკი.**

როგორც სიიდან ხედავთ, სინჯებზე მყოფ ლეგიონერთაგან კაჭარავამ მხოლოდ ალჟირელი თავდამსხმელი **მოჰამედ რეკრუკი** დაიტოვა, ხოლო სერბი მცველი **სლავკო ჩულიბრკი** და კამერუნელი ნახევარმცველი **ოლივიე მუსიმა ებონგე** უკან გაბრუნდნენ.

"ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბი რამდენიმე ლეგიონერზე დაკვირვებას თურქეთშიც გეგმავს და ვნახოთ, დაბრუნდებიან თუ არა ფეროელები შეკრებიდან მორიგი ახალწვეულებით.



კახა კაჭარავა

ცნობილია ის კლუბებიც, რომლებთანაც "ზესტაფონი" თურქეთში საკონტროლო მატჩებს ჩაატარებს.

1 თებერვალს იმერლები აზერბაიჯანულ "ყარაბახს" გაეჯიბრებიან, რომელიც თავისი ქვეყნის ერთგზის ჩემპიონი და სამგზის თასის მფლობელია. "ყარაბახში" რამდენიმე წარმატებული სეზონი ჩაუტარებია ქართველ შემტევ **გიორგი ადამიას**.

3 თებერვალს "ზესტაფონის" მეტოქე ხოჟუვის "რუხი" იქნება, რომელიც ზაბჟეს "გურნიკთან" ერთად ყველაზე მეტჯერ, 14-ჯერ არის პოლონეთის ჩემპიონი.

5 თებერვალს მარგველები უკრაინულ "ვორსკლას" დაუპირისპირდებიან. "ზესტაფონი" პოლტაველებს ერთხელ უკვე შეხვედრია – 2009 წლის 21 იანვარს გამართული სპარინგი ქართველებმა **მურთაზ დაუშვილისა და ალექსი ბენაშვილის** გოლებით 2:1 მოიგეს.

ანატოლიაში მეოთხე შეხვედრას "ზესტაფონი" 9 თებერვალს პოლონურ "ლეხიასთან" გამართავს, ხოლო დასკვნითი ტესტ-მატჩი 12 თებერვლისთვის არის დანიშნული. ფეროელთა ბოლო მეტოქის ვინაობა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტალურგი

# ფიფია რუსთაველია



გოგი ფიფია

რუსთავის „მეტალურგმა“ ახალი ფეხბურთელი დაიმატა - 27 წლის **გოგი ფიფია.** კლუბმა და მოთამაშემ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ფიფია შემტევი გახლავთ, ბოლოს აზერბაიჯანულ „თურანში“ გამოდიოდა, მანამდე „ზესტაფონში“ თამაშობდა, სხვა ქართულ კლუბებშიც ასპარეზობდა. ტექნიკური ფეხბურთელია, ბურთის ფლობასა და დრიბლინგში ბევრი ვერ შეედრება.

„მეტალურგმა“ ამ საშუასეზონო პერიოდში საკონტროლო მატჩიც ითამაშა, პირველლიგელი სტუ 5:0 დაამარცხა. **კორღალიძემ** დუბლი შეასრულა, **საჯაიამ, სიხარულიძემ** და **ოთარაშვილმაც** გამოიჩინეს თავი.

პირველ ტაიმში „მეტალურგმა“ ამ შემადგენლობით ითამაშა: **ბათიაშვილი, ჯაფარიძე, გავაშელიშვილი, ინწკირველი, კორღალიძე, დობროვოლსკი, ზ. ლობჟანიძე, ჯარმელაშვილი, ახალკაცი, ცნობილაძე, ყიფიანი.**

„მეტალურგი“ მეორე ტაიმში: **ბედიაშვილი, საჯაია, მოველიძე, მახვილაძე, სუხიაშვილი, ხაბელაშვილი, განუგრავა, გეწაძე, ოთარაშვილი, სიხარულიძე, ზ. ლობჟანიძე.**

დავით თავართქილაძე

ჩიხურა

# კაშია და კიდევ ორი



შოთა კაშია

საჩხერის „ჩიხურა“ სეზონის განახლებისთვის თბილისში ემზადება, 35-ე საფეხბურთო კლუბის მოედანზე, ეგრეთ წოდებულ „მარაკანაზე“ ვარჯიშობს. ადრე გაუწყეთ, რომ **სოსო ფრუიძის** გუნდმა „ზუგდიდიდან“ წამოსული შუახაზელი **დავით ბოლქვაძე** დაიმატა, ახლახან კი კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდა - „ჩიხურაში“ **შოთა კაშია** ჩაირიცხა.

შოთა არნემის „ვიტესის“ კაპიტნის, **გურამ კაშიას** ძმა გახლავთ, რომელიც ბოლოს გორის „დილაში“ თამაშობდა. 28 წლის შოთა კაშიას ნახევარდაცვის ცენტრშიც შეუძლია გუნდისთვის სარგებლობის მოტანა და მარჯვენა მცველის პოზიციიდანაც.

„ჩიხურაში“ ვარჯიშობს ბოლნისის „სიონიდან“ წამოსული შემტევი **გიორგი ჭედია** და შვეიცარიული „ქსამაქსიდან“ სამშობლოში დაბრუნებული **ირაკლი ჩირიკაშვილი.** მათი „ჩიხურაში“ დარჩენის საკითხი იქამდე გადაწყდება, სანამ გუნდი უცხოურ შეკრებაზე გადავა - „ჩიხურა“ თურქეთში 4 თებერვალს გაემგზავრება.



ირაკლი ჩირიკაშვილი

დავით თავართქილაძე

ლეგიონერები

# სხირტლაძის გოლი და ხუბუტიას რუსული შანსი



აკაკი ხუბუტია (მარჯვნივ) ამჟამად რუსულ მორდოვიაში ვარჯიშობს

**აკაკი ხუბუტია** რუსული "მორდოვიას" შემადგენლობაში ვარჯიშობს და იმის შანსიც აქვს, რომ კარიერა სწორედ იქ გააგრძელოს. შეგახსენებთ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მცველი ბოლოს რუმინული "გაზ მეთანის" ღირსებას იცავდა, რომელიც დეკემბერში დატოვა.

რაც შეეხება "მორდოვიას", სარანსკული კლუბი პრემიერლიგაში პირველ სეზონს ატარებს და 9 ქულით ბოლო, მე-16 ადგილზეა. რუსეთის ჩემპიონატის დასრულებამდე 11 ტურით ადრე სამშვიდობოზე მყოფ "კრილია სოვეტოვს" "მორდოვია" 7 ქულით ჩამორჩება. "მორდოვიას" მთავარი მწვრთნელია რუმინეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **დორინელ მუნტეანუ.**

სამარის "კრილია სოვეტოვმა" თურქულ შეკრებაზე ხორვატული "რიეკა" 2:0 დაამარცხა. "კრილიაში" ახალი გადასული **ალექსანდრე ამისულაშვილი** სასტარტო შემადგენლობაში გაამწესეს და 79-ე წუთზე შეცვალეს.



დავით სხირტლაძე

დანიურმა "ორჰუსმა" საკონტროლო მატჩში "ვიბორგს" 2:0 მოუგო, ერთი გოლი კი **დავით სხირტლაძის** ანგარიშზეა. "ორჰუსის" ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს სხირტლაძემ, **დავით დევდარიანმა** და **მათე ვაწაძემ.** სამივე მათგანი მეორე ტაიმში შეცვალეს.

ანთალიაში **გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილი ზაქათალის "სიმურგი" ტესტ-მატჩში ხორვატულ "სლავენ ბელუპოს" შეხვდა და დიდი ანგარიშით, 0:3 დამარცხდა.

ლევან ჯანეზაშვილი

ინტერვიუ



ლევან კუტალია

# ლევან კუტალია: საქართველოდან ნაადრევად წასვლით შეცდომა დავუშვი...

**ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "ზესტაფონის" პირველი ახალწვეული ლევან კუტალია გახდა. ფეროელებმა 23 წლის ნახევარმცველი "ზუგდიდიდან" გადაიბირეს და სრულიად შესაძლებელია, სულ მალე კუტალია "ზესტაფონისთვის" მნიშვნელოვან ფეხბურთელად იქცეს. "ლელო" მას თურქულ შეკრებაზე გამგზავრებამდე ესაუბრა.**

**- რა ფაქტორების გამო გადაწყვიტე კარიერის "ზესტაფონში" გაგრძელება?**

- "ზესტაფონი" საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და იქ თამაშზე ბევრი ფეხბურთელი ოცნებობს. "ზესტაფონს" ყველა პირობა აქვს საიმისოდ, რომ კიდევ უფრო წარმატებული გახდეს. იქ გადასვლა კი განსაკუთრებით ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის არის სასურველი. ასე რომ, ამ წინადადებაზე ბევრი არ მიფიქრია, "ზესტაფონში" გადასვლა ჩემს კარიერაში უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია. ამავდროულად, ეს დიდი პასუხისმგებლობაც არის და ყველანაირად ვეცდები, გუნდის ხელმძღვანელობას, სამწვრთნელო შტაბსა და გულშემატკივრებს იმედები გავუმართლო.

**- რამდენიმე პოზიციაზე შეგიძლია თამაში. უკვე ცნობილია, რა ამპლუაში სჭირდები "ზესტაფონს"?**

- ნახევარმცველი ვარ და შემიძლია ვითამაშო როგორც მოედნის ცენტრში, ასევე ორივე ფლანგზე. თავდამსხმელის პოზიციაზეც მაყენებენ ხოლმე და სხვათა შორის, ბათუმის "დინამოსთან" ამხანაგურ მატჩში სწორედ ფორვარდი ვიყავი. მთავარ მწვრთნელს ჩემთვის პოზიცია არ დაუკონკრეტებია, ცოტა ხანში მეცოდინება, უფრო ხშირად რა ამპლუა მერგება ხოლმე. მზად ვარ, "ზესტაფონს" ნებისმიერ პოზიციაზე გამოვადგე.

**- "ზესტაფონში" საკმაოდ მაღალი კონკურენციაა და ალბათ, ამისთვისაც მზად ხარ...**

- რა თქმა უნდა. სხვაგვარად შეუძლებელიცაა. ასეთ ამბიციურ კლუბში აუცილებლად მძაფრი კონკურენცია უნდა იყოს და ნამდვილად მზად ვარ იმისთვის, რომ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად ვიბრძოლო. ძლიერი კონკურენტი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის აუცილებელია.

**- ახალ გარემოში ადაპტაციისთვის დიდი დრო დაგჭირდება?**

- ახალ კლუბს ყოველთვის მოკლე დროში ვეგუები ხოლმე, ასე რომ, "ზესტაფონთან" ადაპტაცია არ გამიჭირდება. თანაც, გუნდში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი დამხვდა, რომლებთან ერთადაც ადრეც მითამაშია.

**- "ზუგდიდში" გატარებულ პერიოდს როგორ გაიხსენებ?**

- ზუგდიდი ჩემი მშობლიური ქალაქია და იქ თამაში ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავდა და დიდი იმედი მაქვს, ფინანსური პრობლემები წარსულს ჩაბარდება. რა თქმა უნდა, "ზუგდიდს" ჩემს გარეშეც წარმატებებს ვუსურვებ. ვფიქრობ, რომ სეზონის პირველი ნახევარი იქ მაღალ დონეზე ჩავატარე და "ზესტაფონის" ყურადღება სწორედ ამის გამო დავიმსახურე.

**- გითამაშია ბოსნიასა და ხორვატიაში. დღევანდელი გადასახედიდან, ადრეულ ასაკში უცხოეთში წასვლას სწორ გადაწყვეტილებად აფასებ?**

- ბოსნიის ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი გავხდი და ბოსნიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის შემოთავაზებაც კი მივიღე. ამას გარდა, იქ ბევრი რამ ვისწავლე და საკმაო გამოცდილებაც დავაგროვე. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც მიმაჩნია, რომ საქართველოდან ნაადრევად წასვლით შეცდომა დავუშვი – იმიტომ, რომ ქართული საფეხბურთო სამყაროს თვალთახედვის არეში არ ვიყავი მოქცეული და საკუთარი თავის წარმოჩენა რეალურად, მხოლოდ ახლა მიწევს. ჩემი აზრით, ფეხბურთელი ადრეულ ასაკში საზღვარგარეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა წავიდეს, თუ ვუნდერკინდია, სხვა შემთხვევაში კი სჯობს, საქართველოს უმაღლეს ლიგაში დალვინდეს. მომავალში მეც მინდა უცხოეთში დაბრუნება, მაგრამ ჯერ აქ უნდა გამოვავლინო ჩემი შესაძლებლობები. "ზესტაფონში" საამისოდ ყველა წინაპირობა მაქვს. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში უკვე ვითამაშე, ახლა კი ჩემი პირადი მიზანი ის არის, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელების ყურადღება მივიქციო.

**- როგორი შანსი აქვს "ზესტაფონს" საიმისოდ, რომ ამ სეზონში დასახული მიზნები შეასრულოს?**

- ჩვენი მიზანი ევროპის ლიგის საგზურის მოპოვებაა. მართალია, კონკურენტებთან ჩამორჩენა გვაქვს, მაგრამ ამის აღმოფხვრა რეალურად მიმაჩნია. ჩემპიონატში ჩვენი საუკეთესო თვისებები უნდა გამოვავლინოთ და ასევე მაქსიმალური შედეგისთვის ვიბრძოლოთ საქართველოს თასის გათამაშებაში.

ლევან ჯანეზაშვილი



საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის უერთგულესი ქომაგი
**გოგი დემეტრაძე**
და თანაგრძნობას უცხადებენ მის ახლობლებს.

ეროვნული

# ქართული ფეხბურთი

ქართველი უცხოეთში

## გიორგი სარჯველაძე:
# ერკულესში შემთხვევით ჩავირიცხე

უცხოეთის ძლიერ ლიგებში უამრავ ქართველს უთამაშია, მაგრამ ესპანეთში მათი რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელია: **გიორგი დემეტრაძემ** "რეალ სოსიედადის" ფორმა 13-ჯერ მოირგო და 1 გოლი გაიტანა, **შოთა არველაძე** "ლევანტეში" ტრავმებმა გაამწარა, სულ 4-ჯერ ითამაშა და ერთადერთი ლიგაა, სადაც თავი არ გამოუჩენია.

ესპანეთის ერთ-ერთ დაბალ ლიგაში გამოდიოდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **გიორგი გუგავა**, "ბარსელონას" ასაკობრივ გუნდში იყო **გიორგი ჭანტურია**, მადრიდის "ატლეტიკოს" სკოლაში ვარჯიშობდა **ზაზა ბერიძე**, "რეალის" საბავშვო სკოლაში ვარჯიშობდა **ჭაბუკიანი**, რომლის ალი-კვალიც დავკარგეთ. შესაძლოა, ესპანეთში კიდევ ვინმეს უთამაშია ან უვარჯიშია, მაგრამ ცხადია, ყველა არ გვეცოდინება.

ესპანეთის საფეხბურთო ჰოლივუდი ყველას გამორჩეულად იზიდავს, რადგან დღეისათვის ის მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ლიგაა, იქ თამაში კი მოთამაშის კლასზე, ან პერსპექტივაზე მეტყველებს.

ამიტომ გაგვიხარდა, როდესაც ეს ამბავი შევიტყვეთ: უკვე ერთი წელიწადია, სეგუნდა დივიზიონის (მეორე ლიგა) ალიკანტეს "ერკულესის" 19-წლამდელთა გუნდში თბილისში დაბადებული და ქართული საფეხბურთო სკოლების გაზრდილი **გიორგი სარჯველაძე** თამაშობს.



მასზე "ლელოს" არქივში საინტერესო ამბები მოვიძიეთ: 2010 წელს იყო **კობა ჟორჟიკაშვილის** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრი და გუნდთან ერთად ურეკისა და თბილისის შეკრებები გაიარა, ითამაშა პალანგის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, სადაც პოლონეთის, ინგლისისა და შვედეთის ჯგუფიდან საქართველო ელიტ რაუნდში გავიდა. ნახევარმცველი შარშან შემოდგომაზე კახა კაჭარავამ 19-წლამდელთა დასკვნით შეკრებაზეც მიიწვია.

2010 წელს კობა ჟორჟიკაშვილს ნაკრების 18-ივე მოთამაშის დახასიათება რომ ვთხოვეთ, სარჯველაძეზე შემდეგი ბრძანა: *"ცენტრალური ნახევარმცველია, კარგად ურტყამს ორივე ფეხით, აქვს პასის კულტურა, საიმედოა დაცვაში".*

„ერკულესის" ასაკობრივი გუნდის ქართველ ლეგიონერს, გიორგი სარჯველაძეს ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- ჯერ იმით დავიწყოთ, რომელ სკოლაში ვარჯიშობდი?**

- თამაში "ოლიმპის" სკოლაში ჯონი ჯანელიძესთან დავიწყე, შემდეგ რამდენიმე წელი 35-ე სკოლაში გუბაზ დოლიძესთან ვვარჯიშობდი, ბოლო სამი წელი - თემურ ლორთქიფანიძესთან.

**- ესპანეთში როგორ მოხვდი?**

- სრულიად შემთხვევით. 2 წლის წინათ, დაახლოებით 4 თვე "დნიპროში" ასაკობრივ გუნდში ვვარჯიშობდი. მაგრამ ესპანეთში ცხოვრების უფლება მივიღე და უკრაინიდან წამოვედი. ოჯახთან ერთად, ალიკანტეში დავსახლდი. გუნდში მოწყობას შემპირდნენ, მაგრამ არ გამოვიდა და თბილისში დავბრუნდი.

შარშან აგვისტოში ესპანეთში საბუთების გასაფორმებლად ჩავედი. იმ პერიოდში გუნდები მოსამზადებელ პერიოდს იწყებდნენ. მამაჩემმა და მისმა მეგობარმა "ერკულესის" სპორტულ დირექტორს ჩემი გასინჯვა სთხოვეს. თავიდან უარზე იყო, მაგრამ როდესაც უთხრეს, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში მითამაშია და ასე შემდეგ, დათანხმდა.

ტესტირებაზე კიდევ 12 მოთამაშე დამხვდა. დასამალი რა არის, თავიდან ფიზიკურად გამიჭირდა, რადგან უვარჯიშებელი ვიყავი. მაგრამ 2 კვირის შემდეგ ყველა გასასინჯი ფეხბურთელი გაუშვეს და მხოლოდ მე დამტოვეს. მწვრთნელმა მითხრა, ერთი კვირა კიდევ დაგაკვირდებით, თუ ფიზიკურად მოუმატებ და გუნდელებთან ურთიერთობას მოახერხებ, დაგტოვებთო. ამ ერთი კვირის შემდეგ კონტრაქტი გამიფორმეს.

**- რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

- სამწლიანი, პლუს ენის შესწავლაში მეხმარებიან და ისეთი სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობები შემიქმნეს, ვერც წარმოვიდგენდი.

**- გუნდში სისტემატურად თამაშობ?**

- მწვრთნელი მენდობ, "ერკულესის" 19-წლამდელებში უკვე 22 თამაში ჩავატარე და 4 გოლი გავიტანე. მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ვვარჯიშობდი და მერე იქაურ მოთხოვნებსაც შევეგუე, თავიდან თამაში მაინც გამიჭირდა. საქართველოსთან შედარებით, აქ ბევრად მაღალი ტემპი და განსხვავებული სტილის ფეხბურთია, რომელზეც ადვილად ვერ გადაეწყობი. თანაც ისეთი გუნდების წინააღმდეგ ვთამაშობდით, როგორებიც "ვალენსია", "ატლეტიკო", "ვილიარეალია". გუნდში დიდი კონკურენციაა და თუ ფეხი დაგიცდა, დიდხანს მოგიწევს სკამზე ჯდომა.

**- რა პოზიციაზე ასპარეზობ?**

- უფრო ხშირად, ცენტრალურ ნახევარმცველად, ზოგჯერ – ფლანგებზეც მათამაშებენ.

**- უკეთეს კლუბში მიწვევები თუ გაქვს?**

- "ლევანტესგან" იყო დაინტერესება, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია. სხვათა შორის, გუნდელები ვერ იჯერებდნენ, მენეჯერი რომ არ მყავდა და "ჰერკულესში" შემთხვევით მოვხვდი. მართლაც ძალიან გამიმართლა.

**- კახა კაჭარავამ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში გამოგიძახა, მაგრამ შესარჩევ ეტაპზე გუნდში აღარ ყოფილხარ.**

- ტრავმა მივიღე და ვერ ვითამაშე. ამის გამო მერე კლუბშიც გარკვეული პერიოდი გამიცდა, მაგრამ შემადგენლობაში ადგილი მაინც მალე დავიბრუნე.

ჩაშლილი ტრანსფერი

## მამუკა ლონლაძე:
# არ ვიცი, გაზაევმა რატომ გამიშვა
### ალანიამ კობახიძეც დაიტოვა



მამუკა ლონლაძე

**ვლადიკავკაზის "ალანიამ" თურქულ შეკრებაზე მეორე სპარინგი რუსეთის პირველი ლიგის ბელგოროდის "სალუტთან" 0:2 წააგო. ამ მატჩის შემდეგ, ვლადიკავკაზელთა შეკრება ქართველმა თავდამსხმელმა მამუკა ლონლაძემ დატოვა.**

**მამუკა საქართველოში დაბრუნდა და წამოსვლის მიზეზებზე გველაპარაკა:**

- თავიდან ყველაფერი ძალიან კარგად იყო. პირველივე მატჩში ყაზახურ "ვოსტოკს" 3:1 მოვუგეთ და ერთი გოლი გავიტანე. მერე რაც მოხდა, არ დავმალავ და ჩემთვისაც გაუგებარი დარჩა. თუნდაც იმიტომ, რომ გუნდის ორმხრივ თამაშებზე გოლები სულ გამქონდა, რაც ყველას უკვირდა. მაინც, ლატვიიდან ახალი ჩასული ვიყავი, ახალწვეულს კი უცხო გარემოსთან შეგუება უჭირს.

**- გულახდილად ვთქვათ: გუნდიდან ფეხბურთელს იმიტომ უშვებენ, რომ არ მოსწონთ ან ტრანსფერზე ვერ თანხმდებიან.**

- რომ არ მეთამაშა, კიდევ მესმის, მაგრამ მე მაინც ხომ ვიცი, კარგად ვიყავი მომზადებული – ამას მე კი არა, გუნდში ლაპარაკობდნენ. საქმე მარტო გოლებში არ არის, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ "დაუგავაში" ვვარჯიშობდი, თავი უცხოდ არ მიგრძვნია. ფიზიკურადაც ძალიან კარგად ვიყავი. კმაყოფილები იყვნენ. მითხრეს, რომ მეორე შეკრების ბილეთს ამიღებდნენ და კონტრაქტზე დავილაპარაკებდით. ამიტომ ვფიქრობ, რომ სპორტული მიზეზი არაფერ შუაშია და სხვა რამ მოხდა.

**- მაინც რა მოხდა? რუსული კლუბისთვის 100 ათასი ევროს გადახდა პრობლემა არ იქნებოდა.**

- არ გამოვრიცხავ, რომ "ალანიას" მართლაც არ უნდოდა თანხის გადახდა, როდესაც რამდენიმე თვეში თავისუფალი აგენტი ვხდებოდი. მე რაც ვიცი, დიდხელფასიანი თავდამსხმელების, სელაიასა და მაურისიოს იჯარით გაშვებას აპირებდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს, გუნდში კი ისედაც ბევრი თავდამსხმელი ჰყავდათ. ეტყობა, ამიტომ გამიშვეს.

გაზაევმაც მითხრა, რომ მოვეწონე, მაგრამ ვერ დაგტოვებთო. აბა, ამ სიტყვების შემდეგ რა უნდა მეფიქრა? გაზაევს დიდი ავტორიტეტი აქვს და ფეხბურთელებს ენის მოჩლექვით არ ელაპარაკება და ჩემთან თავის მართლებას დაიწყებდა? ეტყობა, "ალანიაში" თითოეულ კაპიკს უფრთხილდებიან.

ასეა თუ ისე, გული დამწყდა, რუსეთის პრემიერლიგის კლუბში მოხვედრა ჩემს კარიერაში მართლაც დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

**- "ალანიას" ვებ-გვერდზე ეწერა, რომ "დაუგავაში" ბრუნდები.**

- ამის არანაირი სურვილი არ გამაჩნია. იმხელა სტრესი მივიღე, რომ ახლა აუცილებლად ორიოდე დღე უნდა დავისვენო და ახალი კლუბი მერე მოვძებნო. 100-პროცენტიანი არ არის, მაგრამ მითხრეს, რომ პოლონური კლუბი, ლოძის "ვიძევი" დაინტერესდა, უკრაინულ კლუბზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ ჯერ ზუსტად არ ვიცი, "დაუგავასთან" მოლაპარაკება როგორ დასრულდება. ლაპარაკი ყაზახეთის კლუბზეც იყო, მაგრამ ჯერ კონკრეტული არაფერია.

**- "ალანიას" ქართველებზეც გკითხავ - კარგა ხანი, ერთად ვარჯიშობდით და როგორ გამოიყურებიან?**

- გიორგი ჭანტურიაზე ბევრი რამ გამეგო, მაგრამ გუნდში ნანახით გაოცებული დავრჩი. ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელი და გულიანი ბიჭია. მამუკა კობახიძე ახლა გავიცანი და ისიც მომეწონა, პერსპექტიული მცველია.

**- კობახიძე "ალანიაში" რჩება?**

- მე რაც ვიცი, ჭანტურიას მსგავსად, კობახიძემაც კონტრაქტი სეზონის დასრულებამდე გააფორმა.

**- სხვათა შორის, ოსური მედიის ნაწილი "ალანიაში" ქართველების გადასვლას აგრესიულად შეხვდა. თანაგუნდელი ოსები როგორ გეპყრობოდნენ?**

- ჩემს თავთან მართალი არ ვიქნები, ამაზე რომ არ ვთქვა: თავად გაზაევი, გუნდის ხელმძღვანელობა და ოსი ბიჭები გამორჩეული სითბოთი დაგვხვდნენ. პირადად მე, შეკრებაზე ყველაზე მეტად სწორედ ოსებს დავუახლოვდი. დანარჩენი თავად თქვენ და გულშემატკივრებმა შეაფასეთ.

ფუტსალი

## კახა დევდარიანი:
# ავთანდილ ასათიანის დადანაშაულება არასწორია

მალტაზე დასრულებულ შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა ელიტრაუნდის საგზური მოიპოვა.

მართალია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მაგრამ საქართველოს ფუტსალის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ავთანდილ ასათიანი** გამონაკლისი აღმოჩნდა. გულშემატკივართა ნაწილი მისი პოსტიდან გადაყენებას მოითხოვს. მიზეზი მოლდოვასთან ფრედ დასრულებული მატჩია — ეს არ გევკადრებაო.

ჯგუფიდან გასვლა კარგია და, რა თქმა უნდა, მიღწეულითაც არ უნდა დავკმაყოფილდეთ - პრობლემები რომ არსებობს, მოლდოვასთან ფრემ კიდევ ერთხელ გამოაჩინა. მაგრამ ლოგიკურია ამის გამო მწვრთნელის გათავისუფლება? ამის შესახებ კომენტარი საქართველოს ფუტსალის ასოციაციის საპატიო პრეზიდენტმა, **კახა დევდარიანმა** გააკეთა.

*"ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რა რეალობაში ვცხოვრობთ. ქართულ ფუტსალში მძიმე მდგომარეობაა; გუნდები არ გვყავს ისე, დიდ ქალაქებში, როგორებიც არის ქუთაისი, ბათუმი, ზესტაფონი, ზუგდიდი. გამოდის, რომ არა ეროვნულ ჩემპიონატს, არამედ თბილისის ღია პირველობას ვატარებთ. არადა, ნებისმიერ სფეროში რეგიონებია მასაზრდოებელი წყარო. როდესაც ეს წყარო გადაიკეტა, ნაკრების მწვრთნელს დიდი არჩევანი აღარ რჩება. ეს ერთი მხარეა, რაც პროფესიონალური კუთხით აუცილებლად უნდა აღვნიშნო და ნაკრებს ასათიანი გაწვრთნის თუ სხვა ვინმე, ამ პრობლემას ყველა წააწყდება.*

*მეორე ფაქტორი: ბოლო სამი წელიწადია, ფუტსალში დიდი ჩავარდნაა. მოლდოვის ნაკრები ვითარდება. ჩვენგან განსხვავებით, ყოველწლიურად ბევრ საკონტროლო შეხვედრასაც ატარებს და ნამდვილად არ არის სუსტი გუნდი. ამიტომ, მათთან ფრე ჩვენნაირი პრობლემების მქონე ქვეყნის ნაკრებს ტრაგედიად ვერ ჩავუთვლი.*

*მესამე: მალტაზე არ ვყოფილვარ და თამაშები არ მინახავს, ვიცი, რომ მოლდოვასთან პირველი ნახევარი მოვიგეთ. მაგრამ მეორე ტაიმში ბიჭები დაიღალნენ და ის შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს, რაც ჩვენს ფუტსალს გააჩნია.*

*ეს არის არა ასათიანის, არამედ იმის ბრალი, რომ ნაკრებს არ გააჩნია კარგი საფუძველი. დიახ, ოფიციალურ მატჩებამდე, ნაკრებმა მალტის ტურნირზე ითამაშა, მაგრამ გუნდს სჭირდება ბაზა, ბევრი საკონტროლო შეხვედრა, კარგი სავარჯიშო პირობები, შესაბამისი კვება, ვიტამინიზაცია, ყოველდღიური სამედიცინო დახმარება და ა.შ. ამის გარეშე ევროპაში მაღალ დონეზე თამაში ძალიან ძნელია.*

*ბოლო სამი წელიწადია, ფუტსალი და მთელი ქართული ფეხბურთი არასწორად ვითარდებოდა და სტრუქტურული ცვლილებები ესაჭიროება. თუ მთა არ არსებობს, მწვერვალი როგორ იქნება? ნაკრები კი მთის მწვერვალია, რომელსაც საფუძველი უნდა შევუქმნათ. ბიჭებმა თავი დადეს, მაგრამ დღეს არსებულ პირობებში, შესაძლოა, მეტი არც შეუძლიათ. ეს არის არა ქება ან ძაგება, არამედ, რეალობაა. ამ პრობლემების ასათიანზე გადაბრალება, სულ მცირე, არასწორია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩვენს პირობებში მოლდოვასთან ფრე არც ისე ცუდი შედეგია. და თუ სისტემა არ შეიცვლება, შესაძლოა, შედეგი კიდევ უფრო გაუარესდეს"* – ამბობს დევდარიანი.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტურის წინ

# აუტსაიდერები ფავორიტთა შორის

**დღეს "ვილა პარკზე" ორი ისეთი გუნდი ხვდება ერთმანეთს, რომელთა ხილვას აუტსაიდერთა შორის სეზონის დაწყებამდე ალბათ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. ამ სტატუსით უფრო მეტად "ნიუკასლის" წარმოდგენა გვიჭირს, რადგან ალან პარდიუს გუნდი გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოდა. ბირმინგემელები არც შარშან ბრწყინავდნენ ალექს მაკლიშის ხელში, მაგრამ "ნორვიჩში" წარმატებით ნამუშევარი პოლ ლამბერტის მოსვლა ფანებმა პროგრესის წინაპირობად მიიჩნიეს და... მწარედ შეცდნენ. მასპინძლებს გასავარდნ ზონამდე სულ რაღაც ქულა აშორებთ. ამ წყვილში რომელი გუნდი უფრო ცუდ ფორმაშია, კამათი მხოლოდ ამაზე თუ შეიძლება. ევროპელი ბუკმეიკერები უპირატესობას "ვილას" ანიჭებენ, მაგრამ შანსი ახალწვეულებით მოძლიერებულ "კაჭკაჭებსაც" აქვთ.**

"ქუინზ პარკის" მთავარმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** ასოციაციის თასის მე-4 ეტაპის შეხვედრაში ლიგა 1-ის "მილტონთან" სათადარიგოთა შემადგენლობით სცადა ფონს გასვლა, მაგრამ სასტიკად შერცხვა (2:4). ამჯერად „ლოფტუს როუდზე" "რეინჯერებს" ბევრად უფრო სერიოზული მეტოქე ელით: პრემიერლიგის მოქმედი გამარჯვებული. მასპინძელთა საბედნიეროდ, როგორც იქნა მოედანს დაუბრუნდა **ბობი ზამორა**. რამდენად მზად იქნება ვეტერანი ძირითადში სათამაშოდ ვერ გეტყვით, მაგრამ მისი და **ლოიკ რემის** დუეტმა, წესით, სერიოზულად უნდა დაატყოს ხელი გუნდის შედეგებს. "სიტი" ბოლო თამაშებში იმდენად დამაჯერებელია, რომ ეჭვი გვაქვს, მათ არც დღეს გაუჭირდებათ 3 ქულის აღება.

"სტოკ სიტი" შინ აუტსაიდერ "უიგანს" მასპინძლობს. **ტონი პულისის** გუნდი ხანგრძლივი წარუმატებელი სერიის შემდეგ უბრალოდ ვალდებულია იმარჯვოს, რათა იმ პოზიციების შენარჩუნება მაინც მოახერხოს, რაც დღეს უკავია. გუნდებმა განსხვავებულად იასპარეზეს ასოციაციის თასზე. „სტოკი" დამარცხდა, "უიგანმა" იმარჯვა, მაგრამ მათ მეტოქეებიც სხვადასხვა კალიბრის ჰყავდათ. ჩვენი აზრით, **რობერტო მარტინესის** გუნდს "ბრიტანია სტედიუმზე" წარმატების მხოლოდ მიზერული შანსი აქვს.

"სანდერლენდი" როგორც იქნა დაემსგავსა **მარტინ ონილის** გუნდს. თუკი ბრიტანულ ფეხბურთს დიდი ხანია უყურებთ, მაშინ განმარტება, თუ რას ნიშნავს ეს, არ დაგჭირდებათ. ჩრდილოირლანდიელს ყოველთვის შემტევი და მებრძოლი გუნდი ჰყავდა. "შავ კატებს" სერიოზული გამოცდა ელით ინგლისის ლიგის თასის ფინალისტთან. "სუონსის" დიდი ხანია, ჩემპიონატშიც არ წაუგია და ჩვენ თუ გვკითხავთ, ამის დრო სწორედ რომ მოსულია. სტატისტიკოსები ერთ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას. მასპინძლები საშინაო მატჩებში შედეგიანობით ვერ გამოირჩევიან, სტუმრები კი გასვლით შეხვედრებში უშვებენ იშვიათად. შესაბამისად, გვგონია, რომ თამაშის ბედს ერთადერთი გოლი გადაწყვეტს.

ხვალინდელ სათამაშო დღეს ლონდონში "არსენალისა" და "ლივერპულის" დაპირისპირება გახსნის. ეს ის გუნდები არიან, რომელთაც აშკარად აქვთ პოტენციალი და სწორედ ამ მიზეზის გამო მათ ჩემპიონატის დაწყებამდე ფავორიტთა სიიდან ასე ერთი ხელის მოსმით ვერ ამოილებ, მაგრამ, ამასთან, გულის სიღრმეში ალბათ ყველამ ვიცით, რომ არც ერთსა და არც მეორეს ამის გაკეთება პრაქტიკულად არ შეუძლია. ისინი ერთგვარი აუტსაიდერები არიან გრანდებს შორის. "მეთოფეებმა" 23 იანვარს ჩემპიონატის გადადებული მატჩი ჩაატარეს და დედაქალაქურ დერბიში "ვესტ ჰემს" 5:1 გადაუგბინეს, მერე კი თასზეც იმარჯვეს "ბრაიტონთან" 3:2. "ლივერპულმა" ბოლო ტურში "ნორვიჩის" თავმოყვარეობა იმსხვერპლა (5:0), სამაგიეროდ თასზე დამარცხდა "ოლდჰემთან" (3:2). ჩვენი პროგნოზით, ყველაზე რეალური ამ შეხვედრის ფრედ დასრულებაა.

"გუდისონ პარკზე" კი ნამდვილად საინტერესო თამაში გაჩაღდება იმ გუნდებს შორის, რომლებიც აქამდე ევროპა ლიგის საგზურისთვის იბრძოდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, "ვესტ ბრომვიჩი" ამ რბოლას ნელ-ნელა ჩამორჩა და რამე სასწაული თუ არ მოხდა, ძნელად წარმოსადგენია, იქ დაბრუნება მოახერხოს. **სტივ კლარკის** გუნდი ხომ ბოლო 12-დან კინკილა ქულით დაკმაყოფილდა და ისიც შინ წყალწაღებულ "ასტონ ვილასთან". "ევერტონმა" ზედიზედ ორჯერ ითამაშა უგოლო ფრე და გვგონია, რომ ამჯერად მეტოქეს გოლების წვიმას თუ არ დაატეხს, აუცილებლად დაამარცხებს.

"ნორვიჩის" მოუგებელ სერიას ბოლო ალარ უჩანს. **კრის ჰიუტონის** შეგირდებმა ჩემპიონატში ბოლოს 15 დეკემბერს "უიგანთან" აიღეს 3 ქულა. მას მერე "იადონებმა" მხოლოდ ერთხელ იმარჯვეს ასოციაციის თასზე, თუმცა უკანასკნელ შეხვედრაში ამ ტურნირსაც დააკლდნენ, როცა კონფერენციის წარმომადგენელ "ლუტონთან" 1:0 დათმეს. თასიდან გამოვარდა "ტოტენჰემიც". "დეზები" "ლიდსთან" შერცხვნენ (1:2). ბუკმეიკერები "კეროუ როუდზე" ფავორიტებად სტუმრებს მიიჩნევენ.

"ქრეივენ კოტეჯზე" ხვალ, როგორც მას უწოდებენ, ლონდონის ერთ-ერთი მცირე დერბი გაიმართება. დალმავალ გზას შემდგარი "ფულჰემი" მისი ბედის მოზიარე "ვესტ ჰემს" დაუპირისპირდება. დედაქალაქური კლუბების მდგომარეობას განწირულს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ევროპა ლიგის საგზურისთვის მებრძოლთა შორის მათ უკვე აღარავინ ახსენებს. იმის გათვალისწინებით, რომ "ჩაქუჩები" გასვლით შეხვედრებში მიმდინარე სეზონში უსუსურად გამოიყურებიან (8 ქულა 11 თამაშში და 6 გოლი), მასპინძელთა ფავორიტად დასახელება ალბათ ლოგიკური იქნება.

"ტოტენჰემთან" წინა ტურის შეხვედრაში 90-ე წუთზე ფეხის დაცდენის შემდეგ "მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისურ თოვლსა და ქარს ყატარში ოთხი დღით განერიდა. ფეხბურთელებმა სამხრეთის მზის აბაზანები მიიღეს და, ასე ვთქვათ, გადაიტვირთნენ, რაც გუნდს "ფულჰემთან" თასის შეხვედრაში (4:1) აშკარად დაეტყო. **ალექს ფერგიუსონის** გუნდი ხვალინდელი შეხვედრის წინაც გამოკვეთილი ფავორიტია. მართალია, ბოლო ხანს "წმინდანების" თამაშის ხარისხს არა უშავს რა ეთქმის, მაგრამ "ოლდ ტრეფორდზე" ეს საკმარისი არ იქნება. ბუკმეიკერები "ეშმაკების" შესაძლო მოგებაზე მცირე ფსონს იძლევიან.

"რედინგი" ბოლო ტურებში (პლუს ასოციაციის თასზე) იმდენად კარგად თამაშობს, რომ ჩემპიონატის საშუალო კალიბრის გუნდს დაემსგავსა. "ჩელსი" კი ხან პოულობს საკუთარ თამაშს, ხან ისევ ავიწყდება, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა ყველასთან ფავორიტია. სწორედ ამიტომ გვგონია, რომ "მადეისკიზე" ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა უნდა გაიმართოს. ჩვენი აზრით, წარმატების მეტი შანსი, სტუმარს აქვს.

## 29 იანვარი

**ასტონ ვილა-ნიუკასლი 23:45**

**ტრავმა:** პეტროვი, გარდნერი, ოლბრაიტონი, ეჰრდი, ბეიკერი, დელფი, დანი – ბენ არფა, ვუკჩიჩი, გოსლინგი, სიმპსონი, კაბაი, რ. ტეილორი

**ბოლო 6 მატჩი**

+0=2-4 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 137 თამაში: +47=30-60 (211-221)

**ქუინზ პარკი-სიტი 23:45**

**ტრავმა:** ჯონსონი, ჰოილეტი, ბოსინგვა – მაიკონი, ნასრი, რიჩარდსი, კომპანი, ბალოტელი, ნასტასიჩი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 41 თამაში: +12=14-15 (49-50)

**სტოკ სიტი-უიგანი 23:45**

**ტრავმა:** უილსონი, დელაპი, კემერონი – რამისი, მიაიჩი, ლოპესი, ალკარასი, უოტსონი, კრუსატი, პოლიტი, პისკუ

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 21 თამაში: +6=10-5 (28-30)

**სანდერლენდი-სუონსი 23:45**

**ტრავმა:** კუელიარი, კატერმოული, როუზი, ბრაუნი – აგუსტიენი, ტეილორი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +2=4-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 7 თამაში: +1=3-3 (5-9)

## 30 იანვარი

**არსენალი-ლივერპული 23:45**

**ტრავმა:** არტეტა, ვერმალენი, ფაბიანსკი, კოკლენი – ჯონსონი, კელი, ხ. ენრიკე, რეინა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=1-2 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 178 თამაში: +65=47-66 (240-247)

**ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი 23:45**

**ტრავმა:** ჰიბერტი, კოულმენი, გიბსონი, მირალიაში – ლონგი, იაკობი, ფორჩუნი, რიდი, გერა

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 118 თამაში: +44=29-45 (176-192)

**ნორვიჩი-ტოტენჰემი 23:45**

**ტრავმა:** მორისონი, ბასონგი, რადი – გალასი, დეფო, კაბული, სანდრო

**ბოლო 6 მატჩი**

+0=1-5 +3=3-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 44 თამაში: +13=13-18 (53-6?)

**ფულჰემი-ვესტ ჰემი 00:00**

**ტრავმა:** ა. დიარა, დევისი, ფრეი, რიჩარდსონი – კოლინსი, პოტსი, რიდი, კეროლი, მაკარტნი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 35 თამაში: +11=8-16 (49-62)

**იუნაიტედი-საუთჰემპტონი 00:00**

**ტრავმა:** იანგი, ევანსი, დ. ფლეტჩერი – ფონტე, ლალანა

**ბოლო 6 მატჩი**

+4=2-0 +1=5-0

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 74 თამაში: +43=16-15 (141-84)

**რედინგი-ჩელსი 00:00**

**ტრავმა:** მაკარტი, რობერტსი – ლუისი, რომეუ, ჩეხი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 6 თამაში: +0=2-4 (7-12)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 23 | 18 | 2 | 3 | 57-30 | 56 |
| 2. სიტი | 23 | 15 | 6 | 2 | 45-19 | 51 |
| 3. ჩელსი | 23 | 13 | 6 | 4 | 47-22 | 45 |
| 4. ტოტენჰემი | 23 | 12 | 5 | 6 | 40-28 | 41 |
| 5. ევერტონი | 23 | 9 | 11 | 3 | 35-26 | 38 |
| 6. არსენალი | 23 | 10 | 7 | 6 | 46-27 | 37 |
| 7. ლივერპული | 23 | 9 | 7 | 7 | 40-28 | 34 |
| 8. ვესტ ბრომვ. | 23 | 10 | 4 | 9 | 33-32 | 34 |
| 9. სუონსი | 23 | 8 | 9 | 6 | 34-27 | 33 |
| 10. სტოკ სიტი | 23 | 6 | 11 | 6 | 22-27 | 29 |
| 11. სანდერლენდი | 23 | 7 | 7 | 9 | 27-31 | 28 |
| 12. ვესტ ჰემი | 23 | 7 | 6 | 10 | 26-33 | 27 |
| 13. ნორვიჩი | 23 | 6 | 8 | 9 | 24-39 | 26 |
| 14. ფულჰემი | 23 | 6 | 7 | 10 | 33-40 | 25 |
| 15. საუთჰემპტონი | 23 | 5 | 8 | 10 | 30-40 | 23 |
| 16. ნიუკასლი | 23 | 5 | 6 | 12 | 28-41 | 21 |
| 17. ასტონ ვილა | 23 | 4 | 8 | 11 | 19-44 | 20 |
| 18. რედინგი | 23 | 4 | 7 | 12 | 28-43 | 19 |
| 19. უიგანი | 23 | 5 | 4 | 14 | 25-43 | 19 |
| 20. ქუინზ პარკი | 23 | 2 | 9 | 12 | 18-37 | 15 |

**ბომბარდირები:** 18 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 16 - ლუის სუარესი (ლივერპული), 14 - დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი)



მანჩესტერ სიტის ბოლო გამარჯვებებში პაბლო საბალეტა დიდ როლს თამაშობს

## ამბები [illegible]

### დენი გრემი [illegible]

GOAL.COM-ის ცნობით, "სუონსის" 27 წლის ინგლისელი თავდამსხმელი **დენი გრემი** სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კონტრაქტს "სანდერლენდთან" გააფორმებს. "შავ კატებს" ფეხბურთელი 5 მილიონი ფუნტი დაუჯდებათ. "გედებისგან" მის შეძენას "ნორვიჩიც" გეგმავდა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა უპირატესობა პირველ ვარიანტს მიანიჭა. დენი მომავალი კლუბის ბაზას დღეს ეწვევა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტის უკანასკნელი დეტალების შეთანხმების შემდეგ საქმეს წერტილს დაუსვამს. თავის მხრივ "სუონსიც" შეეცდება ისეთი თავდამსხმელის შეძენას, ვისთვისაც სათადარიგოს სტატუსი მიუღებელი არ იქნება.

### ფერდინანდი ბურსასპორში

**რიო ფერდინანდის** უმცროსი ძმა, 27 წლის **ანტონ ფერდინანდი** მიმდინარე სეზონში დროის უმეტეს ნაწილს სათადარიგოთა სკამზე ატარებს. **ჰარი რედნაპი** მისი თამაშით იმდენად უკმაყოფილოა, რომ იმის გათვალისწინებითაც კი, რომ "რეინჯერებს" **რაიან ნელსენიც** ტოვებს, ის ანტონის წასვლას მაინც თანხმდება. Sky Sports-ის ცნობით, ინგლისელის სამსახურით თურქული სუპერლიგის მეექვსეადგილოსანი "ბურსასპორია" დაინტერესებული. კლუბებს შორის 5-თვიანი იჯარის დეტალები პრაქტიკულად უკვე შეთანხმებულია. ანტონი თურქეთს ამ დღეებში ეწვევა.

### ევერტონის ჰოლანდიელი ახალწვეული

"გარდიანის" ცნობით, "ევერტონი" ჰოლანდიურ "ტვენტეს" 23 წლის ნახევარმცველ **ლეროი ფერის** ტრანსფერზე შეუთანხმდა. ფეხბურთელი მერსისაიდს უახლოეს დღეებში ეწვევა და სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ "ლურჯებთან" 4,5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. საყრდენი ნახევარმცველის პირადი ხელშეკრულების დეტალები ჯერჯერობით საიდუმლოდ რჩება.

### ფიფამ პერუს ნაკრების ფეხბურთელი დოპინგში გამოიჭირა

ფიფას ანტისადოპინგო სააგენტო ვადა-მ განაცხადა, რომ პერუს ნაკრების ერთ-ერთი ფეხბურთელი დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს. ფეხბურთელის ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება არც ის აკრძალული პრეპარატი, რომლის კვალიც მის სისხლში აღმოაჩინეს. სააგენტო განმეორებით ტესტებს ელოდება. საუბარია შეხვედრაზე, რომელიც 12 ოქტომბერს პერუსა და ბოლივიის ნაკრებთა შორის გაიმართა. ის თამაში 1:1 დასრულდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## ესპანეთი. ლა ლიგა. XXI ტური

**სევილია-გრანადა 3:0**

**გოლები:** 1:0 კონდობია (32), 2:0 ნეგრედო (70), 3:0 მედელი (75)

**სევილია (4-2-3-1):** ხულიანი - სისინიო, ფასიო, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი, კონდობია - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი (82. სტევანოვიჩი), რეიესი (71. დელ მორალი) - ნეგრედო (76. მადურო).

**გრანადა (4-1-4-1):** რობერტო - ნიომი (66. ტორიე), დიახატე, მაინსი, სიკეირა (53. ორტისი) - ირინეი - ბრაიმი, მ. რიკო, რესიო, ორელიანა - იგჰალო (62. არანდა).

**გაფრთხილება:** რეიესი, სისინიო - ორელიანა, დიახატე, რიკო, ორტისი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 18-4 (10-3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 71-24 | 58 |
| 2. ატლეტიკო | 21 | 15 | 2 | 4 | 42-21 | 47 |
| 3. რეალი | 21 | 13 | 4 | 4 | 54-20 | 43 |
| 4. მალაგა | 21 | 10 | 5 | 6 | 33-19 | 35 |
| 5. ბეტისი | 21 | 11 | 2 | 8 | 31-33 | 35 |
| 6. ვალეკანო | 21 | 11 | 1 | 9 | 30-36 | 34 |
| 7. ვალენსია | 21 | 10 | 3 | 8 | 30-34 | 33 |
| 8. ლევანტე | 21 | 10 | 3 | 8 | 26-30 | 33 |
| 9. სოსიედადი | 21 | 8 | 6 | 7 | 32-28 | 30 |
| 10. ვალიადოლიდი | 21 | 8 | 4 | 9 | 30-27 | 28 |
| 11. სევილია | 21 | 7 | 5 | 9 | 27-29 | 26 |
| 12. ხეტაფე | 21 | 7 | 5 | 9 | 25-35 | 26 |
| 13. ბილბაო | 21 | 7 | 4 | 10 | 27-40 | 25 |
| 14. სარაგოსა | 21 | 7 | 2 | 12 | 21-30 | 23 |
| 15. ესპანიოლი | 21 | 5 | 7 | 9 | 23-32 | 22 |
| 16. სელტა | 21 | 5 | 5 | 11 | 21-26 | 20 |
| 17. გრანადა | 21 | 5 | 5 | 11 | 18-32 | 20 |
| 18. ოსასუნა | 21 | 4 | 6 | 11 | 17-26 | 18 |
| 19. მალიორკა | 21 | 4 | 5 | 12 | 22-39 | 17 |
| 20. დეპორტივო | 21 | 3 | 7 | 11 | 26-45 | 16 |

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XIX ტურის შეჯამება

# ასეთი დორტმუნდი უკვე საშიშია!

## მიონხენგლადბახელი ჯანგო, გაშაჰინებული გიუნდოგანი, უიღბლო იტალიელი მცველი და სხვა

**იმ დროს,** როცა „ბაიერნმა“ ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა და ჯერ კიდევ უახლოეს მდევარ „ლევერკუზენს“ უკვე 11 ქულით უსწრებს, გავიგეთ, რომ ტორბენ მარქსი „ჯანგოზე“ გამძლე ყოფილა, ხოლო დენის აოგომ კი 2899 დღის შემდეგ შეძლო მორიგი, რიგით მეორე ბუნდესლიგური გოლის გატანა. გერმანიის ჩემპიონატის მე-19 ტური კიდევ ბევრი რამით იყო საინტერესო.

### 2899 დღის შემდეგ

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ „ჰამბურგის“ მარცხენა მცველ **დენის აოგოს**, რომელიც ჩრდილოგერმანული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ტორსტენ ფინკმა** მარცხენა გარემარბად გადააქცია, ძალიან კარგად ახსოვდა და ახსოვს 2005 წლის 19 თებერვალი. მაშინ აოგო ჯერ კიდევ „ფრაიბურგში“ თამაშობდა და „ბოხუმთან“ მატჩის მე-80 წუთზე გაიტანა ბურთი, რომლითაც „ფრაიბურგმა“ ის მატჩი მოიგო. მას შემდეგ აოგოს გოლების ამთვლელი ისევე დუმდა, როგორც „ჰამბურგის“ უძველესი საათი, რომელიც არც შეაკეთეს, არც შეცვალეს და არც მისი დემონტაჟი დაწყებულა. გუშინწინ, იმ დღიდან ზუსტად 2899 დღის შემდეგ აოგომ კვლავ შეძლო გოლის გატანა და თანაც, „ჰამბურგისთვის“ ჩრდილოეთის უმნიშვნელოვანეს დერბიში, ბრემენის „ვერდერთან“. ეს აოგოს არც ისე ბრწყინვალე კარიერაში მეორე ბუნდესლიგური გოლი გახლდათ.

ვულოცავთ!

### პოკონიოლის დებიუტი

ბელგიელი **სებასტიან პოკონიოლი** ლიეჟის „სტანდარდიდან“ „ჰანოვერში“ წინა ოთხშაბათს გადავიდა და „წითლების“ მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** ამბობდა, ეს კაცი ჩვენს დაცვას მნიშვნელოვნად გააძლიერებსო. თავისი შესაძლებლობები პოკონიოლიმ შაბათს მხოლოდ 35 წუთი ამტკიცა, რადგან სწორედ 35-ე წუთზე ვოლფსბურგელ **ფაგნერს** უშნოდ უთავაზა, რის გამოც მსაჯმა წითელი ბარათი აუფრიალა. პოკონიოლის ახლა საკმარისი დრო ექნება იმისათვის, რომ ჰანოვერში ნორმალური ბინა იპოვოს და ისე მოაწყოს, როგორც უნდა.

### ჯანგო კი არა, მარქსი!

ამ ტურის შემდეგ უკვე საბოლოოდ დავრწმუნდით იმაში, რომ ბუნდესლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელთაგან ყველაზე გამძლე და ამტანი მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ საყრდენი ნახევარმცველი **ტორბენ მარქსია.** „ფორტუნასთან“ მატჩის დროს, რომელიც „გლადბახმა“ 2:1 მოიგო, მარქსმა შუბლი გაიხეთქა, მაგრამ მწვრთნელს შეცვლა კი არ სთხოვა, ზედ მოედანზე დართო ექიმებს იმის ნება, რომ მისი შუბლი „დაესტეპლერებინათ“! მატჩის რეჟისორმა ეს კადრები, რა თქმა უნდა, ახლო ხედით გვიჩვენა და ვინც არ ან ვერ დათვალა, ვეტყვით, რომ ტორბენ მარქსს შუბლზე სტეპლერით ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი „ნაკერი“ დაადეს! უფრო სერიოზულად კი მატჩის შემდეგ მიხედავდნენ...

### იტალიელი მარცხენა მცველი

იტალიელ **კრისტიან მოლინაროს** „შტუტგარტში“ არც ისე კარგი დროება უდგას. ფეხბურთელისგან, რომელიც შვაბენლანდურ კლუბში თავის დროზე ტურინის „იუვენტუსიდან“ გადავიდა, გერმანული პუბლიკა, რა თქმა უნდა, ბევრს ითხოვდა და ითხოვს, იტალიელი მარცხენა მცველი კი ასეთი მაღალი კლასისა რომ ყოფილიყო, „იუვედან“ ალბათ არ გაუშვებდნენ. ერთი სიტყვით, მოლინარო „შტუტგარტის“ ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი არ არის, თუმცა მთავარი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** საკმაოდ ხშირად ენდობა ხოლმე და „ბაიერნთან“ უმნიშვნელოვანეს მატჩშიც ენდო.

სადღაც პირველ ტაიმის მიწურულს „სკაის“ კომენტატორმა **ვოლფ ფუსმა** თავის ასისტენტ **ჰარალდ შმიდტს** გა-



ბრემენში 5:0, „ნიურნბერგთან“ 3:0 - „კუბა“ (შუაში) და კომპანია აღარ ხუმრობენ

დასძახა, მოლინარო დღეს გასაოცრად კარგად თამაშობსო და მართალიც იყო, რადგან იტალიელმა პირველ ნახევარში **ფილიპ ლამსა** და **თომას მიულერს** ფაქტობრივად არაფერი გააბედვინა. ამასთან, მოლინარო ძალიან მშვიდად და ეფექტურად ირჯებოდა. მერე კი, შესვენებისას, მის თავში რაღაც შეიცვალა. ვერ გეტყვით, რა დაემართა მოლინაროს იმ 15 წუთში, ფაქტი კი ისაა, რომ 50-ე წუთზე თავის მეკარეს პასი ისე მისცა, უკან არც გაუხედავს, თორემ იმედია შენიშნავდა **მარიო მანჯუკიჩს**, რომელიც ბურთს დაეუფლა, „შტუტგარტის“ მეკარე **სვენ ულრაიხს** გვერდი აუარა და ანგარიში გახსნა.

მართალია, ბავარიელებმა შვაბებს მეორეც გაუტანეს (მიულერი), მაგრამ „შტუტგარტის“ ეს წაგება მთლიანად მოლინაროს დაბრალდა. პრინციპში სამართლიანადაც!

### შტეფან როიტერი

აოგოსგან განსხვავებით, **შტეფან როიტერს** 2000 წლის 8 აპრილი შეიძლება არც ახსოვდეს. ლეგენდად ქცეული მცველი იმ დღეს, დორტმუნდის „ბორუსიას“ და „ლევერკუზენის“ მატჩში უკანასკნელად გააძევეს მოედნიდან. დღეს, ანუ, 13 წლის შემდეგ როიტერი ფეხბურთელივით აღარ გამოიყურება - შტეფანი უფრო „აუგსბურგის“ მენეჯერს ჰგავს და არის კიდეც. შაბათს, „აუგსბურგისა“ და „შალკეს“ მატჩის დროს შტეფანი მსაჯებს მისდგა და ამ დისკუსიის გამო ტრიბუნაზე მიაბრძანეს.

*„ძალიან მაინტერესებს, რას ჩაწერს მსაჯი პროტოკოლში - რით დაასაბუთებს ჩემს გაძევებას?“* - თქვა მატჩის შემდეგ როიტერმა.

### კუბა

დორტმუნდის „ბორუსია“ უკვე ყველას აშინებს. მას მერე, რაც **იურგენ კლოპის** გუნდმა მეორე წრე „ვერდერთან“ 5:0-ით დაიწყო და ამ ბრწყინვალე გამარჯვებას „ნიურნბერგთან“ 3:0 მოაყოლა, „დორტმუნდის“ მართლა ყველას ეშინია - მხოლოდ „ბაიერნში“ ინარჩუნებენ სიმშვიდეს. თუკი პარასკევამდე „დორტმუნდთან“ მიმართებაში ყველა **მარიო გიოტცესა** და **მარკო როისზე** ლაპარაკობდა, პარასკევის შემდეგ „ბორუსიაში“ კიდევ ერთი ფრიბლიორი გამოჩნდა, რომელმაც საფეხბურთო გერმანია აალაპარაკა. პოლონელ მარჯვენაფლანგელ **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის** ვგულისხმობთ, რომელმაც „ნიურნბერგთან“ დუბლი შეასრულა. „კუბამ“ დაამტკიცა, რომ „დორტმუნდს“ მინიმუმ გერმანიაში ყველაზე არაპროგნოზირებადი ნახევარდაცვა ჰყავს.

### ნურიდან ილქაიმდე და პირიქით

არც ისე დიდი ხნის წინ, გერმანელი მიმომხილველები „დორტმუნდის“ ბოსებს **ილქაი გიუნდოგანის** ტრანსფერს წარუმატებელ გარიგებად უთვლიდნენ. მერე იყო გერმანიის თასის ნახევარფინალი და „ფიურტის“ კარში მატჩის ბოლო წუთებზე გატანილი გოლი, რომლითაც „ბორუსია“ თასის ფინალში გავიდა და გეხსომებათ, მოიგო კიდეც. მას მერე თურქული წარმოშობის ცენტრალურ ნახევარმცველს, რომელიც „ბორუსიამ“ თავის დროზე **ნური შაჰინის** შემცვლელად იყიდა, დორტმუნდში საქმეები ძალიან კარგად მისდის.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, „ნიურნბერგთან“ მატჩში გიუნდოგანი ბურთს 147-ჯერ შეეხო და მისი პასების 93 პროცენტი ზუსტი გახლდათ, რაც დაახლოებით ისეთივე მაჩვენებელია, როგორიც „ბარსელონას“ ლიდერ **ჩავი ერნანდესს** აქვს ხოლმე.

სხვათა შორის, ნური შაჰინი „დორტმუნდში“ დაბრუნდა, მაგრამ კლოპი სასტარტო შემადგენლობაში გიუნდოგანს ათამაშებს.

### იღბლიანი მანჯუკიჩი

**მარიო მანჯუკიჩი** უდავოდ კარგი თავდამსხმელია, მაგრამ მაგრადაც უმართლებს და თანაც ზუსტად მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდება. **მარიო გომესის** გამოჯანმრთელების შემდეგ „ბაიერნის“ ხორვატმა ფორვარდმა კონკურენცია იგრძნო და გოლების გატანა განაახლა. მანჯუკიჩი „შტუტგარტთან“ მატჩის მე-60 წუთამდე ბურთს მხოლოდ ათჯერ შეეხო და ის-ის იყო, რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** მის შეცვლას აპირებდა, რომ მოლინაროს პასი შეირგო და ანგარიში გახსნა. ეს გახლდათ მისი მე-12 გოლი მე-17 მატჩში. მანჯუკიჩმა ესეც არ იკმარა და მოგვიანებით საგოლე პასიც გააკეთა, მოედნიდან კი 88-ე წუთზელა გაიყვანეს. მის ნაცვლად თამაშში საწყალი გომესი ჩაერთო...

**საუკეთესო ფეხბურთელები**

XIX ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 14 | 2.18 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 19 | 2.24 |
| 3. რენე ადლერი | ჰამბურგი | 19 | 2.45 |
| 4. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 17 | 2.53 |
| 5. აარონ ჰანტი | ვერდერი | 16 | 2.59 |
| 6. სებასტიან როდე | აინტრახტი | 19 | 2.71 |
| 7. თომას მიულერი | ბაიერნი | 18 | 2.74 |
| 8. ფაბიან გიფერი | ფორტუნა | 19 | 2.74 |
| 9. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 19 | 2.76 |
| 10. ტონი კროოსი | ბაიერნი | 19 | 2.78 |

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თომას მიულერი | ბაიერნი | 18 | 10 | 10 | 20 |
| 2. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 19 | 13 | 5 | 18 |
| 3. ჟაგოლჩ ჰუნტი | ჰანოვერი | 17 | 7 | 9 | 16 |
| 4. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 18 | 12 | 4 | 16 |
| 5. მარკო როისი | ბორუსია (დ) | 19 | 7 | 8 | 15 |
| 6. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 17 | 12 | 2 | 14 |
| 7. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ბორუსია (დ) | 15 | 8 | 5 | 13 |
| 8. ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | 16 | 10 | 3 | 13 |
| 9. ალექსანდერ მაიერი | აინტრახტი | 19 | 12 | 1 | 13 |
| 10. ადამ სალაი | მაინცი | 19 | 11 | 2 | 13 |

**XIX ტურის გმირი**

### კევინ ტრაპი (აინტრახტი)



ფრანკფურტის „აინტრახტის“ 22 წლის მეკარე **კევინ ტრაპმა** ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში კარი მშრალად მხოლოდ 2 მატჩში შეინახა, სამაგიეროდ, „კიკერისგან“ საუკეთესო შეფარსება (ერთიანი) მეხუთედ დაიმსახურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრაპი მართლა ყველაფერს და ხშირად შესაძლებელზე მეტს აკეთებს იმისათვის, რომ მისმა თანაგუნდელებმა მეტოქის კარში უფრო მეტი ბურთი გაიტანონ, ვიდრე მის კარში გავა. ჰოფენჰაიმელთა საგოლე მომენტებს ტრაპი უსწრაფესი რეაქციებით უმკლავდებოდა და კიდევ ერთხელ, უკვე მეხუთედ დაიმსახურა საუკეთესო შეფასება, რაც გახდა კიდეც იმის საწინდარი, რომ ტურის გმირი გამხდარიყო.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




შტუტგარტი

# იცნობდეთ: რანი ხედირა

## სამი ხედირას ძმას შვაბებმა ახალი კონტრაქტი გაუფორმეს

შესაძლოა, ჯერ კიდევ არ იცით და ახლა მაინც შეიტყობთ, რომ „შტუტგარტში“ მადრიდის „რეალისა“ და გერმანიის ნაკრების ვარსკვლავის, **სამი ხედირას** ძმა, **რანი ხედირა** ირიცხება და ისიც ნახევარმცველია. კვირას რანი 19 წლის გახდა და დაბადების დღეზე შვაბენლანდური კლუბის ბოსებმა ბრწყინვალე საჩუქარი გაუკეთეს: ახალი პროფესიული კონტრაქტი გაუფორმეს, რომელსაც ვადა 2015 წლის ზაფხულამდე აქვს. შესაბამისად, ცხადია, რომ „შტუტგარტის“ მთავარი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** და სპორტული დირექტორი **ფრედი ბობიჩი** ხედირას ძმაზე დიდ იმედებს ამყარებენ.



რანი ხედირა უფროს ძმას ჰგავს

*„დაბადების დღეზე კონტრაქტის გაფორმება საუკეთესო საჩუქარია, რამაც ძალიან გამახარა, - უთხრა რანიმ „კიკერს“, - დიდი ხანია, „შტუტგარტში“ ვთამაშობ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში დავმკვიდრდე.“*

რანი ხედირა „შტუტგარტის“ ძირითად გუნდთან ერთად შემოდგომის შემდეგ ვარჯიშობს და ლაბადიას ის შეკრებაზეც ჰყავდა წაყვანილი. როგორც ჩანს, რანიმ ბრუნოს თავი მოაწონა, თუმცა ბუნდესლიგაში მას ჯერ არ უთამაშია. სამაგიეროდ, 18-კაციან განაცხადში ერთხელ უკვე მოხვდა. მესამე ბუნდესლიგაში, „შტუტგარტის“ მეორე გუნდში მან 21-დან 20 მატჩში მიიღო მონაწილეობა („კიკერის“ საშუალო შეფასება: 3.28), ნოემბრის შემდეგ კი გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრების წევრიცაა.

*„რანიმ უდიდესი პროგრესი განიცადა და საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელია. იმედი მაქვს, რომ პროგრესს გააგრძელებს და „შტუტგარტისთვის“ მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გახდება,“* - ეს ბობიჩის სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ საფეხბურთო მსოფლიომ სამი ხედირაც „შტუტგარტიდან“ გაიცნო. მას შვაბენლანდური კლუბის მაისურით ბუნდესლიგაში დებიუტი 19 წლისა და 6 თვის ასაკში ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

სეზონის ნომინანტები



ფედერკალჩოს წარმომადგენელმა დემეტრიო ალბერტინიმ ანდრეა პირლოს საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი გადასცა, "იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა ჯუზეპე მაროტამ კი საუკეთესო გუნდისთვის განკუთვნილი ჯილდო ჩაიბარა

# იტალიური ოსკარი პირლოს

## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

**იტალიაში ყოველწლიურად "საფეხბურთო ოსკარად" წოდებული დაჯილდოება იმართება, რომელიც სეზონის საუკეთესო ფეხბურთელების, გუნდის, მწვრთნელის და მსაჯის გამოვლენას ისახავს მიზნად. დიახ, სეზონის და არა წლის, ამ შემთხვევაში კი იტალიურმა საფეხბურთო სამყარომ 2011/2012 წლების სეზონი შეაჯამა. ტრადიციულად, აღნიშნული ღონისძიება არა სეზონის დასრულებისთანავე, არამედ ახალი წლის პერიოდში ტარდება. საზეიმო ცერემონიალი მილანში გაიმართა, დანარჩენზე კი ქვემოთ...**

### სეზონის სიმბოლური ნაკრები

**ბუფონი** (იუვენტუსი) – **მაჯო** (ნაპოლი), **ბარცალი** (იუვენტუსი), **ტიაგო სილვა** (მილანი, პსჟ), **ბალცარეტი** (პალერმო, ნაპოლი) – **მარკიზიო** (იუვენტუსი), **პირლო** (იუვენტუსი), **ნოჩერინო** (მილანი) – **კავანი** (ნაპოლი), **იბრაჰიმოვიჩი** (მილანი, პსჟ), **დი ნატალე** (უდინეზე).

შეტევის წინა ხაზზე **ედინსონ კავანის, ზლატან იბრაჰიმოვიჩს** და **ანტონიო დი ნატალეს** ვხედავთ, სამივე მათგანზე ერთად, მხოლოდ სერია A-ში 74 გოლი მოდის. ნახევარდაცვაში ორი ტურინელია: **ანდრეა პირლო** და **კლაუდიო მარკიზიო**, რომლებსაც ბრწყინვალე სეზონი ჰქონდათ. მესამე **ანტონიო ნოჩერინოა**, რომელმაც სეზონში იმდენი გოლი გაიტანა, რამდენიც მთელი კარიერის განმავლობაში არ ჰქონდა გატანილი.

აღსანიშნავია, რომ სიმბოლურ გუნდში ორი ისეთი ფეხბურთელია, რომლებმაც დატოვეს იტალია და ფრანგულ პსჟ-ში გადაბარგდნენ, ერთი **ტიაგო სილვა გახლავთ** და მეორე უკვე ნახსენები ზლატან იბრაჰიმოვიჩი.

### დანაკლისი და აღმოჩენა

გასულ სეზონთან ერთად, კარიერა არაერთმა ვარსკვლავმა დაასრულა... მარტო "მილანი" ერთბაშად რამდენიმე მოთამაშემ დატოვა, რამაც ბუნებრივია მთლიანად კალჩო გაალარიბა. მოკლედ, დანაკლისის ნომინაციაში დიდი კონკურენცია იყო, საბოლოოდ არჩევანი **ფილიპო ინძაგიზე** შეჩერდა. "იუვენტუსის" და "მილანის" ექსფორვარდს განსაკუთრებული პატივი მიაგეს, მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა - ეს იყო ყველაზე ემოციური და ამაღელვებელი მომენტი.

რაც შეეხება სეზონის აღმოჩენას, აქ ორი ფეხბურთელი თანაბრად გამოირჩა: **სტეფან ელ შაარავი** "მილანიდან" და **ლუის მურიელი** "ლეჩედან"... მართალია, ელ შაარავი ისე ვერ ბრწყინავდა, როგორც მიმდინარე სეზონში, მაგრამ საფეხბურთო სამყარომ "პატარა ფარაონი" სწორედ გასულ სეზონში აღმოაჩინა. რაც შეეხება მურიელს, ის "ლეჩეში" იჯარის წესით ასპარეზობდა, ზაფხულში "უდინეზეს" დაუბრუნდა და დღეს ანტონიო დი ნატალეს მხარდამხარ ასპარეზობს. დააჯილდოეს კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ჩირო იმობილე**, რომელიც სერია B-ს საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. აქვე ვთქვათ, რომ იმობილე 22 წლისაა, ელ შაარავი 19-ის, ხოლო მურიელი 21-ის.

### ერთგულებისთვის

გუნდის ერთგულებისთვის სპეციალური ჯილდო **ხავიერ ძანეტის** გადაეცა, რომელმაც თითქმის მთელი საფეხბურთო კარიერა "ინტერს" მიუძღვნა. 39 წლის არგენტინელმა ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა და განაცხადა, რომ კარიერის თავიდან დაწყების შემთხვევაში, იმავე გზას დაადგებოდა:

*"ბედნიერი ვარ, რომ ამდენი წელია "ინტერში" ვასპარეზობ. იმედია, საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგაც ამ გუნდს ვემსახურები, რადგან სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია. არაერთი მაცდური წინადადება მიმიღია, მაგრამ წასვლაზე არც კი დავფიქრებულვარ. ანდა, რატომ უნდა მეფიქრა, როდესაც მილანში თავს შესანიშნავად ვგრძნობ".*

### მსაჯი, გუნდი, მწვრთნელი, ფეხბურთელი

საუკეთესო მსაჯი **ნიკოლა რიცოლი** გახლავთ, რომლის მთავარი კონკურენტი **პაოლო ტალიავენტო** იყო... ამ უკანასკნელმა მთელი სეზონი მაღალ დონეზე იმსაჯა, მაგრამ ერთხელ მწარედ შეცდა, როდესაც "მილანი"-"იუვენტუსის" შეხვედრაში **სალი მუნტარის** 100%-იანი გოლი არ ჩათვალა. შესაბამისად, საუკეთესოს წოდება რიცოლის ერგო. საუკეთესო გუნდი "იუვენტუსია", საუკეთესო მწვრთნელად კი **ანტონიო კონტე** აღიარეს – თუ რატომ, ახსნა არ სჭირდება, ტურინული გრანდი ჩემპიონი გახდა, კონტე კი სწორედ ჩემპიონ გუნდს წვრთნიდა. და რაც მთავარია, საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდო ანდრეა პირლოს გადაეცა. "იუვენტუსის" 33 წლის ნახევარმცველს საუცხოო სეზონი ჰქონდა, რომელმაც მისი გუნდის ტრიუმფში უდიდესი წვლილი შეიტანა.

**ლაშა წიკლაური**

სანქცია

### კონტე ორი მატჩით დასაჯეს

**გუშინ** ფედერკალჩომ ძვირი დაუსვა „იუვენტუსს" „ჯენოასთან" მატჩში **ანტონიო კონტეს** და ფეხბურთელთა შეტევა შეხვედრის არბიტრ **მარკო გუიდაზე**, როგორც თამაშისას, ასევე მისი დასრულების შემდეგ. ანტონიო კონტე და **ლეონარდო ბონუჩი** 2-2 მატჩით დაისაჯნენ და თითოეული 10 ათასი ევროთი დაჯარიმდა.

**მარკო ვუჩინიჩი** და **ჯორჯო კიელინი** თითო მატჩს გამოტოვებენ, ხოლო „ბებერი ქალბატონის" დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** თავისი გუნდის თამაშებს 18 თებერვლამდე ვერ დაესწრება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სერია A. XXII ტურის შეჯამება

# გაიცანით, მორიგი ორიუნდი: მაურო იკარდი!

## ზდენეკ ზემანს რომადან უშვებენ?

**XXII ტურის მთავარი მოვლენა "იუვენტუსის" კიდევ ერთი წაფორხილებაა, რამაც სკუდეტოსთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაძაბა. მართალია, ქულები "ლაციომაც" დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ, "ნაპოლიმ" იმარჯვა და ლიდერს სამი ქულის ინტერვალზე მიუახლოვდა. ანტონიო კონტე ემოციების ნაკლებობას არასდროს უჩივოდა, მაგრამ "ჯენოასთან" მატჩის შემდეგ, დასაკავებელი გახდა. მიზეზი მსაჯების შეცდომები იყო, თუმცა ტურინელთა მწვრთნელის საქციელი მაინც ყველამ ერთხმად დაგმო.**



მაურო იკარდიმ "სამპას" ფანები აღფრთოვანებაში მოიყვანა

### კონტე კრიტიკის ქარცეცხლში

**ანტონიო კონტემ** მსაჯებს შეუტია და "ჯენოასთან" დაკარგული ქულები მთლიანად მათ დააბრალა. ისიც დაამატა, შესაძლოა ამის მიზეზი ბევრად უფრო ცუდი იყოს, ვიდრე შეცდომებიაო. კონტეს გამოხტომას "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** გამოეხმაურა:

*"კონტეს ხშირად ადარებენ ჟოზე მოურინიოს, მაგრამ არ მახსენდება, პორტუგალიელი მსაჯებს თავს დასხმოდა. ყველამ კარგად ვიცით, რომ გასული სეზონიდან მოყოლებული, არბიტრები "იუვეს" სასარგებლოდ არაერთხელ შემცდარან და ანტონიოს საქციელი ჩემთვის სრულიად გაუგებარია. მასზე ბევრად უკეთესი წარმოდგენა მაქვს და კარგი იქნება თუ აზრს არ შემიცვლის. ანტონიო არაადეკვატური იყო და მისი საქციელი ნამდვილად არაა მოსაწონი".*

მორატის კიდევ არაერთი ცნობილი პერსონა დაეთანხმა და "იუვეს" მწვრთნელი პრესაშიც გვარიანად გააკრიტიკეს. ბევრმა "მილანი"—"იუვენტუსის" პაექრობა გაიხსენა ჯერ კიდევ გასული სეზონიდან, როდესაც **სალი მუნტარის** გოლი არ ჩაუთვალეს. მოკლედ, ის ეპიზოდი ტურინელთათვის ნამდვილ კოშმარად იქცა.

### ანელკამ სამედიცინო შემოწმება გაიარა

"იუვენტუსთან" დაკავშირებით, კიდევ ერთი ამბავი გავრცელდა, რომელიც **ნიკოლას ანელკას** ტრანსფერს უკავშირდება. 33 წლის ფრანგი უკვე ტურინშია და როგორც გაცხადდა, სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. ეს კიდევ ერთი ნაბიჯია ხელშეკრულების გაფორმებისკენ და ამ საქმესაც ალბათ მალე მოებმევა თავი. ნიკოლასმა პირველი ტურინული კომენტარიც გააკეთა:

*"ბედნიერი ვარ, რომ ასეთ დიდ გუნდში მომიწევს თამაში. ვიცი, რომ "იუვენტუსში" დიდი კონკურენციაა და ძირითად შემადგენლობაში ადგილის მოსაპოვებლად შესაძლებლობები სრულად უნდა წარმოვაჩინო. ჩემი სურვილია, რომ 5-თვიანი იჯარის შემდეგ, "იუვესთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმო. იმედია, ეს ასეც იქნება".*

### ნაპოლი სრული სვლით

გასული სეზონი, "ნაპოლიმ" სერია A-ში მეექვსე ადგილზე დაასრულა, ზაფხულში კი **ესეკილ ლავეცის** შეელია, რამაც ბევრს აფიქრებინა, რომ სამხრეთელთა მზე ჩაესვენა. მიმდინარე სეზონში, სრულიად საპირისპირო მტკიცდება – **ვალტერ მაცარის** გუნდი შესანიშნავად ასპარეზობს და სკუდეტოსთვის ბრძოლაში "იუვენტუსის" უმთავრესი, ბევრის აზრით კი ერთადერთი კონკურენტია. "ნაპოლი" ლიდერს სამი ქულის ინტერვალზე მიუახლოვდა, ამ ფორის აღმოფხვრას კი შეიძლება ერთი ტურიც ეყოს. მაცარი ისევ ყურადღების ცენტრშია და საინტერესო კომენტარებსაც აკეთებს:

*"მიმდინარე სეზონში, შესანიშნავად ვთამაშობთ და შეგირდების მიმართ კარგის მეტი არაფერი მეთქმის. ვფიქრობ, ფორმის პიკზე ჯერ არ გავსულვართ და ეს კიდევ უფრო მაიმედებს. დიახ, ჩვენ სკუდეტო გვინდა და ამას ხმამაღლა ვაცხადებ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. "იუვენტუსი" უძლიერესი მეტოქეა, რომელიც სტიმულს გვაძლევს საკუთარ თავზე მაღლა ავხტეთ. ჩვენ ვიბრძოლებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ".*



ზემანის კიდევ ერთი შანსი

### ზემანის ბოლო შანსი?

იტალიურ სპორტულ პრესაში უკვე აქტიურად განიხილება **ზდენეკ ზემანის** შესაძლო გათავისუფლების ამბავი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან "რომამ" ვერაფრით იპოვა საკუთარი თამაში და ეს იმ ფონზე, როდესაც შემადგენლობით ბევრ მასზე წინ მყოფ გუნდს სჯობია. რაც მთავარია, არანაირი პროგრესი არ შეინიშნება და "ჯალოროსი" დღესაც ისეთივე ქაოტურ ფეხბურთს თამაშობს, როგორც სეზონის სტარტზე.

პრესაში დაიწერა, რომ ზემანს ბოლო შანსი მისცეს და თუ "რომა" მომდევნო ტურშიც წაიფორხილებს, მას პოსტის დატოვება მოუწევს. ითქვა ისიც, რომ დროებით, ანუ სეზონის ბოლომდე, ჩეხ სპეციალისტს **ალბერტო მალეზანი** ჩაანაცვლებს. აქვე ვთქვათ, რომ მომდევნო პაექრობას "რომა" საკუთარ მოედანზე "კალიარისთან" გამართავს.

### ტურის გმირი

ტურის გმირი 19 წლის ფორვარდი **მაური იკარდი** გახლავთ, კიდევ ერთი ორიუნდი, რომელიც სულ მალე "სკუადრა აძურას" მაისურს მოირგებს. აქვე ვთქვათ, რომ ორიუნდს აპენინებზე იტალიელი ემიგრანტების შთამომავლებს უწოდებენ და იკარდიც ერთ-ერთი მათგანია. მაურო არგენტინელია, ან გნებავთ არგენტინაში დაბადებულ-გაზრდილი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სწორედ ისტორიული სამშობლოს ღირსება უნდა დაიცვას და "აძურაში" ითამაშოს. რთული სათქმელია, როგორი იქნებოდა მისი არჩევანი არგენტინის ნაკრებიდანაც რომ ჰქონოდა მიწვევა, მაგრამ ამას უკვე აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

გასულ უქმეებზე, იკარდიმ მთელი საფეხბურთო იტალია აალაპარაკა, რადგან "პესკარას" ერთბაშად ოთხი გოლი გაუტანა. სერია A-ში პოკერი ნამდვილად არაა სახუმარო ამბავი და მით უმეტეს, ამ ასაკში. ამბობენ, რომ მაუროთი უკვე დაინტერესდნენ კალჩოს გრანდები, თუმცა დღეს ის "სამპდორიას" ვარსკვლავია. იკარდი უდავოდ ტურის გმირია...

**ლაშა წიკლაური**

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟოზე მოურინიო - 50

# როდესაც ჭკვიანი კაცის აზრი მაინტერესებს, ლაპარაკს ვიწყებ

## იუბილარი მოურინიოს ფრთიანი ფრაზები

**კვირას ის 50 წლის გახდა და გგონიათ, თავი შეიკავა? სწორედ იუბილეს წინა დღეს თქვა, რომ ცოცხალი თავით არ წავა გერმანიაში სამუშაოდ და ამით კბილი ხოსეპ გვარდიოლას გაჰკრა. ასეთია ჟოზე მოურინიო - თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური და ძლიერი მწვრთნელი.**



ჟოზე მოურინიო დიდი ხანია, თავს განსაკუთრებულად თვლის

### გთავაზობთ მოუს ყველაზე ცნობილი ფრთიანი ფრაზების კრებულს:

■ მე არ ვარ მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი, მაგრამ არა მგონია, ვინმე ჩემზე უკეთესი იყოს.

■ იოლი საქმე რომ მდომოდა, „პორტუში" დავრჩებოდი: დიდებული ლურჯი სავარძელი, ჩემპიონთა თასი, ღმერთი, და მე ღმერთის მერე...

■ გუნდში ძალიან ძლიერი ფეხბურთელები არიან და მათ, ბოდიში არა თავმდაბლობისთვის, ძალიან ძლიერი მწვრთნელი ჰყავთ. მე ჩემპიონთა ლიგა მოვიგე და თავს განსაკუთრებულად მივიჩნევ.

■ ლონდონში ჩემთან მოვიდა 75 წლის კაცი, რომელიც ტიროდა. ის ბოლტონში იყო, როცა „ჩელსიმ" ინგლისის ჩემპიონატი მოიგო. 50 წლის წინ, ის მამასთან და ბაბუასთან ერთად იმყოფებოდა იმ მატჩზე, რომელშიც უკანასკნელად მოიგო „ჩელსიმ" ჩემპიონატი. ახლა, რა თქმა უნდა, მისი მამა და ბაბუა ცოცხლები აღარ არიან. აი, ასეთი ფაქტები ახდენენ ჩემზე შთაბეჭდილებას.

■ თუკი ოდესმე ჩემ შესახებ ფილმს გადაიღებენ, მინდა, რომ ჩემი როლი **ჯორჯ კლუნიმ** ითამაშოს. ის ბრწყინვალე მსახიობია და ჩემი ცოლი მიიჩნევს, რომ როლს იდეალურად მოერგება.

■ პორტუგალიაში ამბობენ, რაც უფრო დიდია გემი, მით უფრო ძლიერია ქარიშხალი. საბედნიეროდ, გამიმართლა - სულ დიდ გემებზე მოვხვდი. „პორტუ"პორტუგალიური ფეხბურთის ფლაგმანია, ასევეა „ჩელსი" და „ინტერი" ინგლისსა და იტალიაში, ახლა კი მე „რეალში" ვარ, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის მთავარი ფლაგმანია.

■ **ხოსეპ გვარდიოლა** ფანტასტიკური მწვრთნელია, მაგრამ მან ჩემპიონთა ლიგა ისე მოიგო, მე პირადად შემრცხვებოდა.

■ იესო ქრისტეც არ მოსწონდა ყველას, ჩემზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

■ ყველა ისე ოცნებობს „ჩელსის" წაგებაზე, რომ, როცა მართლა წავაგებთ, ქვეყანაში დასვენების დღეს გამოაცხადებენ. არა?

■ მკითხეს, „იუვენტუსის" თამაშს თუ ვუყურე, კი - **ამაურის** გოლამდე, მერე კი აღარ მეცალა, ვახშმად მშვენიერი კალმარი გვქონდა.

■ როდესაც ჭკვიანი კაცის აზრი მაინტერესებს, ლაპარაკს ვიწყებ.

■ რატომ მაკრიტიკებენ კოლეგები? იმიტომ, რომ კარგად იციან, მეორე დღეს გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვდებიან, ეს მათთვის უფასო რეკლამაა.

■ მე მაქვს ნანახი, როგორ დაარტყა „მანჩესტერ იუნაიტედმა" მწვრთნელიანად საპატიო წრე მას მერე, რაც შინ ჩვენთან წააგეს. პორტუგალიაში ასეთ საქციელზე, ტრიბუნებიდან ბოთლებს მიიღებდნენ.

■ თუკი „ბარსელონა" მეტოქეზე უკეთ თამაშობს, მაშინ ის იგებს. თუ „ბარსელონა" ვერ თამაშობს მეტოქეზე კარგად, მაშინ მსაჯები ყველაფერს აკეთებენ, რომ მაინც „ბარსელონამ" მოიგოს.

■ ჩემი მისამართით ნასროლი ყველა ქვა რომ შევაგროვოთ, ერთი დიდი ძეგლი გამოვა.

■ გიყვარვართ თუ არა, მე ერთადერთი ვარ, რომელმაც სამი უძლიერესი ტურნირი მოიგო. ასე რომ, მგონი განსაკუთრებული კი არა ერთადერთი უნდა დამიძახოთ.

■ მირჩევნია, ერთხელ 0:5 წავაგო, ვიდრე ხუთჯერ - 0:1.

■ ნახეთ, რას აკეთებდნენ მოედანზე ჩემი ბიჭები? ჩვენ იმ შემთხვევაშიც კი მოვიგებდით, **კასილიასის** ნაცვლად კარში მე რომ ჩავმდგარიყავი.

■ არიან ისეთებიც, რომლებიც მოგებების შემდეგ ხარობენ, მე საამისო დრო არ მრჩება.

■ თუკი **კამბიასოს** და **ძანეტის** გვერდით ვარჯიშობ და მაინც ვერ ვითარდები, ესე იგი ტვინში მხოლოდ ერთი ხვეული გაქვს და ისიც არასწორად მუშაობს.

■ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა უნდა შეწყდეს, რადგან **მესი** და **რონალდო** ამ პლანეტიდან არ არიან.

### ფილმი მოურინიოზე

ჟოზე მოურინიოს 50 წლის იუბილესთან (27 იანვარს ჰქონდა) მადრიდის „რეალის" საკლუბო ტელევიზიამ („რეალ ტვ") დოკუმენტური ფილმი გადაიღო.

ეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც 13-წუთიანია, „რეალის" თავკაცის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. მასში გამოყენებულია მოუს ოჯახის წევრთა, მეგობრების მოგონებები, ბავშვობისა და ახალგაზრდობის ფოტო-ვიდეო არქივი.

goal.com-ის კარიკატურა - ჟოზეს საიუბილეო ოცნება




ბარსელონა



ბარსელონას მორიგი შოუ




ლეო მესიმ პრიმერადივიზიონში 200-ზე მეტი გოლი გაიტანა

# ტიაგოს, ჩავის და მესის საოცარი მიღწევები

## საინტერესო ფაქტები „ბარსელონა"-„ოსასუნას" მატჩიდან

* **პედრომ** ბოლო სამ მატჩში შეძლო გატანა, ბოლოს თავდამსხმელს ასეთი წარმატებული სერია ზუსტად 2 წლის წინათ ჰქონდა.

* **ტიაგო ალკანტარამ** და **დავიდ ვილიამ** სეზონში პირველად ითამაშეს 90-90 წუთი.

* „ოსასუნას" წინააღმდეგ ყველაზე მეტი ზუსტი პასი ტიაგო ალკანტარამ გააკეთა - 119 (130-დან).

* „ოსასუნას" ბოლო ორი მატჩია, სასტიკად არ უმართლებს „კამპ ნოუზე" - ჯამში 13 გოლი გაუშვა (0:8 და 1:5).

* **სერხიო ბუსკეტსმა**, რომელიც 75-ე წუთზე შეცვალეს, ორივე გუნდში ყველაზე მეტჯერ მოიგო ბურთი - 14-ჯერ.

* **ლეო მესიმ** ზედიზედ მე-11 ტურში შეძლო გოლის გატანა.

* პედრომ „ბარსელონას" მაისურით 199 გოლი გაიტანა.

* ჩავიმ 87 პასი გააკეთა, რომელთაგანაც 86 ზუსტი იყო.

### მესი ორასიანთა კლუბში

მხოლოდ **ლიონელ მესის** შეუძლია ერთ თამაშში ერთდროულად რამდენიმე რეკორდის დამყარება: არგენტინელი ამის დიდოსტატია. „ოსასუნას" მან 4 გოლი გაუტანა, ლა ლიგაში 21 ტურის შემდეგ 33 გოლით ლიდერობს, ზედიზედ 11 ტურში გაიტანა, რაც, რა თქმა უნდა, აქამდე არავის გაუკეთებია და ლა ლიგის 200-გოლიანთა კლუბში შევიდა - უკვე 202 გოლი დაუგროვდა. და ამას 25 წლისამ მიაღწია!

ლეოს საამისოდ 235 თამაში ეყო. საშუალოდ 0,85 გოლი თამაშში - გროსმეისტერული შედეგია! არგენტინელი „ლა პულგა" მეტეორივით შემოიჭრა ესპანურ და მსოფლიო ფეხბურთში - ყველაფერი კი 2004-05 წლების სეზონში დაიწყო, როცა მესიმ ლა ლიგის 7 მატჩი ითამაშა. იმ სადებიუტო სეზონში ლეომ მხოლოდ 1 გოლი გაიტანა, მაგრამ მსოფლიოს დაანახვა, რომ სპორტის ამ სახეობაში სიტყვა ეთქმის.

| ლეო მესის გოლები ლა ლიგაში | |
|---|---|
| 2004/05 | 1 |
| 2005/06 | 6 |
| 2006/07 | 14 |
| 2007/08 | 10 |
| 2008/09 | 23 |
| 2009/10 | 34 |
| 2010/11 | 31 |
| 2011/12 | 50 |
| 2012/13 | 33 (მიმდ) |

ამბები

### ტიტო ბარსას ნიუ იორკიდან მართავს

„ბარსელონას" მწვრთნელის ასისტენტმა **ჟორდი როურამ**, რომელიც ამჟამად მთავარი მწვრთნელის მოვალეობებს ასრულებს, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „კლასიკოზე" ტიტო ვილანოვა გუნდთან ერთად არ იქნება. 30 იანვარს ესპანეთის თასის პირველ ნახევარფინალურ მატჩში „ბარსა" მადრიდში ეწვევა „რეალს".

*„ახლა მაღალი ტექნოლოგიების საუკუნეა და მე და ტიტო მუდმივ კონტაქტში ვიმყოფებით. ის უყურებს ყველა თამაშს და ვარჯიშს ეთერით და ხანდახან, თამაშის დროსაც გამოდის კონტაქტზე"*, - განაცხადა როურამ.

### ლორენტეს მდგომარეობა გაურკვეველია

ტურინის „იუვენტუსის" ახალწვეულს (1 ივლისიდან შეუერთდება გუნდს) **ფერნანდო ლორენტეს** ცუდად აქვს საქმე - „ბილბაოს" ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, რომელიც შეიძლება სერიოზული აღმოჩნდეს.

ფერნანდომ, რომელსაც „ბილბაოს" გულშემატკივრები ძალიან ცუდად დახვდნენ, ვარჯიშისას მარჯვენა მუხლი დაიშავა. ახლა მხოლოდ MRI დასხივება თუ განსაზღვრავს ტრავმის სერიოზულობას, თუკი მუხლის მყესები დაშავებულია, მაშინ ლორენტეს თვეობით უქმობა მოუწევს.

### კლასიკო გადაიწევს?

მადრიდის „რეალმა" ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგას (ლფპ) და იმ სატელევიზიო კომპანიას, რომელსაც „კლასიკოების" ჩვენების უფლება აქვს, ოფიციალურად სთხოვა ლა ლიგის II წრის „კლასიკოს" თარიღის შეცვლა.

თამაში 2 მარტს უნდა გაიმართოს, შაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე", მადრიდელები კი ითხოვენ 1 მარტს თამაშის გადმოტანას. მიზეზი 5 მარტის თამაშია „ოლდ ტრეფორდზე" - „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „რეალს" შორის. „სამეფო კლუბს" სურს, რომ ჩემპიონთა ლიგის ძალიან მნიშვნელოვანი მატჩის წინ, ერთი დღით მეტი დაისვენოს.







### ისკო მალაგაში დარჩა

„მალაგამ" მიაღწია შეთანხმებას ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ ამომავალ ვარსკვლავთან - **ისკოსთან** (ფრანსისკო რომან ალარკონ სუარესი) და ის კლუბში რჩება. გუშინ 20 წლის ფეხბურთელმა ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელსაც ვადა 2016 წლის ზაფხულში უთავდება, მანამდე კი ისკოს მთხოვნელ კლუბს 40 მილიონი ევრო უნდა ჰქონდეს გამზადებული. ისკო 2011 წელს გადავიდა „ვალენსიადან" (ამ კლუბის აღზრდილია) „მალაგაში".

### რონალდო: ბარსას დამარცხების კარგი შანსი გვაქვს

30 იანვარს, ესპანეთის „სამეფო თასის" პირველ ნახევარფინალურ მატჩში მადრიდის „რეალი" „ბარსელონას" უმასპინძლებს. კლუბის 27 წლის პორტუგალიელი ლიდერი **კრიშტიანო რონალდო** მიიჩნევს, რომ „სამეფო კლუბს" კარგი შანსი აქვს, გათამაშებიდან „ბარსა" გამოთიშოს.

*„ძალიან მნიშვნელოვანი და რთული მატჩი გველის. ჩვენ უნდა შევხვდეთ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მოუხელთებელ გუნდს. ეჭვიც კი არ მეპარება, რომ ძალიან საინტერესო მატჩი გამოვა. ჩვენ შინ ვთამაშობთ და ამიტომ წარმატების მიღწევის კარგი შანსი გვაქვს. რა თქმა უნდა, ძალიან დაგვაკლდება 1-2 ფეხბურთელი, მაგრამ სხვა გზა არაა, მათ გარეშე უნდა ვიბრძოლოთ. ძალიან კარგად უნდა ვითამაშოთ, „ბარსელონა" ხომ ფანტასტიკური გუნდია"*, - განაცხადა 27 წლის ფეხბურთელმა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ინტერვიუ. ნეიმარი

# ბრაზილიელი ფეხბურთელები ზეწოლას მიჩვეულნი ვართ




ნეიმარი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია. "სანტოსის" 20 წლის ფორვარდი, ცოტა ხნის წინ, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად ზედიზედ მეორედ დაასახელეს. მიუხედავად უამრავი მაცდური წინადადებისა, ბრაზილიელი კვლავ "სანტოსის" ერთგულია და გუნდის დატოვებას ჯერ არ აპირებს. ამ და სხვა საინტერესო თემებზე ნეიმარს ფიფას ოფიციალური საიტი გაესაუბრა...

**- პუშკაშის პრიზზე ზედიზედ მეორედ იყავით ნომინირებული. ყოველი წლის დასაწყისში, მიზნად ლამაზი გოლების გატანას ისახავთ?**

- არა, ასე ნამდვილად არ არის. მოედანზე გასვლის წინ ამაზე არ ვფიქრობ, უბრალოდ, ღმერთის წყალობით რამდენიმე ლამაზი გოლი გავიტანე და ამ გოლების გამო პუშკაშის პრიზზეც წარმადგინეს.

> მაინც კარგი შეგრძნებაა, როდესაც სახლში ოლიმპიური მედალი გაქვს.

**- გოლების გატანა უფრო გსიამოვნებთ, თუ საგოლე პასების გაკეთება?**

- ორივე მსიამოვნებს. თუ გოლი ვერ გამაქვს, საგოლე პასის გაკეთებაც მიხარია. სიმართლე რომ გითხრათ, როდესაც თანაგუნდელს ჩემი გადაცემის შემდეგ გოლი გააქვს, ისეთივე შეგრძნება მეუფლება, თითქოს მე გამეტანოს.

**- რომელი უფრო რთულია: ფეხბურთის თამაში თუ ბავშვის გაზრდა?**

- გააჩნია სიტუაციას (იცინის). ჩემი შვილი თითქმის 18 თვის არის და ახლა გაცილებით მეტი საქმე მაქვს, ასე რომ, ბავშვის აღზრდა ოდნავ რთულია.

**- როგორი მამა ბრძანდებით?**

- ძალიან ბედნიერი. ჩემს შვილთან ერთად დიდ დროს ვატარებ და ვცდილობ, რომ სულ მის გვერდით ვიყო.

**- ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ. რა იყო თქვენი საუკეთესო მომენტი 2012 წელს?**

- ალბათ თამაში "კრუზეიროსთან" (ნეიმარმა იმ შეხვედრაში ჰეთთრიქი შეასრულა, "სანტოსმა" კი 4:0 მოიგო), რადგან შეხვედრის შემდეგ მეტოქის ქომაგებმა აპლოდისმენტებით დამაჯილდოვეს, რაც ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო.

**- ლონდონის ოლიმპიადისგან როგორი მოგონება დაგრჩათ?**

- კარგიც და ცუდიც. ლონდონში ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე. ბევრი სპორტსმენი, ოლიმპიადაზე მედლისთვის მიდის და დიდი მნიშვნელობა არ აქვს მაინცდამაინც ოქროს მოიგებს, ვერცხლს თუ ბრინჯაოს, მთავარი მედალია. ჩვენ სამშობლოში ვერცხლით დავბრუნდით, რაც ცუდი შედეგი არ იყო. მექსიკასთან ფინალში წაგებამ ძალიან გაგვანბილა, მაგრამ მაინც კარგი შეგრძნებაა, როდესაც სახლში ოლიმპიური მედალი გაქვს.

**- მექსიკას კონფედერაციის თასზეც შეხვდებით. ფიქრობთ რევანშზე?**

- ცოტათი (იცინის). მთავარი მიზეზი ოლიმპიადის ფინალის წაგებაა, თორემ ისე მექსიკის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ზოგადად, ყველა ფინალს ერთი გამარჯვებული ჰყავს და ზაფხულში ყველაფერი მათ სასიკეთოდ აეწყო. ჩემი აზრით, მათ აბსოლუტურად დამსახურებულად მოიგეს.

**- ბრაზილიის ნაკრებში პირველად მანო მენეზესმა გამოგიძახათ...**

- კი, ასეა. პირველად შანსი სწორედ მან მომცა და მანომ ბევრი რამ მასწავლა. ყველა მწვრთნელს საკუთარი სტილი აქვს და ფეხბურთელი, თითოეული მწვრთნელისგან, ვისთანაც უმუშავია, რაღაც ახალს სწავლობს. მენეზეში გამონაკლისი არ ყოფილა და მე მისგან მართლაც ბევრი რამ ვისწავლე.

**- ლუიშ ფელიპე სკოლარის დანიშნვაზე რა აზრის ხართ?**

- მისგან ყველა ძალიან ბევრს ელის. სკოლარი დიდებული მწვრთნელია და გარდა ამისა შესანიშნავი პიროვნებაც გახლავთ. მე მისი გუნდების წინააღმდეგ მითამაშია და იმედი მაქვს, რომ ამჯერად, როდესაც ერთად გავირჯებით, ყველა თამაშს მოვიგებთ.

**- ბოლოს ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონატი სწორედ სკოლარის ხელმძღვანელობით მოიგო (2002 წელს). როგორ გახსენდებათ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი?**

- ყველაფერი კარგად მახსოვს. მაშინ 10 წლის ვიყავი და დილით ძალიან ადრე ვდგებოდი, რადგან ბრაზილიის დროით მატჩები სწორედ მაშინ იწყებოდა. ბრაზილიას მთელი გულით ვქომაგობდი და ყველა გოლი, განსაკუთრებით ფინალური შეხვედრის გოლები, ძალიან კარგად მახსოვს.

**- რამდენად მნიშვნელოვანია კონფედერაციის თასი, თანაც იმის ფონზე, რომ ბრაზილიას ბოლო წლებში ოფიციალური მატჩები არ უთამაშია?**

- ეს ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია. ზაფხულში მსოფლიოს წამყვან გუნდებს დავუპირისპირდებით და იოლი მატჩები ნამდვილად არ გვექნება. კონფედერაციის თასი მუნდიალისთვის მოსამზადებლად და გუნდის ჩამოსაყალიბებლად უნდა გამოვიყენოთ.

**- მზად ხართ იმ ზეწოლასთან გასამკლავებლად, რომელიც ორ საშინაო ტურნირზე იქნება?**

- ჩვენ წნეხს ყოველთვის ვგრძნობთ, მიუხედავად იმისა თუ სად ვთამაშობთ, მაგრამ სახლში, რა თქმა უნდა, ზეწოლა ერთიორად დიდი იქნება. სა[illegible] კარიერის განმავლობაში ფინალები მომიგია და ვიცი რას ნიშნავს, როდესაც შენგან გამარჯვებას ელიან. ბრაზილიელი ფეხბურთელები ზეწოლას მიჩვეულნი ვართ, ასე რომ, ეს ჩვენთვის პრობლემა არ იქნება.

**- ეთანხმებით თუ არა რონალდოს მოსაზრებას, რომელმაც განაცხადა, რომ ბრაზილია ამჟამად ხუთ წამყვან ნაკრებს შორის არ არის?**

- ფიფას რეიტინგის მიხედვით ბრაზილია ხუთეულში ნამდვილად არ არის, მაგრამ ჩვენ ბევრს ვშრომობთ იმისთვის, რომ წარმატებას მივაღწიოთ. დიდი ხანი არ არის, რაც ერთად ვთამაშობთ, შედარებით ახალი გუნდი გვყავს და შესათამაშებლად გარკვეული დრო გვჭირდება.

**- რას ისახავთ მიზნად 2013 წელს?**

- მსურს, რომ "სანტოსთან" ერთად ყველა შესაძლო ტიტული მოვიგო. იგივე ეხება ბრაზილიის ნაკრებსაც – მთავარი მიზანი ყველა მატჩის და კონფედერაციის თასის მოგებაა.

**- 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ისევ "სანტოსში" იქნებით?**

- არ ვიცი. ჩემს კონტრაქტს ვადა 2014 წელს გასდის, იქამდე კი ძალიან დიდი დროა. ახლა ნამდვილად ვერ გეტყვით, რა მოხდება. როდესაც დრო მოვა, ამ თემაზე აუცილებლად დავილაპარაკებთ და გადაწყვეტილებასაც მაშინ მივიღებთ.

**- დანი ალვეშმა გვითხრა, რომ "ბარსელონაში" გადასვლისკენ მოგიწოდებთ.**

- (იცინის) დანი ყოველთვის მავიწროვებს და ზეწოლის ქვეშ მაქცევს.

**- მიგაჩნიათ, რომ ბრაზილიაში დიდი ხნით დარჩენა თქვენ განვითარებას ხელს შეუშლის?**

- არა. განვითარება და გაზრდა ყველგან შესაძლებელია. ჩემი აზრით, წლიდან წლამდე ვუმატებ და უკეთესი მოთამაშე ვხდები. ზოგ ადამიანს მიაჩნია, რომ წინსვლისთვის ბრაზილიიდან წასვლაა საჭირო, მაგრამ მე მათ არ ვეთანხმები.

**- თქვენ მხოლოდ 20 წლის ბრძანდებით, არადა, უკვე საკმაოდ პოპულარული ხართ. რამდენად რთულია, როდესაც ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ამდენი ადამიანი გიცნობს?**

- ბევრი რამ ჩემს ცხოვრებაში ძალიან სწრაფად მოხდა, მაგრამ მე ამ ყველაფრისთვის მზად ვიყავი, რადგან ყველაფერს მძიმე შრომის შედეგად მივაღწიე. ვიმედოვნებ, რომ კიდევ ბევრ ტიტულს მოვიგებ და ზრდას გავაგრძელებ. მსურს, რომ კიდევ უფრო უკეთესი ფეხბურთელი და უკეთესი პიროვნება გავხდე.

20-წლამდელთა კოპა ამერიკა. ფინალური ჯგუფი. III ტური

# ჩემპიონობისთვის ბრძოლა იბრძვის

## ყველაფერი პარაგვაის ხელშია

**ჩილე–ურუგვაი 0:1**

**გოლი:** 0:1 გ. ბუენო (63).

**პერუ–კოლუმბია 0:1**

**გოლი:** 0:1 კინტერო (18-პენ).

**პარაგვაი–ეკვადორი 1:0**

**გოლი:** 1:0 ვილიამაიორი (88).
**გაძევება:** ლეონი (84. ეკვადორი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოლუმბია | 3 | 3 | 0 | 0 | 4-1 | 9 |
| 2. პარაგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3. ურუგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 4. ჩილე | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 5. პერუ | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 6. ეკვადორი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 – ნ. ლოპესი (ურუგვაი); 4 – როლანი (ურუგვაი), დერლის გონსალესი (პარაგვაი), ნ. კასტილიო (ჩილე), ჯ. კორდობა (კოლუმბია), კინტერო (კოლუმბია); 3 – ბორხა (კოლუმბია), რეინა (პერუ), მ. პერესი (პარაგვაი).

**მომდევნო ტური** (31 იანვარი): ჩილე-კოლუმბია, პერუ-ეკვადორი, პარაგვაი-ურუგვაი.




ხუან კინტეროსის კოლუმბია ლიდერია

ახალგაზრდული კოპა ამერიკის მესამე ტურის შემდეგ, ის სამი ლიდერი გამოიკვეთა, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მართალია, ჯგუფში კოლუმბია ლიდერობს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ყველაფერი პარაგვაის ხელშია, რადგან ეს გუნდი ბოლო ორ ტურში უშუალო კონკურენტებს ხვდება. ასე რომ, თუ პარაგვაელები დარჩენილ მატჩებს მოიგებენ, ახალგაზრდულ კოპა ამერიკაზე ისტორიაში მეორედ გაიმარჯვებენ (პარაგვაი ჩემპიონი 1971 წელს გახდა). საინტერესოა, რომ ფინალურ ჯგუფში სამი ისეთი გუნდია, რომელსაც 20-წლამდელთა კოპა არასდროს მოუგია (ჩილე, პერუ, ეკვადორი) და მათ ამის გაკეთების შანსი არც ახლა აქვთ.

პარაგვაიმ ამ ტურში ეკვადორს დიდი გაჭირვებით მოუგო. ეკვადორელებს 84-ე წუთზე **ლეონი** გაუძევეს, ფავორიტმა გოლი ამის შემდეგ, 88-ე წუთზე გაიტანა – თავი 18 წლის **ხუან ვილიამაიორმა** გამოიჩინა. რთული მატჩი ჰქონდა კოლუმბიასაც, რომელმაც ერთ-ერთი ლიდერის, **ხუან კინტეროსის** პენალტით მოიგო. "პესკარას" ფეხბურთელმა ტურნირზე მეოთხე გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ **ნიკოლას ლოპესს** ჩამორჩება.

ამ ტურის ცენტრალური მატჩი კი ჩილე-ურუგვაის დაპირისპირება იყო. დამარცხებული საჩემპიონო შანსებს უნდა გამომშვიდობებოდა, ფრე კი ხელს არც ერთს აძლევდა და არც მეორეს. საბოლოოდ, უშელავათო და დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება ურუგვაის დარჩა. ნიკოლას ლოპესმა და **დიეგო როლანმა** ისევ ვერ გაიტანეს, სამაგიეროდ თავი ცვლილებაზე გამოსულმა **გუსტავო ბუენომ** გამოიჩინა და საკუთარ გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩემპიონობის გარდა, გუნდები მუნდიალის 4 საგზურის მფლობელსაც არკვევენ. ასე რომ, მთელი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის და პერუ-ეკვადორის დუეტსაც საკმაოდ დიდი მოტივაცია აქვს შერჩენილი. მეოთხე ტურში ორი აუტსაიდერი ერთმანეთს ხვდება და დამარცხებული მუნდიალზე ოცნებას შეეშვება, გამარჯვებულს კი ზაფხულში თურქეთში გამგზავრების საკმაოდ კარგი შანსი გაუჩნდება.

### როლანი ბორდოში გადადის

20-წლამდელთა კოპა ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ურუგვაელი **დიეგო როლანი** "ბორდოში" გადადის. "დეფენსორ სპორტინგის" 19 წლის ფეხბურთელი, რომელმაც 38 შეხვედრაში 10 გოლი გაიტანა, არგენტინაში მიმდინარე ახალგაზრდულ კოპა ამერიკაზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და "ჟირონდელთა" დამრიგებელი **ფრანსის ჟიო** მოხიბლა.

როლანი ახალ კლუბს ტურნირის დასრულების შემდეგ შეუერთდება. იქამდე კი "ბორდოს" **ჟუსიც** დატოვებს. ჟუსიმდე კი "ბორდოდან", გუნდის საუკეთესო ბომბარიდირი, **იოან გუფრანი** წავიდა, რომელიც "ნიუკასლში" გადავიდა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის ზამთრის სახეობები



აჯილდოებს კობა ნაქაძე

# სეზონი გახსნეს

**ზამთრის სპორტული სეზონი ბაკურიანში, წინა საუკუნეში ნლების განმავლობაში ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომით იწყებოდა და მთავრდებოდა „ლელოს“ დიდი პრიზის გათამაშებით მარტის ბოლოს კოხტაზე. ამჯერადაც ზამთრის სპორტული სეზონი თეთრ მარგალიტში მფრინავმა მოთხილამურეებმა გახსნეს. 40-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა.**

უფროს ასაკში ორი ცდის ჯამში ყველაზე მეტი ქულა - 270,8 დააგროვა **დავით მინასიანმა** (ნახტომები 51,5 და 50,5 მ.). 248,4 ქულით მეორე ადგილზე **ლევან კოზანაშვილი** გავიდა (48,5; 47,5).

მესამე ადგილი წილად ხვდა **ლევან ტონოიანს** - 213,6 (42; 49,5).

უმცროს ასაკში ადგილები ასე განაწილდა: 1. **გიორგი შუბითიძე** - 250,4 ქულა 47 და 49), 2. **არტურ სარქისიანი** - 228,9 (44,5 და 44), 3. **ივანე ბასილაშვილი** - 213,6 (43 და 43,5).

ყველაზე პატარა მონაწილე იყო 12 წლის **ვაჟა კოზანაშვილი** (ნახტომები 30 და 27), რომელსაც კობა წაქაძის სპეციალური პრიზი თავად ლეგენდარულმა მხტომელმა გადასცა. გამარჯვებულებს და პრიზიორებს მედლები, პრიზები და საჩუქრები გადასცეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა **მამუკა ხაზარელმა,** საქართველოს სპორტის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსმა **ირაკლი დოლაბერიძემ,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით **კამკამიძემ.** ორი სპორტსმენი ფულადი ჯილდოთი წაახალისეს ყოვფილმა მოხტუნავეებმა **ზურაბ კურტანიძემ** და კლუბის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ნიკოლოზ შატბერაშვილმა,** რომელიც წლებია დიდ დახმარებას უწევს მოხტუნავეებს.

5 მფრინავ მოთხილამურეს ახალი სპორტული ინვენტარის სრული კომპლექტი გადასცა ყოფილმა მოხტუნავემ 80-იანი წლების ცნობილმა სპორტსმენმა **ელგუჯა ორჯონიკიძემ,** რომელიც კარგა ხანია საქართველოში არ იმყოფებოდა.

- ჩამოვედი და მოხარული ვარ, რომ იმ სახეობას, რომელიც ჩემში შესისხლხორცებულია და რომლითაც გავიზარდე, როგორც სპორტსმენი, დღეს ჩემი მეგობრები იბრაჰიმ გობოზოვი, გელა სოტიშვილი, გიორგი დიაოკონაშვილი მძიმე პირობების მიუხედავად მეურვეობენ. დღეს, ამ პატარა 40-მეტრიან ტრამპლინზე, საიდანაც ოდესლაც მეც ვხტებოდი, კვლავ სიცოცხლე სჩქეფს.

როცა მოსკოვიდან ბაკურიანში მოვდიოდი, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომისა და სათხილამურო ორჭიდის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე უვაროვმა სალამი და მოკითხვა დამაბარა ქართველ სპორტსმენებთან, განსაკუთრებით მოხტუნავეებთან და მათთვის საჩუქრად ეს ხუთი კომპლექტი გამომატანა. მეგობრობა და კონტაქტები არის და მათაც სურთ ტრამპლინიდან ხტომა ბაკურიანში განვითარდეს - გვითხრა ელგუჯა ორჯონიკიძემ.

როგორც გავიგეთ, იგი რუსეთში ქართულ ოჯახში დაბადებულ და გაზრდილ ბავშვს **სერგო ახობაძეს** ხელს უწყობს, რომ ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე იასპარეზოს, თუ მანამდე იგი, რომელიც რუსეთის ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს, ევროპის თასზე სალიცენზიო ქულას აილებს.

**სოფო ხეთაგაშვილი**

სპორტი რელიგიურ დღესასწაულებზე. ნინოობა-2013

# უცვლელი ტრადიცია

წმინდა ნინოს დიდებული დღესასწაული - „ნინოობა“ განსაკუთრებული პატივით აღინიშნება ხოლმე სოფელ ნინოწმინდაში. ეს სოფელი დასავლეთის მხრიდან ზედ საგარეჯოზეა მიბმული. იანვარში როგორი ამინდიც უნდა იყოს, აქ „ნინოობაზე“ ზურნა-დოლის ხმა და ქართული ჭიდაობა დღესასწაულის უცვლელი ტრადიციაა. წლეულსაც არ შეირცხვინეს თავი გარეკახელებმა და ქართული ჭიდაობა გააჩაღეს. ცოცხალი წრის შორიახლოს ღობის ძირში ჭედილაც მიაბეს, რომელიც გამარჯვებულ ფალავანს ელოდა, როდის მოიგდებდა ზურგზე.

ფალავანთა ფალავანი **ლევან თედიაშვილი,** რომელიც 15 მარტს 65 წლის ხდება, ხშირად იტყვის ხოლმე, რომ არ მეჭიდავა „ნინოობაზე“ და არ ყოფილიყო ჩემთვის მაგალითი **არსენ მეკოკიშვილი,** ჩემგან მოჭიდავე არ გამოვიდოდა, ბალღობაში ხომ ფეხბურთელობასა და მესხობაზე ვოცნებობდიო. ლევანის კიდევ ერთი ოცნება ტრაქტორისტობა და „ბელარუსზე“ შემოჯდომა იყო.

პატარა ლევანმა პირველად სწორედ ნინოწმინდაში „ნინოობის“ წმინდა დღესასწაულზე იჭიდავა ქართული ჭიდაობა 60-იანი წლების დასაწყისში. ერთმა საგარეჯოელმა თქვა მაშინ - ქიტესას ბალღს აქ რაღა ესაქმებაო? სწორედ იქიდან დაიწყო, რაც დაიწყო...

წლევანდელ „ნინოობაზე“ ბევრმა ბალღმა მოსინჯა ძალა ნახერხმოყრილ სარბიელზე. იქნებ მომავალში მათ შორის „დიდი თედის“ სადარი გარეჯელი ფალავანი კიდევ ვიხილოთ დიდ სარბიელზეც, ვინ იცის.

მთავარი შეჯიბრება კი ამჯერად აბსოლუტური ფალავნის სახელის და ყოჩის მოპოვება იყო.

„ნინოობა 2013“-ის ფალავანი კი გახდა ნინოწმინდელი **ზურაბ ტოპეშაშვილი.**

ასპარეზობას სხვა ქომაგებთან ერთად ლევან თედიაშვილიც დაესწრო.

**გაბრიელ ბარჯაძე**

*ავტორის ფოტო*



„ნინოობის“ ფალავანი ზურაბ ტოპეშაშვილი

ჩოგბურთი

# ეილათში დამარცხდნენ

ეილათში (ისრაელი) დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 75.000 დოლარი), რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე დამარცხდნენ საქართველოს ქალთა ნაკრების წევრები - **სოფიო შაფათავა** და **მარგალიტა ჩახნაშვილი.** გუშინ ისინი წყვილთა პაექრობებსაც დაემშვიდობნენ. ჩახნაშვილი იტალიელ ალბერტა ბრიანტისთან ერთად რუმინელებს -ანდრეა მიტუსა და რალუკა ოლარუს დანებდა - 1:6, 2:6, ხოლო სოფიო შაფათავა და ტერეზა მრდეზა (ხორვატია) იულია გლუშკოსა (ისრაელი) და იოჰანა კონტასთან (დიდი ბრიტანეთი) დამარცხდნენ: 6:7, 3:6.

ორივე ქართველი ჩოგბურთელი ეილათშივე დარჩება და ფედერაციის თასის გათამაშების პირველი ლიგის შეჯიბრებისთვის მოემზადება. ეს ტურნირი კი ისრაელში 6-9 თებერვალს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ძიუდო. რეფორმები

# ცვლილებების სეზონი

## ვიაქტიუროთ, უტურნიროდ არ დავრჩეთ!

**2013 წელს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია არა მხოლოდ წესებში შეტანილი რადიკალური ცვლილებებით შეხვდა (ამით მთლიანად იცვლება ჭიდაობის სტილი), არამედ რეფორმები საორგანიზაციო კუთხითაც განახორციელა - შეიცვალა ტურნირთა დახარისხება, ქულათა დარიცხვის სისტემა რეიტინგში...**

დავიწყოთ იმ ცვლილებით, რაც უშუალოდ ჩვენ გვეხება - მსოფლიოს თასებს, რომელსაც ტრადიციულად ვმასპინძლობდით ხოლმე, ამიერიდან „ღია კონტინენტური თასები“ ეწოდებათ. ამ რანგის შეჯიბრებები ყველა კონტინენტზე იმართება, თუმცა უმეტესობა მაინც ევროპას ერგო -13. პანამერიკაში 3 ასეთი შეჯიბრება ჩატარდება, სადაც ერთი ახალი წერტილია - ურუგვაის დედაქალაქი მონტევიდეო, ბუენოს აირესი და სან-სალვადორი კი ადრეც ატარებდნენ. თითო-თითო ასეთ შეჯიბრებას უმასპინძლებენ ავსტრალია-ოკეანიის რეგიონული ფედერაცია (სამოაში) და აფრიკული კონფედერაცია - მადაგასკარიდან მთელი 900 კილომეტრის დაშორებით ინდოეთის ოკეანეში მიმოფანტულ მავრიკიის კუნძულების დედაქალაქ პორტ ლუისში.

ევროპული 13 შეჯიბრებიდან მხოლოდ ერთია ისეთი, სადაც ქალები და ვაჟები ერთად იჭიდავებენ. ესაა მინსკის ტურნირი და სწორედ ამ გაორებით გამოდის, რომ ორივე სქესის წარმომადგენლებს ევროპაში 7-7 შეჯიბრება გამოუდით.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ ამ ჩამონათვალში არ გვიხსენებია ძიუდოს სამშობლო აზია - მათ აქცენტი უფრო მაღალი რანგის ტურნირზე, „დიდ პრიზზე“ აიღეს. ბარემ აქვე გეტყვით, რომ ამ კატეგორიის შეჯიბრებათა რიცხვი 10-მდე გაიზარდა, „დიდი მუზარადი“ კი ისევ ოთხი დარჩა, ოღონდ მათ ტრადიციულ მასპინძლებში ერთი ახალი წევრიცაა - ბაქო, რომელმაც რიო დე ჟანეიროს ადგილი დაიკავა. აზერბაიჯანი აქამდე „დიდ პრიზს“ ატარებდა (შარშან მასერტსსაც უმასპინძლა), ახლა კი, რაკი კვოტა გამოთავისუფლდა, უფრო პრესტიჟულ შეჯიბრებას წაეპოტინა. რიო დე ჟანეიროში წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება და, სავარაუდოდ, „მუზარადი“ ამიტომ „მოხადეს“. გაისად კი, ალბათ, ძველი სტატუს-კვო აღსდგება ანუ ის „მუზარადს“ დაიბრუნებს, ბაქო - თავის „პრიზს“.

ზემოთ დასახელებული 10 „დიდი პრიზიდან“ 6 აზიაში ტარდება, 3 - ევროპაში და ერთიც - ამერიკაში, მაიამიში, რომელიც წლეულს ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობასაც უმასპინძლებს. აზიაში ეს შეჯიბრება ძველებურად ჩატარდება ჩინურ ქინგდაოსა და აბუდაბიში, ტაშკენტმა და სამხრეთკორეულმა ჯეჯუმ მსოფლიოს თასი ამაღლეს აქამდე, ალმატიმ და ულან ბატორმა კი პირველად მიიღეს ეგზომ პრესტიჟული ტურნირი. თავიდან ამ სიაში მონღოლეთი არც ფიგურირებდა, მხოლოდ ერთი კვირის წინ გაჩნდა, როცა ბაქოს „მუზარადი“ გადაულოცეს. ევროპელთაგან „დიდი პრიზის“ ძველი ნაცნობი მხოლოდ დიუსელდორფი იქნება. თურქეთს მსოფლიოს თასი შარშან ქალებში ჰქონდა და წლეულს იმდენად იყოჩაღა, სამსუნში უკვე ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრებას გამართავს, ხორვატულ რიეკას კი პირველად მიეცა შანსი.

### რა ელის ჩვენს ტურნირს?

საქმეს ისეთი პირი უჩანს, მომავალში „ღია კონტინენტური თასების“ როლი კიდევ უფრო დაკნინდება და ყველაფერი თანდათან „დიდ პრიზებსა“ და „დიდ მუზარადებზე“ გადავა. ამას ისიც მიუთითებს, რომ კონტინენტურები კვლავაც საპრიზო ფონდის გარეშე ტარდება, ძიუდოს მამებმა კი აქცენტი პროფესიულ სპორტზე აიღეს, რაც მაღალ საპრიზოფონდიან შეჯიბრებებს ითვალისწინებს, რათა გაუმჯობესდეს ძიუდოისტთა სოციალური პირობები, სპორტი მათთვის იქცეს პროფესიად, რომლითაც ირჩენენ თავს და არა მხოლოდ კარიერის განმავლობაში; ძიუდოისტი იქცეს საზოგადოების წარმატებულ წევრად და ტატამიდან წასვლის შემდეგ არ დასჭირდეს ცხოვრების თავიდან დაწყება. ერთი სიტყვით, სპორტმა მას უნდა მოუტანოს შემოსავალი და ამით უნდა უზრუნველყოს თავისი მომავალი. ასეთ პირობებში ჩვენი ტურნირის მსგავს შეჯიბრებებს დიდი დღე არ უწერიათ და რაც უფრო მალე ვეცდებით მარაქაში გარევას, მით უკეთესი. თავის დროზე **მამუკა ხაზარელს,** ვიდრე ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად მიიჩნეოდა, მიღწეული ჰქონდა ზემდგომებთან სიტყვიერი შეთანხმება თბილისის ტურნირის „დიდ პრიზად“ გადაქცევის შესახებ. ჩემი ინფორმაციით, ქვეყნის შიგნით საპრიზო ფონდიც - 100 000 დოლარი მოძიებული ჰქონდა. იმედია, ამ პერსპექტივას „ჩაილურის წყალი“ არ დაულევია და ჩვენი ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა ხაზარელის დახმარებით ისევ ეცდება ამ რანგის შეჯიბრების გამართვას. წინაალმდეგ

>> მე-11 გვერდზე

სამთო თხილამურობა

# ნიკლაურის ავსტრიული ბრინჯაო

ქართველი სამთო მოთხილამურეებისთვის წინა კვირა ერთობ დატვირთული და ნაყოფიერიც აღმოჩნდა: ჩვენმა გოგო-ბიჭებმა რამდენიმე შეჯიბრებაში მოსინჯეს ძალები და კარგი შედეგებიც აჩვენეს. უპირველესად **ნინო ნიკლაურის** წარმატება გვინდა გამოვყოთ. იგი ავსტრიულ ჰუნდერშტუდერში მეტოქეობდა ევროპელებს. სლალომში მოკრძალებულ მე-13 ადგილს დასჯერდა (1.38,64), 25 იანვარს გიგანტურ სლალომში (2.04,39) მე-5 ადგილი დაიკავა. მომდევნო დღესაც მეხუთემ ჩაამთავრა დისტანცია, ოღონდ ამჯერად დრო 3,37 წამით გააუმჯობესა, კვირას კი გიგანტურ სლალომშივე სულაც კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა (2.03,08). ქართველ მოთხილამურეს მასპინძლებმა - მარია გუდრიჩმა (2.02,46) და ტერეზა ოფენჰაუზერმა (2.03,08) აჯობეს, თანაც ამ უკანასკნელმა ჩვენებურს 0,07 წამით გაასწრო.

გერმანიაში საქართველოს ნაკრების წევრებმა - **იასონ აბრამაშვილმა** და **ჯაბა გელაშვილმა** იასპარეზეს. შეგახსენებთ, რომ აბრამაშვილს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება უკვე მოპოვებული აქვს, გელაშვილს კი ლიცენზიებისთვის ქულები სჭირდება. ბად ვიესის ტრასაზე სლალომში აბრამაშვილი (1.21,13) მეოთხე იყო, პირველ-მესამე ადგილებზე რაფაელ ბრეუ (გერმანია, 1.19,95), ფლორიან ფიედლერი (ავსტრია, 1.20,83) და ფაბიან დატცერი (გერმანია, 1.20,84) გავიდნენ. ჯაბა გელაშვილი (1.23,05) მე-15 ადგილით დაკმაყოფილდა.



ნინო ნიკლაური

კვირას იტალიურ ფონდო გრანდე დი ფოლგარიაში **სოსო ჯაფარიძემ** (1.39,80) და **სანდრო ოგბაიძემ** (1.41,57) სლალომში, შესაბამისად, მე-13 და მე-19 ადგილები დაიკავეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვარჯიშობს და იქაურ ტურნირებში ასპარეზობს ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ორგზის ბრინჯაოს პრიზიორის - **ელენე გედევანიშვილის** ძმა **დიმიტრი გედევანიშვილი.** 25 იანვარს იგი სუპერ-გიგანტში მე-11 ადგილზე გავიდა.

**ვაჟა დანელია**

« მე-10 გვერდიდან

შემთხვევაში, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება „ღია კონტინენტური თასები“ საერთოდ გაუქმდეს და საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრების გარეშე დავრჩეთ. თან, ჩვენ ზემოთ მხოლოდ ვაჟთა კონტინენტური თასები დავასახელეთ, თორემ ქალთა კალენდარსაც თუ გადავხედავთ, ანალოგიური შეჯიბრება მიილო გლაზგომაც, ანუ დაინტერესება დიდია, გეოგრაფია იზრდება და ჩვენ არავინ დაგველოდება. ხომ ვხედავთ, იმავე ხორვატიამ, თურქეთმა და აზერბაიჯანმა სადამდე ასწიეს თამასა.

დავუბრუნდეთ ისევ ტურნირთა დახარისხებას, რომელიც არ შეხებია მასტერსს - ის კვლავაც წელიწადში ერთხელ ჩატარდება და თანაც იმავე ფორმატით ანუ მასში კვლავაც მსოფლიოს რეიტინგის 16 საუკეთესო იჭიდავებს. „დიდ მუზარადთა“ მასპინძლებში ცვლილება მხოლოდ ბაქოს შეეხება, რისი მიზეზიც ზევით განვმარტეთ, პარიზი, მოსკოვი და ტოკიო კი აქამდეც ატარებდნენ.

## მომატებული ქულები და ფულები

შეიცვალა ქულათა დარიცხვის სისტემაც ამ ტურნირებზე დაკავებული ადგილების მიხედვით, რაც განაპირობებს მსოფლიოს რეიტინგს, ოლიმპიურ პერსპექტივაში კი - ლიცენზიებსაც. თუმცა „ღია კონტინენტურებზე“ ანუ ჩვენი რანგის ტურნირებზე არც ამ მხრივ შეცვლილა რამე და ანაზღაურება იგივე დარჩა: ჩემპიონი კვლავაც 100 ქულას მიიღებს, ფინალისტი - 60-ს, ბრინჯაოს მედალოსანი - 40-ს და მერე თანმიმდევრობით 20, 16, 12, 8 და 4 ქულა. ახალი ცვლილებით ყველაზე მეტად კონტინენტურმა პირველობებმა იხეირეს - მათ



ქულებით „დიდ პრიზს“ გადაუსწრეს. ევროპის ან სხვა კონტინენტის ჩემპიონი აქამდე თუ სულ რაღაც 180 ქულას იღებდა, ახლა 400 დაეწერება. 108 ქულიდან 240-მდე გაიზრდება ვიცე-ჩემპიონის ქულა, 72-დან 160-მდე - ბრინჯაოს მედალოსნისა. მეხუთეადგილოსანი წლეულს უკვე 80 ქულას მიიღებს 36-ის ნაცვლად, მეშვიდეზე დარჩენილი - 64-ს, 1/16-ფინალში გასული - 48-ს, 1/32-ფინალისტი - 32-ს. თუ უფრო მეტი მონაწილეა და პირველივე წრიდან გამოვარდნილიც 16 ქულას მიიღებს, მხოლოდ მონაწილეობა კი 2 ქულად ფასდება.

სიახლეა ისიც, რომ ამიერიდან „დიდ მუზარადებსა“ და „დიდ პრიზებზე“ ისევ იქნება დამამშვიდებელი წრე. სერიოზულად - მთელი 400-400 ქულით გაიზარდა მსოფლიოსა და ოლიმპიადის ოქროს მედლების შეფასება - პირველი აქამდე თუ 500 ქულით ფასდებოდა, ახლა 900 გახდა, ხოლო მეორე - 600-ის ნაცვლად - 1000. მსოფლიოს პირველობაზე მომდევნო ადგილები, შესაბამისად, 540, 360, 180, 144, 108, 72, 36 და 4 ქულა ღირს, ოლიმპიადაზე - 600, 400, 200, 160, 120, 80 და 40.

მასტერსი ქულების დარიცხვის მხრივ აქამდეც ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ტურნირად მიიჩნეოდა - 400 ქულა ჩემპიონობისთვის, თუმცა ახლა მაზანდა 700-მდე გაიზარდა. მომდევნო ადგილებზე გასულები, შესაბამისად, 420, 280, 140, 112 და 28 ქულით შეფასდებიან. საკმაოდ მაღალის „დიდ მუზარადზე“ მისაღები ქულებიც - 500, 300, 200, 100 და ასე შემდეგ. „დიდ მუზარადებზე“ კი ქულათა დარიცხვის ასეთი ნიხრია: 300, 180, 120, 60, 48 და სხვა.

უცვლელი დარჩა განსხვავებულ ტურნირებზე წონაში ქვეყნიდან მონაწილეთა ლიმიტი: ოლიმპიადაზე კვლავ ერთი კაცია დაშვებული, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე - 2-2, „კონტინენტურ თასებზე“ - ისევ 4-4, მასტერსზე - განუსაზღვრელია, ვინც კი 16 საუკეთესოში მოხვდება, „დიდ პრიზსა“ და „მუზარადზე“ კი მასპინძელს კვლავ 4-ის გამოყვანის ნება ეძლევა, დანარჩენებს - 2-2 ფალავანისა.

საპრიზო ფონდების მხრივ ძირითადად ყველაფერი უცვლელი დარჩა, თუმცა ერთი სერიოზული სიახლე აქაცაა - ამიერიდან მსოფლიოს პირველობაზეც დაწესდება საპრიზო ფონდი. საინტერესოა, რომ ეს ეხება ჭაბუკებსაც და ახალგაზრდებსაც, ოღონდ ისინი IJF-სგან ბევრად მცირე პრემიებს მიიღებენ, ვიდრე - უფროსები. ამათი მსოფლიოს ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 200 ათასი დოლარით განისაზღვრა ანუ მასტერსს გაუტოლდა. ამიერიდან მსოფლიოს ჩემპიონიც, როგორც მასტერსის გამარჯვებული, 6 000-დოლარიან პრემიას მიიღებს, ვერცხლის მედალოსანი - 4 000-ს, ხოლო მესამეზე გასული - 2 000-ს. ევროპის პირველობისა და ოლიმპიადის პრიზიორთა ანაზღაურება კვლავაც მათი ქვეყნების პრეროგატივად რჩება, ხოლო „დიდ პრიზებსა“ და „დიდ მუზარადებზე“ ყველაფერი ძველებურად დარჩა - პირველ მათგანზე პრემიები, შესაბამისად, 3 000, 2 000 და 1 000 დოლარია, მეორეზე - 5 000, 3 000 და 1 500 დოლარი.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ძაგნიძე ქალებში ჯერჯერობით მეორეა

გიბრალტარში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-7 ტურის პარტიები გაიმართა. კვლავ წარმატებით ითამაშა **ნანა ძაგნიძემ,** რომელმაც შავი ფიგურებით იანგ-ფან ჩჟოუ (ინგლისი) დაამარცხა, ხოლო **სალომე მელია,** ასევე, შავებით ინდოელ ჰარიკა დრონავალის დაუზავდა. საგულისხმოა, რომ ინდოელი დიდოსტატი ჩვენებურს მსოფლიო რეიტინგში 112 პუნქტით უსწრებს.

რაც შეეხება მეწინავეთა პაექრობებს, ნიკიტა ვიტიუგოვმა (რუსეთი) გუშინ თეთრებით კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) დაამარცხა და შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტურით ადრე ერთპიროვნულად დაწინაურდა. წარმატებით ითამაშა ნაიჯელ შორტმა (ინგლისი), რომელმაც დავიდ ლარინოს (ესპანეთი) აჯობა და გატა კამსკისა (აშშ) და ლე ქუანგ ლიემთან (ვიეტნამი) ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს. კამსკიმ ედუარდო იტურისაგას (ვენესუელა) სძლია, ლიემი კი ვასილი ივანჩუკს (უკრაინა) დაუზავდა. ყაიმზე შეთანხმდნენ: მაიკლ ადამსი (ინგლისი)-ვლადისლავ ტკაჩიევი (საფრანგეთი), ივან ლოპეს სალგადო (ესპანეთი)-დავი ნავარა (ჩეხეთი), გავაინ ჯონსი (ინგლისი)-ალექსეი შიროვი (ლატვია).

შვიდი ტურის შემდეგ ქალებში 5,5 ქულით ჟაო სიუ (ჩინეთი) პირველობს. აზიელს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ნანა ძაგნიძე, ანა მუზიჩუკი (სლოვენია), მარია მუზიჩუკი (უკრაინა), ვალენტინა გუნინა (რუსეთი), პია კრამლინგი (შვედეთი), ტანია საჩდევი (ინდოეთი) და ოლგა დოლჟიკოვა (ნორვეგია).

შეგახსენებთ, რომ გიბრალტარის ტურნირის გამარჯვებული 20.000 ევროთი დაჯილდოვდება, ქალებში პირველ ადგილზე გასული 12.000 ევროს დაიმსახურებს. სულ შეჯიბრებაზე 22 ფულადი პრიზია დაწესებული.

დღეს მე-8 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ჭიდაობა. ქართველები გერმანიაში

# გერმანიის ქართველი ჩემპიონები

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეიძლება ითქვას, ამ უქმეებზე დასრულებული გერმანიის პირველობა ჭიდაობაში დრამატიზმით გამორჩეული აღმოჩნდა, საბოლოოდ კი ყველაფერი „ქართული კლუბის“ - „მაინცის“ ჩემპიონობით დასრულდა პიუტლინგენის „კიოლერბახთან“ ორრაუნდიან ფინალურ პაექრობაში. ოღონდ მაინცელთათვის ეს არ ყოფილა იოლი გამარჯვება. პირიქით - მათ სტუმრად მოუხდათ რევანშის აღება, ოქროს მედლების ბედი კი ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა, რომელიც გუნდს უკრაინელმა ლეგიონერმა **ანდრეი შიიკამ** (74) მოუტანა ბულგარელ ოლიმპიურ პრიზიორ **კირილ ტერზიევთან** პაექრობაში. 20 იანვარს მაინცში გამართულ პირველ შეხვედრაში მასპინძლები 14:22 დამარცხდნენ, მაგრამ 26-ში ზაარბრიუკენში რევანშის აღება შეძლეს - 22:15 იმარჯვეს და 1978 წლის შემდეგ პირველად ირგუნეს ოქროს მედლები. მაინცელთათვის ეს მესამე ჩემპიონობაა - პირველი 1977 წელს იზეიმეს, მომდევნო წელს, როგორც გითხარით, ტიტული შეინარჩუნეს, თუმცა მას შემდეგ ამ წარმატებას ამაოდ ელოდნენ. მათ გაჩემპიონებაში ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ კლუბის ღირსებას ქართველი ფალავნებიც იცავენ - ბერძნულ-რომაულ სტილში **გიორგი გვენეტაძე** (55) გამოდიოდა, თავისუფალში - **ელიზბარ ოდიკაძე,** რომელიც 96-ის ფალავანია, თუმცა იქ მძიმეშიც აჭიდავებდნენ. კლუბს მესამე ქართველიც ჰყავს - **დავით ბიჩინაშვილი** (84), ვინც გერმანიის მოქალაქე და იქაური ნაკრების წევრია. შეგახსენებთ, რომ ის 1994 წლამდე საქართველოს სახელით ჭიდაობდა, მერე კი უკრაინაში გადავიდა და წლების განმავლობაში იცავდა მათ ღირსებას. კარიერაში ყველაზე მეტსაც იქ მიაღწია - 1998 წელს ევროპის პირველობის ფინალი იჭიდავა, რასაც ორჯერ ევროპული ბრინჯაოც დაუმატა. მას პეკინის ოლიმპიადაზეც შეეძლო ბრინჯაოს მოპოვება, თუმცა საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა. ბუნდესლიგის ფინალშიც ჩვენებურებიდან მხოლოდ ბიჩინაშვილმა იჭიდავა.

გერმანიის ბუნდესლიგა განსხვავებული ფორმატით ტარდება - აქ ბერძენ-რომაელები და „თავისუფლები“ ერთად ჭიდაობენ, ფინალი კი ორი შეხვედრისგან შედგება.

ბედმა ისე ინება, რომ ბუნდესლიგა „მაინცისა“ და „კიოლერბახის“ პაექრობით დაიწყო და დასრულდა - ეს კლუბები ჯგუფურ ეტაპზეც ერთად გამოდიოდნენ დასავლეთის ლიგაში, სადაც კალენდარმა პირველ ტურში შეახვედრა ერთმანეთს. მათი პაექრობა იმ ეტაპზეც 1:1 დასრულდა - მაინცელებმა პირველი ორთაბრძოლა შინ 28:11 მოუგეს, სტუმრად კი 16:19 დამარცხდნენ. იმ პაექრობებშიც ქართველებიდან მხოლოდ ბიჩინაშვილმა იჭიდავა და ორივე მოიგო - პირველი უკრაინელ **პავლო ოლეინიკთან,** მეორე - გერმანელ **კონსტანტინ ვიოლეკთან.**

დასავლეთის ლიგაში მაინცელთა საქმეები არც ისე კარგად წარიმართა, მათ ჩემპიონობაზე რომ გვეფიქრა - კლუბმა მეორე შეხვედრა კი მოიგო ისევ შინ „მუსბერგთან“ 24:10, მერე სტუმრად „ნეუსსაც“ აჯობა - 20:15, ამას შინ „ვაუნგარტენთან“ 24:19, ხოლო გასვლაზე „ნენდინგენთან“ 24:11 გამარჯვებები მიაყოლა, მაგრამ მერე გუნდში თითქოს რაღაც მოიშალა და ორი შეხვედრა წააგო. მაინცელთათვის ლიგის ეტაპზე დაუძლეველი „მომბრის-კონიგსოფენი“ აღმოჩნდა - ორივე პაექრობაში დამარცხდნენ მათთან, თუმცა მეორე შეხვედრის ბედი ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა - ჩვენებურთა კლუბი 15:16 დამარცხდა. საბოლოოდ „მაინცი“ ჯგუფში მეოთხე ადგილზე გავიდა.

როგორც გითხარით, პირველი ფინალური შეხვედრა მაინცში გაიმართა და „კიორბახის“ გამარჯვებით დასრულდა - 22:14. აქ დავით ბიჩინაშვილმა უკრაინელი მსოფლიოს ჩემპიონი **იბრაგიმ ალდატოვი** დაამარცხა. ვერ გეტყვით, პიუტლინგენი რა დონის დასახლებაა, მაგრამ ფაქტია, რომ იქაურებმა საშინაო შეხვედრა ზაარბრიუკენში ჩაატარეს, მაინციდან კი კლუბს საქომაგოდ 3 000-მდე გულშემატკივარი გაჰყვა.

ზაარბრიუკენშიც საქმე მაინცელთათვის ცუდად დაიწყო, რადგან დათმეს პირველი ორი შეხვედრა, თუმცა **ანდრეი დუკოვმა მაჰმუთ ბაიოულლუსთან** მოგებით რაღაც მცირე იმედი გააჩინა. დიდად ხანგრძლივი არც ეს იმედი გამოდგა, რადგან მაინცელები მესამედაც დამარცხდნენ. შეხვედრა ამის მერეც ქულა-ქულაში წარიმართა, პიუტლინგენელებმა ბიჩინაშვილს ამჯერადაც ალდატოვი დაუყენეს და, სამწუხაროდ, ჩვენებურმა 0:3 წააგო, თუმცა მაინცელები შიიკამ იხსნა და ამ ქალაქს არნახული სიხარული აჩუქა. საფეხბურთოს მსგავსად, გერმანიაში საჭიდაო ბუნდესლიგაც არნახულად პოპულარულია, რაზეც თუნდაც ზაარბრიუკენში ჩასულ მაინცელ ქომაგთა რაოდენობა მიუთითებს. ამიტომ არცაა გასაკვირი, ამ პატარა ქალაქში ახლა დიდი საჭიდაო სიხარული რომ სუფევს.

**ირაკლი თავაძე**

მძლეოსნობა

# ევროპის სტარტი დიდუბის მანეჟში

გასულ უქმეებზე დიდუბის მანეჟი, რომელიც დიდი ხნის გამყინვარების შემდეგ როგორც იქნა გათბა, 1998-2000 წლებში დაბადებულ მძლეოსნებს დაეთმო. თბილისის ზამთრის ღია პირველობაში მასპინძლებთან ერთად გორის, ბორჯომის, თიანეთის, ქუთაისის, ვანის, ხობის, ზუგდიდისა და ფოთის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. განსაკუთრებით ზუგდიდელმა **მარი ჩაკაბერიამ** იყოჩაღა, რომელმაც ორი ოქროს მედალი მოიპოვა. უფრო საგულისხმო კი ის არის, რომ 60 მეტრზე თარჯრბენში, საბა კურდღელიას გარდა, ბიჭებზეც უკეთესი შედეგი აჩვენა. სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ბადროს მტყორცნელებმა - **თემურ აბულაშვილმა** და **გიორგი მუჯარიძემ,** ასევე, უროს მტყორცნელებმა - **გიორგი ონიანმა, ზურაბ ხაბელაშვილმა** და **სოფიო მათიაშვილმა.**

- ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მესვეურებმა უწინდელი გადაწყვეტილება შეცვალეს და კონტინენტის ახალგაზრდობის წლევანდელ ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილე მძლეოსანთა ასაკი ერთი წლით შეამცირეს - ჰოლანდიურ უტრეხტში 1997-1998 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭები იასპარეზებენ, - გვითხრა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ვასილ ბერიშვილმა.** - ჩვენი ვარაუდით, ტიტების ქვეყანაში, სულ მცირე, რვა მძლეოსანი მაინც გაემგზავრება. ფესტივალისთვის მონდომებით ემზადებიან გიორგი ონიანი, ზურაბ ხაბელაშვილი, გურამ სამხარაძე, სოფიო მათიაშვილი (ოთხივე - უროს ტყორცნა), ნათია უშიკიშვილი, თემურ აბულაშვილი (ორივე - ბადროს ტყორცნა), გოგა მაღლაკელიძე (სამხტომი), მარი ძაგნიძე (ვანი) და სხვები. თბილისის ამ ღია პირველობაში მხოლოდ 1999-2000 წლებში დაბადებულ გოგო-ბიჭებს უნდა ეასპარეზათ, რომლებიც 2015 წელს თბილისის ოლიმპიურ ფესტივალზე გამოვლენ, მაგრამ 15-წლიანებსაც დავრთეთ მონაწილეობის უფლება, რომ საუტრეხტოდ მეტი საშეჯიბრო გამოცდილება ჰქონდეთ. ეს სპორტსმენები

» მე-12 გვერდზე



« მე-11 გვერდიდან

საქართველოს ზამთრის პირველობაშიც მოსინჯავენ ძალებს. რაც შეეხებათ უფროსებს, დიდუბის მანეჟის მძლეოსნურ სექტორებზე მედლებისთვის ისინი 2-3 თებერვალს იბრძოლებენ, ოღონდ, ამ შეჯიბრებაზე ნაკრების რამდენიმე წევრი არ იქნება. სიმაღლეზე მხტომელი ზურაბ გოგოჭური ბელარუსში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე. იქაურ ზამთრის ჩემპიონატში 215 სანტიმეტრი დაძლია და მეორე ადგილი დაიკავა. მომდევნო შაბათ-კვირას იქვე საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. გოგოჭური, ისევ, როგორც სალომე რიგიშვილი (ბადრო), მაიკო გოგოლაძე (სიგრძეზე ხტომა) და ლაშა ღულელაური (სამმაგი ხტომა) ევროპის ზამთრის ჩემპიონატისთვის ემზადება. სპონსორების დაფინანსებით ამჟამად საფრანგეთში იმყოფებიან და მომავალ უქმეებზე საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან სიგრძეზე მხტომელი ბოლესლავ სხირტლაძე და თარჯმრბენი დავით ილარიანი. სასურველ შედეგს თუ აჩვენებენ, არ არის გამორიცხული, 9-10 მარტს ჩერნოგორიაში ევროპის ზამთრის ჩემპიონატზე ისინიც ვიხილოთ.

## კვარცხლბეკი

**გოგონები. 60 მ.** 1. თეონა მაჭარაშვილი (თბილისი, 7,8), 2. გულიკო გამზარდია (ფოთი, 8,5), 3. ჯენეტი გოდაბრელიძე (თბილისი, 8,7). **60 მ/თ.** 1. მარი ჩაკაბერია (ზუგდიდი, 9,4), 2. ნათია მწითური (12,2), 3. ეკა რეხვიაშვილი (ორივე - თბილისი, 12,5). **150 მ**. 1. მარი ჩაკაბერია (ზუგდიდი, 20,1), 2. ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 20,9), 3. ლარისა ჩადუნელი (ბორჯომი, 21,3), **300 მ.** 1. მარიამ მშვიდობაძე (თბილისი, 44,1), 2. სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 44,9), 3. ელენე ხუსკივაძე (თბილისი, 48,4). **600 მ.** 1. ლიდა ბერძენიშვილი (ბორჯომი, 1.45,3), 2. მაკა სანიკიძე (ვანი, 1.47,4), 3. სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 1.50,7). **1000 მ.** 1. ლიდა ბერძენიშვილი (ბორჯომი, 3.19,5), 2. ნინა ცერცვაძე (თბილისი, 3.24,5), 3. სალომე კოპალეიშვილი (ვანი, 3.36,6). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. მარიამ მწითური (140 სმ), 2. ქრისტინე ზოლოტუხინა (140 სმ), 3. ვიკა შიშლოვა (სამივე - თბილისი, 130 სმ). **ჭოკით ხტომა.** 1. დიანა ზოლოტუხინა (თბილისი, 200 სმ). **სამხტომი.** 1. ნინო კარელიძე (გორი, 9.74), 2. ქეთი შველიძე (თბილისი, 9.00). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ნინო კარელიძე (გორი, 4,53), 2. გულიკო გამზარდია (ფოთი, 4,50), 3. ჯენეტი გოდაბრელიძე (თბილისი, 4,22). **შუბი.** 1. ია რეხვიაშვილი (23,97), 2. ანი კაპანაძე (20,50), 3. მარიამ მწითური (სამივე - თბილისი, 20,05). **ბადრო.** 1. ნინო წიქვაძე (თბილისი, 37,77), 2. ნათელა უშიკიშვილი (თიანეთი, 32,70), 3. გვანცა ბოჭორიშვილი (გორი, 24,80). **ურო.** 1. სოფო მათიაშვილი (თბილისი, 47,23). **ბირთვი.** 1. ანი კაპანაძე (8,17), 2. სალომე თურმანიძე (ორივე - თბილისი, 7,24), 3. გვანცა ბოჭორიშვილი (გორი, 7,14).

**ვაჟები. 60 მ.** 1. დავით ჭედია (ზუგდიდი, 7,2), 2. გრიგოლ ახალაია (ხობი, 7,4), 3. რევაზ გარდაფხაძე (ქუთაისი, 7,4). **60 მ/თ.** 1. საბა კურდღელია (ქუთაისი, 9,3), 2. დათო ლუკავა (ზუგდიდი, 9,5), 3. გურამ ძონენიძე (ქუთაისი, 10,5). **150 მ.** 1. დავით ჭედია (ზუგდიდი, 18,1), 2. გრიგოლ ახალაია (ხობი, 18,3), 3. ნიკა ანიაშვილი (გორი, 19,3). **300 მ.** 1. დათო ლუკავა (ზუგდიდი, 41,9), 2. ელგუჯა მახნიაშვილი (თბილისი, 42,5), 3. გიორგი გუჯაბიძე (გარდაბანი, 45,4). **600 მ.** 1. ზაურ ებრალიძე (ბორჯომი, 1.37,7), 2. ოთარ მებონია (თბილისი, 1.42,3), 3. ილია კუხალაშვილი (გორი, 1.42,3). **1000 მ.** 1. ოთარ მებონია (3.06,6), 2. ნიკოლოზ გიგაური (3.08,3), 3. სოინ გასანოვი (სამივე - თბილისი, 3.09,2). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ილია ბოლოთაევი (165 სმ), 2. ბესო სოხაძე (155 სმ), 3. ირაკლი კენჭუაშვილი (სამივე - თბილისი, 145 სმ). **ჭოკით ხტომა.** 1. მიშა ცანავა (220 სმ), 2. ლაშა ქარქუსაშვილი (200 სმ), 3. ნიკოლოზ ცაგარეიშვილი (სამივე - თბილისი, 170 სმ). **სამხტომი.** 1. საბა კურდღელია (ქუთაისი, 13,25), 2. ნიკა ყაზარაშვილი (გორი, 11,37), 3. ნიკა დუნდუა (თბილისი, 11,15). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ავთანდილ ტყეშელაშვილი (628), 2. საბა კურდღელია (594), 3. რევაზ გარდაფხაძე (სამივე - ქუთაისი, 551). **შუბი.** 1. მიხეილ კალაძე (რუსთავი, 30,30), 2. ზვიად ანიაშვილი (გორი, 20,48), 3. ცოტნე კობაიძე (თბილისი, 20,48). **ბადრო.** 1. თემურ აბულაშვილი (თბილისი, 42,98), 2. გიორგი მუჯარიძე (გორი, 42,33), 23. მიხეილ კალაძე (რუსთავი, 32,37). **ურო.** 1. გიორგი ონიანი (53,73), 2. ზურაბ ხაბელაშვილი (ორივე - თბილისი, 53,26), 3. ომარ ლომსაძე (გორი, 40,14). **ბირთვი.** 1. გიორგი მუჯარიძე (გორი, 15,65), 2. შოთა გუგეშაშვილი (12,27), 3. ცოტნე კობაიძე (ორივე - თბილისი, 7,96).

**ვაჟა დანელია**

● რაგბი. ლეგიონერები

# ელიტაში აღზევება რვას სურს



რეზო გიგაური

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურიღა დარჩა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან პლეი ოფში მოხვედრისთვის ერთბაშად რვა იბრძვის.

A ჯგუფში მოწინავე ოთხეულში მოხვედრის შანსი ოთხ „ქართულ" გუნდს აქვს, თუმცა მხოლოდ ორი ვაკანტური ადგილია დარჩენილი. „ლილი" და „ბურგ ან ბრესი" საგრძნობლად დაწინაურდნენ და ძნელად მოსალოდნელია, ათქულიანი ჰანდიკაპი გაანიავონ.

ამ ჯგუფში ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო მაჩვენებელი **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონს" აქვს, რომელიც 43 ქულით მესამე ადგილზეა. მაკონელებმა მე-14 ტურში სტუმრად წააგეს უშუალო კონკურენტ „ბურგ ან ბრესთან" - 8:25. მელიქიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და კოპალიანმა 53-ე წუთზე შეცვალა.

„მაკონს" 12 ქულით ჩამორჩება და მე-4 ადგილზეა **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონი", რომლის შეხვედრაც სტუმრად „ბობინისთან" დიდთოვლობის გამო გადაიდო. 31 ქულა აქვს და მეხუთე ადგილზეა **ზერო პეტრიაშვილის** „ვიენი", რომელმაც შინ დაამარცხა აუტსაიდერი **გიორგი სულუაშვილის** „სტრასბური" - 15:7. პეტრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 59-ე წუთიდან ჩაერთო, სულუაშვილს არ უთამაშია.

ვიენელებს ერთი ქულით ჩამორჩება და მე-6 ადგილზეა **ელიზბარ ყუფარაძისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონი", რომელმაც სტუმრად სძლია **გიორგი გაბელიასა** და **რევაზ ჟღენტის** „სენტ ეტიენს" - 16:10. ამ გამარჯვებით მონლუსონელებმა პლეი ოფში მოხვედრის შანსი შეინარჩუნეს.

■ ■ ■

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდიდან პლეი ოფში თამაშისთვის ბრძოლას ორი განაგრძობს - „ობენა" და „რომანი". ამათგან უკეთესი მდგომარეობა **ირაკლი ნინიძის** „რომანს" აქვს, რომელიც 33 ქულით მესამე ადგილზეა. რომანელებმა მე-14 ტურში სტუმრად სძლიეს **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარს" - 23:17. კუთარაშვილს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და ძირითად შემადგენლობაში გაისარჯა, ნინიძეს არ უთამაშია.

30 ქულა აქვს და მე-4 ადგილზეა **თენგიზ გელანტიასა** და **ბექა ურჯუკაშვილის** „ობენა", რომელმაც შინ დაამარცხა უშუალო კონკურენტი „ლავორი" - 28:22. ობენელები ახლა ამ გუნდს ერთი ქულით უსწრებენ.

**დავით კაჭარავას** „როდეზის" საშინაო მატჩი „აგდისთან" დიდთოვლობის გამო გადაიდო.

■ ■ ■

ასევე ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია ლიდერთა შორის C ჯგუფში. საუკეთესო მაჩვენებელი ამ დროისთვის **თედო ზიბზიბაძის** „პერიგოს" აქვს, რომელიც 48 ქულით მეორე ადგილზეა. ჩვენებურის ამ გუნდმა შინ მიიღო „აგეტმო" და უპრობლემოდ დაამარცხა - 25:3. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ამდენივე ქულა აქვს და მესამე საფეხური უჭირავს **შოთა ცხოვრებაშვილისა** და **ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერს", რომელმაც შინ მშრალი ანგარიშით მოუგო გათამაშების ლიდერ „ტიროსს" - 12:0. გუჯარაიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს, ცხოვრებაშვილი განაცხადში არ იყო.

სატურნირო ცხრილის ბოლოსწინა, მე-9 ადგილზეა **ნიკოლოზ მაღალდაძისა** და **ირაკლი ჩომახაშვილის** „მარმანდი", რომელიც სტუმრად დამარცხდა „ლანჟონისთან" - 21:19. მაღალდაძემ თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 63-ე წუთზე ჩომახაშვილმა შეცვალა.

■ ■ ■

ისევ წყვილად წააგეს D ჯგუფში მოასპარეზე „ქართულმა" გუნდებმა - „სენ ჟუნიენმა" და „ბაგნერემ". **ლაშა მალალურაძის, სიმონ მაისურაძისა** და **ლადო გუნიავას** „ბაგნერე" სტუმრად დამარცხდა გათამაშების ლიდერ „მონტობანთან" - 14:31. მალალურაძე თამაშში შეცვლაზე შევიდა და ერთი საჯარიმო (3 ქულა) გაიტანა, მაისურაძე და გუნიავა განაცხადში არ იყვნენ.

**მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენმა" ასევე სტუმრად წააგო „ლიმოჟთან". კვირიკაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა და ორი საჯარიმო (6 ქულა) გაიტანა.

„ბაგნერესა" და „სენ ჟუნიენს" 22-22 ქულა აქვთ და მერვე-მეცხრე ადგილებს იყოფენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### A ჯგუფი

ბურგ ან ბრესი-მაკონი 25:8; ვიენი-სტრასბური 15:7; სენტ ეტიენი-მონლუსონი 10:16; დიჟონი-ლილი 6:25; ბობინი-შალონი გადაიდო.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ლილი - 54 ქულა, 2. ბურგ ან ბრესი - 53, 3. მაკონი - 43, 4. შალონი - 31, 5. ვიენი - 31, 6. მონლუსონი - 30, 7. სენტ ეტიენი - 24, 8. ბობინი - 23, 9. დიჟონი - 22, 10. სტრასბური - 1.

### B ჯგუფი

ბლანიაკი-ბურგუენი 22:25; შატორენარი-რომანი 17:23; ობენა-ლავორი 28:22; ვალანსი-ლა სეინი გადაიდო; როდეზი-აგდი.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ბურგუენი - 55 ქულა, 2. ვალანსი - 35, 3. რომანი - 33, 4. ობენა - 30, 5. ლავორი - 29, 6. აგდი - 28, 7. ლა სეინი - 26, 8. ბლანიაკი - 26, 9. შატორენარი - 24, 10. როდეზი - 21.

### C ჯგუფი

პერიგო-აგეტმო 25:3; ლანჟონი-მარმანდი 21:19; ნუარი-ვანი 9:6; სენ ნაზერი-ტიროსი 12:0; სენ ჟან დე ლუზი-სენ ჟან დანჟელი გადაიდო.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ტიროსი - 57 ქულა, 2. პერიგო - 48, 3. სენ ნაზერი - 48, 4. ვანი - 34, 5. ლანჟონი - 33, 6. სენ ჟან დე ლუზი - 30, 7. აგეტმო - 23, 8. სენ ჟან დანჟელი - 19, 9. მარმანდი - 19, 10. ნუარი - 18.

### D ჯგუფი

მონტობანი-ბაგნერე 31:14; ლიმოჟი-სენ ჟუნიენი 28:6; სენ მედარი-კასტანე 17:15; ოლორონი-ლანამეზანი გადაიდო, ლურდი-ნევერი გადაიდო.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. მონტობანი - 54 ქულა, 2. ნევერი - 48, 3. ლიმოჟი - 34, 4. კასტანე - 31, 5. ოლორონი - 31, 6. ლურდი - 27, 7. ლანამეზანი - 23, 8. ბეგნერე - 22, 9. სენ ჟუნიენი - 22, 10. სენ მედარი - 19.

● რაგბი. ერთა თასი

# ეიზელზე ბორჯღალოსნებს ვერ ვნახავთ

### ერთა თასი 2013

**I ტური. 2 თებერვალი**

ბელგია-საქართველო
პორტუგალია-რუმინეთი
რუსეთი-ესპანეთი

**II ტური. 9 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია
რუმინეთი-რუსეთი
ბელგია-ესპანეთი

**III ტური. 23 თებერვალი**

რუსეთი-საქართველო
ესპანეთი-რუმინეთი
პორტუგალია-ბელგია

**IV ტური. 9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი

**V ტური. 16 მარტი**

რუმინეთი-საქართველო
ესპანეთი-პორტუგალია
რუსეთი-ბელგია

გუშინ საქართველოს ნაკრები საფრანგეთის ქალაქ კანში შეიკრიბა. „ბორჯღალოსნები" ერთა თასის გათამაშების პირველი ტურისთვის ემზადებიან. ჩვენი ეროვნული გუნდის პირველი მეტოქე გათამაშების დებიუტანტი ბელგიის ნაკრები იქნება.

საქართველოს ნაკრების ახალზელანდიელი თავკაცის **მილტონ ჰეიგის** 29-კაციან შემადგენლობას ორი მორაგბე დააკლდა - შერკინების ბურჯები **დავით ზირაქაშვილი** („კლერმონი") და **ვასილ კაკოვინი** („ტულუზი") ჰაინეკენის თასის გათამაშების ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურში დაშავდნენ და ნაკრებს საწყის ორ ტურში ვერ დაეხმარებიან.

მათ ნაცვლად ჰეიგმა **ლევან ჩილაჩავას** და **ზურაბ ჟვანიას** უხმო. პირველს „ბორჯღალოსანთა" რიგებში აქამდეც უთამაშია, ჟვანია კი დებიუტანტია. ასევე პირველადაა გამოძახებული ეროვნულ გუნდში მეორეხაზელი **ლაშა ლომიძე**.

### ბრიუსელიდან ტელერეპორტაჟი არ იგეგმება



„ბორჯღალოსნებთან" ერთად საწვრთნელ შეკრებაზე არაერთხელ ყოფილან, თუმცა თამაშის საშუალება არ მისცემიათ ცხრა ნომერ **ვაჟა ხუციშვილს**, შუამარბ **თამაზ მჭედლიძეს** და გარემარბ **გიორგი ფრუიძეს**. ფულბეკის პოზიციაზე, რომელიც საქართველოს ნაკრებში პრობლემატურად მიიჩნევა, ორი კანდიდატურაა: **ბექა წიკლაური** და **ირაკლი ყიასაშვილი.**

ამასთან ერთად, შეგახსენებთ, რომ გუნდი უკაპიტნოდაა დარჩენილი. ჰეიგის მიერ გაცხადებულ გაფართოებულ შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ: **ირაკლი აბუერიძე** („ოსერი"), **გიორგი ნემსაძე** („ტარბი"), **ლევან დათუნაშვილი** („ორიაკი") და **ლაშა მალალურაძე** („ბაგნერე").

თამაში 2 თებერვალს ბრიუსელის „ეიზელის" სტადიონზე თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება. წინასწარი ინფორმაციით, ტელეტრანსლაცია არ იქნება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### ბელგია

**პირველი ხაზი:** კევინ დემსი, სეპ დებაკერი, ალენ მირალაკისი (სამივე-ბუატსფორტი), ჟან ბატისტ დე კლერკი (მონ დე მარსანი), მაქსიმ ჟადო (პო), ჟულიენ მასიმი (სენტ ეტიენი), რაფაელ ოლივიე (პერიგო), ტომას დინსტი (ლილი), ნორმან ვენდე (ლა ვულე).

**მეორე ხაზი:** ბერტრან ბილი (სუაჟნიე), ჟულიენ მორელი (ბასტია), კირილ ნანა (ანდერლეხტი), ბასტიან ვერმუენი (ბუატსფორტი), მატიე ვერშელდენი (სენტ ეტიენი).

**მესამე ხაზი:** მიშელ დემოლდე (ბუატსფორტი), ტომას დემოლდე (ლიონი), შარლ ფურნო (მელბურნი), კორენტინ ლეკლუ, ტუურ მოლანტსი (ორივე-ბუატსფორტი), ენდრიუ ნეილი (ტურნეფუა).

**№9:** ჟულიენ ბერგარი (ლა როშელი), ჰენდრიკ ბრუვერსი (არასი), სებასტიან გუნსი (ბუატსფორტი), დანიელ იანსენი (ნანტი).

**№10:** კარლოს პიერო (ნიცა)

**№12-13:** ტიბო ანდრე (სუაჟნიე), ჟულიენ ბრებანი (ბუატსფორტი), დირკ ჰეიგჰედორენი (აგდი), ვენსან ჰარტი (დურბანი), ფრედრიკ რონჟე (კიტური).

**№11-14:** ჟულიენ პირონი (მონპელიე), მარკ ჩანჯი, ელიოტ ვან ტრაპენი (ორივე-ბუატსფორტი).

**№15:** ალან ვილიამსი (მონლუსონი).

### საქართველო

**პირველი ხაზი:** დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა (ორივე-ტულონი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), რეზო ბელქანია (ლელო), შალვა მამუკაშვილი (არმია).

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).

**მესამე ხაზი:** მამუკა გორგოძე (მონპელიე), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბინაძე (არმია).

**№9:** გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).

**№10:** მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა ხმალაძე (ლელო).

**№12-13:** მერაბ შარიქაძე (ჰართპური), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია).

**№15:** ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო).

ლეგიონის კვირა

# ტვინის შერყევის ნიშნით...

## შენგელია ბრუკლინმა დაიბრუნა

გასული კვირა მრავალმხრივ საინტერესო გამოდგა, აქეთ **მანუჩარ მარკოიშვილმა** „გალათასარაისთან“ გააფორმა კონტრაქტი, იქით **თორნიკე შენგელიამ** კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა (39 ქულა), ევროლიგაზე კი **ვიქტორ სანიკიძემ** და **გიორგი შერმადინმა** მორიგი მატჩები ჩაატარეს კარგად და გაიმარჯვეს.

### ტრავმიანი დაბრუნება

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად თორნიკე შენგელია და **ტაიშონ ტეილორი** NBA-ის განვითარების ლიგის „სპრინგფილდიდან“ „ბრუკლინ ნეთსმა“ დაიბრუნა. ტაიშონი უახლოეს მატჩში მიიღებს მონაწილეობას, შენგელია კი, როდის გავა მოედანზე, ჯერ უცნობია, რადგან მას ტვინის შერყევის ნიშნები აქვს.

სწორედ ამ მიზეზით გამოტოვა თოკომ „სპრინგფილდის“ ბოლო მატჩი „მეინესთან“. უფრო ადრე კი ამავე გუნდთან 39 ქულა და 18 მოხსნა მოაგროვა, რაც მისი პირადი და გუნდის აბსოლუტური რეკორდი იყო.

დრამატული გამოდგა „ატლანტასა“ და „ნიუ იორკის“ გუშინდელი დაპირისპირება. ჯორჯიელები მრავალმხრივად უტევდნენ, სამქულიანებსაც აგდებდნენ, ფარქვეშიდანაც მეტოქეზე ორჯერ მეტი ქულა მიითვალეს, საშუალო დისტანციიდანაც ზუსტები იყვნენ, თუმცა მეტოქის რიგებში თამაშობდა კალათბურთელი, რომელიც ატლანტელთა მონდომებას აბათილებდა - **კარმელო ენტონი**, რომელმაც საბოლოოდ 12-დან 9(!) სამქულიანი ჩააგდო და 42 ქულა მოაგროვა.

მატჩი ბოლო წამებამდე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. საფინალო სირენამდე 12 წამით ადრე „ატლანტა“ მინიმალური სხვაობით იგებდა, თუმცა იმავე კარმელომ გადამწყვეტი შეტევა 2+1-ით დაასრულა და „ნიუ იორკს“ 106:104 გაამარჯვებინა.

**ზაზა ფაჩულია** უმთავრესად გუნდზე თამაშობდა, 17 წუთში მხოლოდ ორჯერ შეუტია მეტოქის კალათს და საბოლოოდ 2 ქულას დასჯერდა.



### ასპროცენტიანი მეტრეველი

იტალიის „ნაციონალ 1-ის“ ლიგაში გადასვლის შემდეგ **ნიკა მეტრეველს** თამაში არ წაუგია. მისმა „ომენამ“ ამჯერად სტუმრად „რეჯო კალაბრიას“ სძლია. ნიკამ 6-დან 5 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა და 12 ქულას 7 მოხსნა მიამატა.

ეს „ომენასთვის“ მე-11 გამარჯვება იყო და ამ მაჩვენებლით სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.

### პირველი მარცხი

ისრაელში „მაქაბისთან“ ღირებული საევროლიგო გამარჯვების შემდეგ გიორგი შერმადინის „ოლიმპიაკოსმა“ პაოკ-თან წააგო. ეს იყო პირეოსელთა პირველი მარცხი საბერძნეთის ჩემპიონატში.

შერმადინმა მხოლოდ 7 წუთი ითამაშა, რაშიც გარკვეული წვლილი ფოლების სიუხვეს მიუძღვის - მატჩი 4 ჯარიმით დაასრულა.

### ცქიტო და ლარი

ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა ლიბანის ჩემპიონატი. როგორც ჩანს, ეს დრო უქმად არ დაუკარგავს „ჩამპვილს“, რომელშიც **ნიკა ცქიტიშვილი** ასპარეზობს. სკიტას თანაგუნდელებმა „ჰუპსი“ სტუმრად დაამარცხეს - 104:72.

ნიკამ 25 წუთი ითამაშა და 8 ქულა ჩააგდო. უნდა ვივარაუდოთ, მწვრთნელმა იგი ბოლომდე იმიტომ არ დატვირთა, რომ „ჩამპვილს“ თავიდანვე დიდი უპირატესობა ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ „ჰუპსის“ რიგებში ითამაშა „შსს აკადემიის“ უკანახაზელმა **ლარი ბლერმა**, რომელიც თავისი ბომბარდირული თვისებებით ლიბანშიც გამოირჩევა. მას საშუალოდ 25 ქულა აქვს.

9 მოგებით (4 მარცხი) „ჩამპვილი“ ცხრილში მესამე პოზიციაზეა. „ჰუპსს“ კი 3 გამარჯვება უწერია და მერვეა.





შემდგარი ტრანსფერი



ასეთი განწყობით დატოვა მანუმ „კანტუ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გალა წარმოდგენა იწყება

## მანუმ სტამბოლელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დავწერეთ, რომ იტალიურ „კანტუში“ მოასპარეზე **მანუჩარ მარკოიშვილმა** თურქული „გალათასარაისგან“ მეგა-შეთავაზება მიიღო. მას შემდეგ მოვლენები უსწრაფესად განვითარდა: გუშინ მანუმ თურქულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რის შემდეგაც უმალ სტამბოლში გაემგზავრა.

წინა ნომერში ისიც დავწერეთ, რომ მანუჩარის „კანტუს“ ფინანსური პრობლემები შეექმნა და ტრანსფერის დაჩქარებას ამანაც შეუწყო ხელი. ამ თემაზე ვრცელი სტატია მოამზადა „დეილიბასკეტის“ ჟურნალისტმა **კარლო პეროტიმ.** იგი ესაუბრა გუნდის პრეზიდენტს **ანა კრემასკოლის**, რომელმაც გულისტკივილით ილაპარაკა:

*- ზოგჯერ არის შემთხვევა, როცა უნდა გადადგა ისეთი ნაბიჯი, რაც შენს სურვილს ეწინააღმდეგება. მტკივნეული, ძალიან მტკივნეული იყო მანუჩარის გუნდიდან გაშვება. ის შესანიშნავია როგორც სპორტსმენი და როგორც პიროვნება.*

პრეზიდენტმა გუნდში არსებულ სიტუაციაზეც იმსჯელა:

*- სპონსორთან შეხვედრამ უამრავი კითხვა დამიტოვა, როგორც ახალ დარბაზთან, ასევე გუნდის მომავალთან დაკავშირებით. მანუჩარის გაშვებაც ამან გადაგვაწყვეტინა. დღეს ძალიან ნაღვლიანი დღეა, თუმცა ამავე დროს ვამაყობთ, რომ ჩვენი კალათბურთელი გადავიდა ისეთ ძლიერ გუნდში როგორიც „გალათასარაია“. მარკოიშვილს დიდი მადლობა ეკუთვნის იმ საქმისთვის, რაც ბოლო წლებში „კანტუს“ გაუკეთა. შეიძლება ითქვას, იგი ჩვენი წარმატების სიმბოლოდ იქცა და აუცილებლად დაიკავებს საპატიო ადგილს „კანტუს“ უდიდეს კალათბურთელთა შორის. ახლა კობი ბრაიანტი რომ ჩამოვიყვანოთ, ისე არ გამეხარდება, როგორც მანუჩარის დარჩენა.*

ჩვენი მხრივ, მადლობა უნდა ვუთხრათ ჟურნალისტ კარლო პეროტის, რომელმაც „კანტუს“ პრეზიდენტის ქართველი კალათბურთელისადმი დამოკიდებულება ზედმიწევნით კარგად გაგვაცნო.

> **„კანტუს“ პრეზიდენტი ანა კრემასკილი: კობი ბრაიანტი რომ ჩამოვიყვანოთ, ისე არ გამეხარდება, როგორც მანუჩარის გუნდში დარჩენა.**

კვირას, „რომასთან“ მატჩის („კანტუ“ 60:65 დამარცხდა) შემდეგ, ლომბარდიელთა მთავარ მწვრთნელ **ანდრეა ტრინკიერის** ჰკითხეს: გუნდის განწყობაზე მანუჩარ მარკოიშვილთან დაკავშირებულმა ამბავმა ხომ არ იმოქმედაო? მწვრთნელმა უარყოფითი პასუხი გასცა და იქვე დასძინა, მანუჩარის ტრანსფერზე ლაპარაკისგან ახლა თავს შევიკავებო.

ისღა დაგვრჩენია, შეგახსენოთ, რომ 2011 წელს, NBA-ის ლოკაუტის დროს „გალათასარაიში“ **ზაზა ფაჩულია** თამაშობდა. გუნდი თურქეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა (13 მოგება, 3 მარცხი), ხოლო ევროთასზე მეოთხედფინალში მოხვედრისთვის იბრძვის: ჯგუფში რუსულ „უნიქსთან“, სერბულ „ცრვენა ზვეზდასთან“ და გერმანულ „ულმთან“ თამაშობს. სამი ტურის შემდეგ 2 მოგება აქვს. სტამბოლელები უახლოეს მატჩს 30 იანვარს გერმანიაში „ულმის“ წინააღმდეგ ჩაატარებენ.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 23.01 | NBA | შარლოტი VS | 104:92 | ტრავმა | | | | | |
| | | 25.01 | NBA | VS ბოსტონი | 123:111 2ო.ტ. | 11 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 |
| | | 27.01 | NBA | ნიუ იორკი VS | 106:104 | 17 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 |
| თორნიკე შენგელია | სპრინგფილდი (NBDL) | 24.01 | NBA | VS მეინე | 123:115 | 46 | 39 | 18 | 6 | 3 | 0 |
| | | 26.01 | NBA | VS სანტა კრუზი | 111:100 | 37 | 24 | 13 | 3 | 3 | 2 |
| | | 27.01 | NBA | მეინე VS | 120:112 | ტრავმა | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტალია) | 27.01 | იტალიის ჩემპ. | VS რომა | 60:65 | 26 | 10 | 1 | 1 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | 25.01 | ევროლიგა | VS ბეშიქთაში (თურ) | 63:57 | 22 | 14 | 5 | 0 | 0 | 0 |
| | | 28.01 | იტალიის ჩემპ. | ბრინდისი VS | 94:84 | 18 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტალია) | 27.01 | იტალიის ჩემპ. | რეჯო კალაბრია VS | 73:77 | 23 | 12 | 7 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 24.01 | ევროლიგა | მაქაბი (საბ) VS | 77:78 | 20 | 9 | 9 | 2 | 0 | 2 |
| | | 27.01 | საბერძნეთის ჩემპ. | პაოკ VS | 76:71 | 7 | 4 | 4 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 23.01 | ევროთასი | VS ბუდუჩნოსტი (ჩერ) | 75:79 | 22 | 7 | 1 | 3 | 0 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპანეთი) | 23.01 | ევროთასი | VS ლოკომოტივი (რუს) | 80:87 | 8 | 2 | 4 | 0 | 0 | 0 |
| | | 26.01 | ესპანეთის ჩემპ. | VS კახა ლაბორალი | 82:86 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 26.12 | ლიბანის ჩემპ. | ჰუპსი VS | 72:104 | 25 | 8 | 4 | 3 | 1 | 2 |
| სერგო ათუაშვილი | ეშტეღლალი (ირანი) | 24.12 | ირანის ჩემპ. | VS ალ ბადრი | 84:80 | 18 | 6 | 5 | 0 | 1 | 1 |

ჩოგბურთი. რეიტინგები


დავიდ ფერერი

# სხვანაირი TOP4

ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ, ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა მამაკაცთა კლასიფიკაციაში. პირველად ბოლო 7.5 წლის განმავლობაში, პირველი ოთხეული დატოვა „დიდი სლემის“ ტურნირების 11-გზის ჩემპიონმა, 26 წლის **რაფაელ ნადალმა.** ბოლოს, რაფა კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილზე 2005 წლის 30 მაისს იყო. ნადალს გაუსწრო თანამემამულე **დავიდ ფერერმა,** რომელიც, თავის მხრივ, 2008 წლის სექტემბრის შემდეგ, ისევ დაბრუნდა მეოთხე პოზიციაზე.

სხვა ცვლილება ATP-ის TOP10-ში არ მომხდარა.

■ ■ ■

WTA-ის განახლებულ რეიტინგში კი ერთი საფეხურით მაღლა ავიდა და მსოფლიოს მეორე ჩოგანი გახდა ამერიკელი **სერენა უილიამსი.** ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში წაგების მიუხედავად, სერენამ შეძლო კლასიფიკაციაში **მარია შარაპოვას** უკან ჩამოტოვება.

უილიამსის თანამემამულემ **სლოან სტივენსმა** ავსტრალიაში წარმატებული გამოსვლის წყალობით, კარიერაში პირველად შეაბიჯა ტოპ-ოცეულში და ახლა, მე-17 ადგილს იკავებს.

| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 12 920 |
| 2(2) . როჯერ ფედერერი (შვეიც) | 10 265 |
| 3(3). ენდი მიურეი (ბრიტ) | 8 480 |
| 4(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 6 865 |
| 5(4). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5 400 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 680 |
| 7(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 210 |
| 8(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 555 |
| 9(9). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 3 180 |
| 10(10). რიშარ გასკე (საფ) | 2 720 |
| 11(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 695 |
| 12(12). ხუან მონაკო (არგ) | 2 430 |
| 13(14). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 300 |
| 14(16). ჟილ სიმონი (საფ) | 2 280 |
| 15(15). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 265 |
| 16(13). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 125 |
| 17(17). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 990 |
| 18(23). ანდრეას სეპი (იტა) | 1 765 |
| 19(19). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 1 740 |
| 20(22). სემ კუერი (აშშ) | 1 695 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 10 325 |
| 2(3). სერენა უილიამსი (აშშ) | 9 970 |
| 3(2). მარია შარაპოვა (რუს) | 9 545 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 7 750 |
| 5(6). ნა ლი (ჩინ) | 6 255 |
| 6(5). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 5 695 |
| 7(7). სარა ერანი (იტა) | 4 605 |
| 8(8). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 285 |
| 9(9). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4 230 |
| 10(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 740 |
| 11(10). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 3 545 |
| 12(12). ნადია პეტროვა (რუს) | 2 945 |
| 13(13). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 841 |
| 14(14). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 695 |
| 15(15). მარია კირილენკო (რუს) | 2 690 |
| 16(16). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 585 |
| 17(25). სლოან სტივენსი (აშშ) | 2 466 |
| 18(17). ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 2 160 |
| 19(18). იულია გორგესი (გერ) | 1 965 |
| 20(19). ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 1 881 |

# ენდი მარეის საფეხბურთო გუნდი

## ყველაზე ელეგანტური ფედერერი და ავადმყოფი კაპრიატი


ენდი მარეი

ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა **ენდი მარეიმ** ჟურნალისტებს მოუყვა იმის შესახებ, თუ რომელი ჩოგბურთელებისგან შეადგენდა მინი-ფეხბურთში სიმბოლურ ნაკრებს.

*„ნახევარდაცვაში რაფა ნადალი ითამაშებდა, თავდასხმაში - ჟო-ვილფრიდ ცონგა. მარჯვნივ ირბენდა კეი ნიშიკორი, მარცხნივ - დავიდ ფერერი, - ამბობს მარეი. - რაც შეეხება სათადარიგოთა სკამს, იქ სერენა უილიამს დავსვამდი“.*

*„ლოგიკურია, რომ რაფა ავირჩიე - ის ხომ ფეხბურთის დიდი მოყვარულია და თან ბიძა პროფესიონალი ფეხბურთელი ჰყავდა. ვფიქრობ, ნადალს ფეხბურთი რომ აერჩია და არა ჩოგბურთი, ბევრი ჩოგბურთელი შეძლებდა „დიდი სლემის“ ტურნირების მოგებას“,* - დაამატა 25 წლის ბრიტანელმა.

■ ■ ■

შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** 2012 წლის ყველაზე ელეგანტურ მამაკაცად გამოაცხადა ბრიტანულმა ჟურნალმა Hello!-მ.

გამოკითხვის თანახმად, შვეიცარიელმა ხმების 43 პროცენტი მიიღო. ფედერერმა გაუსწრო მსახიობებს - **ორლანდო ბლუმსა** და **ტომ ჰიდლსტონს.**

აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ Hello!-ის ვერსიით 2012 წლის ყველაზე ელეგანტური ქალბატონი გახდა ამერიკელი მსახიობი **ანჯელინა ჯოლი.**

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, 36 წლის ამერიკელ **ჯენიფერ კაპრიატის** ლაიმას ავადმყოფობა დაუდგინეს. ამ სენს ახასიათებს კანის დაავადება, აგრეთვე კიდურების, გულისა და ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები.

*„ლაიმას ავადმყოფობის დიაგნოზი დამისვეს. როგორც ჩანს, დიდი ხანია ავად ვარ. როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? ეს შეიძლება ავხსნათ ტრავმებით, ძლიერი ტკივილებითა და ემოციური სტრესებით. ახლა, სპეციალურ ლიტერატურას ვეცნობი... მეშინია“,* - დაწერა თავის „ტვიტერზე“ კაპრიატიმ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# სეზონის ბოლომდე რონდოს გარეშე

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის მორიგი სათამაშო დღე ფინალის სადარი ომით დაიწყო. "მაიამის" შარშანდელი პლეი ოფის შემდეგ არ ეთამაშა ბოსტონში, როცა აღმოსავლეთი კონფერენციის ფინალური სერიის მეექვსე მატჩში **ლებრონმა** პრაქტიკულად მარტომ მოუგო "სელტიქსს" და სერიაში გარდატეხა შეიტანა.

გუშინდელ შეხვედრაში ლიდერი 19-ჯერ შეიცვალა, თანაბარი ანგარიში კი ტაბლოზე 20-ჯერ დაფიქსირდა. ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ორნიშნა უპირატესობის მოპოვება, არადა, "ბოსტონი" ტრავმირებული **რაჟონ რონდოს** გარეშე თამაშობდა. "კელტებს" ძალიან უნდოდათ შარშანდელი სერიის გამო შურისძიება, თან ექვსმატჩიანი წაგებათა სერიის შეწყვეტა. "ბოსტონს" ისევ ჰქონდა პრობლემები ფარქვეშ ბრძოლაში და "ჰიტმა" შეტევაში 17 მოხსნის აღება მოახერხა. სამაგიეროდ, მასპინძლებმა სწრაფი შეტევების საშუალება მოუსპეს "მაიამის", რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

საფინალო სირენის მოახლოებასთან ერთად, სიტუაცია მოედანზე სულ უფრო მეტად იძაბებოდა. 32 წამით ადრე "ბოსტონი" ოთხი ქულით იგებდა, მაგრამ **რეი ალენმა,** რომელსაც პუბლიკა თბილად შეხვდა, კუთხიდან საფირმო სამქულიანი ჩააგდო, ჯეიმსმა კი **ტერის** ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ, კიდევ ერთი ზუსტი შორეული ტყორცნა მოათავსა კალათში. ტერის ჰქონდა მატჩის ძირითად დროში დასრულების შანსი, მაგრამ ექს-დალასელმა თავისი სამქულიანი ააცილა.

"ბოსტონისთვის" ეს იყო ზედიზედ მესამე დამატებითი ხუთწუთეული. მოედანზე ნამდვილი ომი მიდიოდა და ამასთან, შეინიშნებოდა დაღლილობის პირველი ნიშნები. თუ ლებრონს გამოსდიოდა კარგი თამაში, **უეიდს** პირიქით, აშკარა კრიზისი დაეწყო. დუეინმა ოვერტაიმში სამივე ტყორცნა ააცილა, მათ შორის, პოტენციურად გამარჯვების მომტანი სროლა. მეორე დამატებით დროში პრაქტიკულად ყველა აცილებდა. "ჰიტმა" ისარგებლა "ბოსტონის" დაცვის შეცდომით და **ბოშმა** ბურთი კალათში ჩატენა, შემდეგ, სირენამდე წუთით ადრე, ჯეიმსმა ორი ქულა აიღო და თავის გუნდს სამქულიანი უპირატესობა მოუტანა. "ბოსტონი" არ დანებდა. ტერიმ და **პირსმა** (კარიერაში მეშვიდე სამმაგი დუბლი შეასრულა) ორ შეტევაში გააბათილეს ჩამორჩენა და წინ გაიყვანეს მასპინძლები. გადამწყვეტი პასუხისას ჯეიმსმა საშუალო მანძილიდან სროლა ააცილა, რასაც მოჰყვა ჯარიმები, რომლებიც პირსმა გამოიყენა. "ჰიტს" ისევ შეეძლო შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა ან სულაც მოგება, მაგრამ ბოლო შეტევა გააფუჭა – **შეინ ბატიემ** სამქულიანი ააცილა.

მატჩის შემდეგ კი გაირკვა, რომ რაჟონ რონდო სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება "ბოსტონს", რისი მიზეზიც მუხლის ტრავმა გახლავთ. გამთამაშებელმა მარჯვენა მუხლის მყესები "ატლანტასთან" 25 იანვრის მატჩში დაიზიანა. სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ, დაისვა მუხლის ჯვარედინა მყესების გაწყვეტის დიაგნოზი. საბოლოოდ, "სელტიქსმა" დაადასტურა, რომ რონდო გამოტოვებს სეზონის დარჩენილ ნაწილს. უახლოეს დღეებში მას ოპერაცია ელის.

**ბოსტონი–მაიამი 100:98 (2ო)**

**22:26, 23:19, 19:23, 23:19, 6:6, 7:5**

ბ: გარნეტი (24+11 მოხსნა+3 დაფარება), პირსი (17+13 მოხსნა+10 პასი), ტერი (13), გრინი (11).

მ: ჯეიმსი (34+16 მოხსნა+7 პასი+3 ჩაჭრა), ალენი (21+5 მოხსნა), უეიდი (17+7 პასი), ბოში (16+16 მოხსნა).


რაჟონ რონდო

# ყოჩაღ, ლეიკერსი!

დროებითი ან გლობალური გარდაქმნა შეიმჩნევა "ლეიკერსის" თამაშში. დადებითი ცვლილება უკავშირდება **კობი ბრაიანტის** სნაიპერიდან გამთამაშებლად გადაყვანას. უკვე ზედიზედ მეორე მატჩში "შავმა მამბამ" 14 შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კობის 28 ქულა 20-25 სროლის შემდეგ. როცა ბრაიანტი გამთამაშებელია, თამაშობს არა მხოლოდ ის, არამედ მთელი გუნდი. "ლეიკერსის" მოთამაშეები გრძნობენ თავიანთ წვლილს შედეგში.

"ოკლაჰომაზე" გამარჯვება ყველაზე ეფექტური და ლამაზი იყო მიმდინარე ჩემპიონატში. კალიფორნიელებმა დაამარცხეს არა მხოლოდ ჩემპიონობის პრეტენდენტი, არამედ დაანახეს თავიანთ გულშემატკივრებს გვირაბის ბოლოს სინათლე. თამაშისადმი ასეთი მიდგომითა და ბრძოლის ჟინით, "ლეიკერსს" შეუძლია კონფერენციაში სიტუაციის შეცვლა.

არ არის გამორიცხული, რომ **დურანტმა** და კომპანიამ არ შეაფასა მეტოქე. **უესტბრუკმა** ბრაიანტის მონდომებით მთლიანად ჩააგდო შეხვედრა, ბოლომდე კარგად არ მისდიოდა საქმეები დურანტს, მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი "+30" მაინც დააფიქსირა. **პაუ გასოლმა** და მისი მეთაურობით "ლეიკერსის" სათარიგოთა სკამმა კარგად გააკეთა თავისი საქმე და დაამარცხა "ოკლაჰომას" რეზერვისტები – 33:17. სხვათა შორის, ესპანელი რეზერვისტის როლში საკმაოდ კარგად გამოიყურება. სირენამდე ექვსი წუთით ადრე, სტუმრები ერთ ქულას იგებდნენ, მაგრამ ბრაიანტის ხელმძღვანელობით საპასუხო სპურტი (11:4) მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ამის შემდეგ, "თანდერი" ოთხ ქულაზე მეტად ველარ მიუახლოვდა მეტოქეს.

■ ■ ■

"დალასისა" და "ფინიქსის" შეხვედრა, რომელშიც "სანზმა" ზედიზედ მეათედ წააგო ტექსასელთა მოედანზე, სავსე იყო იუბილეებითა და მიღწევებით. ჯერ ერთი, **შონ მერიონმა** კარიერაში მე-1000 მატჩი ჩაატარა, გარდა ამისა, **დირკ ნოვიცკიმ** გაუსწრო **ალენ აივერსონს** ყველა დროის ბომბარდირთა დავაში და მე-18 ადგილზე გადავიდა (გერმანელის მორიგი სამიზნე **პატრიკ იუინგია**), და კიდევ, **ელტონ ბრენდმა** კარიერაში მე-900 მატჩი ითამაშა.

პირველ ტაიმში 20 ქულის წაგების შემდეგ, არიზონელები ბევრს ცდილობდნენ მეტოქის დაწევას, მაგრამ მათ ყოველ გაქცევას "დალასი" საპასუხო სპურტით იგერიებდა. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში "ფინიქსი" ხუთ ქულამდე მიუახლოვდა "დალასს", მაგრამ ნოვიცკი და **ბრენდონ რაიტი** მორიგი გაქცევის ორგანიზატორები გახდნენ. "ფინიქსი" ბოლო ხუთ დღეში მეოთხე მატჩს ატარებდა და ველარ მოახერხა პასუხის გაცემა.

■ ■ ■

როგორც იქნა, შეწყდა "კლიპერსის" ოთხმატჩიანი წაგებათა სერია. ისევ **კრის პოლის** გარეშე მოთამაშე კალიფორნიელებმა დამაჯერებლად მოუგეს "პორტლენდს". "ბლეიზერსმა" ბოლო ცხრა მატჩში მეშვიდედ წააგო, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ NBA-ში ყველაზე უარესი სათადარიგოთა სკამით, სტუმრებს კალიფორნიაში წარმატების მინიმალური შანსი ჰქონდათ. ამისთვის საჭირო იყო სასტარტო ხუთეულის უნაკლო თამაში, მაგრამ ძირითადი მოთამაშეებიდან თავის დონეზე მხოლოდ **ლამარკუს ოლდრიჯმა** ითამაშა, თუმცა მან ვერ შეაჩერა "კლიპერსის" წინა ხაზი. მასპინძლებმა დამაჯერებლად მოიგეს სამწამიანში ბრძოლა (56:24), თამაშიდან 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროლეს, ასეთი სტატისტიკით კი "კლიპერსმა" წელს მხოლოდ ერთი მატჩი წააგო 14-დან.


ლეიკერსი-ოკლაჰომა

**ლეიკერსი–ოკლაჰომა 105:96**

**27:23, 25:30, 23:22, 30:21**

ლ: ბრაიანტი (21+9 მოხსნა+14 პასი), ნეში (17+5 პასი), გასოლი (16), უორლდ პისი (15+10 მოხსნა), ჯეიმისონი (12), კლარკი (11), ჰოვარდი (8+10 მოხსნა).

ო: დურანტი (35), უესტბრუკი (17+9 მოხსნა+13 პასი), იბაკა (10+6 მოხსნა), პერკინსი (10+6 მოხსნა).

**ორლანდო–დეტროიტი 102:104**

**25:29, 19:25, 33:24, 25:26**

ო: რედისი (31+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნელსონი (18+6 მოხსნა+8 პასი), მური (18), დევისი (17+12 მოხსნა+), ვუჩევიჩი (12+17 მოხსნა).

დ: ნაითი (31), მონრო (17+7 მოხსნა+6 პასი), ვილანუევა (12+5 მოხსნა), სინგლერი (10), ბაინუმი (9+12 პასი).

**მემფისი–ნიუ ორლეანი 83:91**

**23:24, 22:19, 23:21, 15:27**

მ: რენდოლფი (20+13 მოხსნა), გასოლი (14+11 მოხსნა+3 დაფარება), ბეილესი (14+5 პასი+3 ჩაჭრა), გეი (10+5 მოხსნა).

ნ-ო: ანდერსონი (22+5 მოხსნა), სმიტი (16+5 მოხსნა), დევისი (10+6 მოხსნა), ამინუ (9+12 მოხსნა), ვასკესი (5+11 პასი).

**ნიუ იორკი–ატლანტა 106:104**

**27:25, 25:27, 30:22, 24:30**

ნ-ი: ენტონი (42+5 მოხსნა), სტაუდმაიერი (18+8 მოხსნა), სმიტი (18), ფელტონი (12+10 პასი).

ა: ტიგი (27+5 მოხსნა+6 პასი), სმიტი (20), ჰორფორდი (16+6 მოხსნა), სტივენსონი (15), კორვერი (13+7 მოხსნა).

**დალასი–ფინიქსი 110:95**

**29:21, 28:21, 24:30, 29:23**

დ: მერიონი (18+9 მოხსნა+5 პასი), ნოვიცკი (18+7 მოხსნა), ბრენდი (12), ჯონსი (11).

ფ: დრაგიჩი (18+8 პასი), სკოლა (14), ტაკერი (12+5 მოხსნა+5 პასი), ბიზლი (12).

**კლიპერსი–პორტლენდი 96:83**

**33:27, 22:23, 23:12, 18:21**

კ: გრიფინი (23+5 მოხსნა+9 პასი), ბატლერი (12), ბლედსოუ (10+5 მოხსნა+5 პასი), ოდომი (8+13 მოხსნა+6 პასი).

პ: ოლდრიჯი (21+11 მოხსნა), ლილარდი (16+5 პასი), ჰიქსონი (15+9 მოხსნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგოს ექვსიდან ექვსი აქვს



ტამპა ბეი ლიდერია

"ვაშინგტონის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ადამ ოუსტმა**, რომელიც შარშანდელი სეზონის შემდეგ ჩაუდგა სათავეში დედაქალაქელებს, როგორც იქნა, შეძლო ლიგაში სადებიუტო გამარჯვების მოპოვება. მწვრთნელმა ისევ მიმართა ექსპერიმენტებს **ალექსანდრ ოვეჩკინთან** დაკავშირებით – რუსი ვარსკვლავი მარცხენა ფლანგზე დააბრუნა და **ჯეი ბიგლთან** და **ჯოი კრაბთან** სამეულში დააყენა. "კეპიტალზმა" ტრავმირებული **ტომაშ ვანეკის** გარეშე მოთამაშე "ბაფალო" დაამარცხა - 3:2. გამარჯვების გოლი რიცხობრივ უპირატესობაში სწორედ ოვეჩკინმა გაიტანა – ეს მისი პირველი შაიბაა მიმდინარე სეზონში. "ვაშინგტონი" ბოლო ადგილზეა აღმოსავლეთ კონფერენციაში, "ბაფალომ" კი ზედიზედ მესამე მატჩი წააგო და მე-11 პოზიციაზე იმყოფება.

ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ, "პიტსბურგმა" ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა "ოტავა" – 2:1 ბულიტების სერიაში. ძირითად დროში გუნდებმა შაიბები გაცვალეს, ბულიტების სერიაში კი ექვსიდან ხუთი პენალტი აღმოჩნდა ზუსტი. ვერ გაიტანა მხოლოდ **მილან მიხალეკმა** და ეს "ოტავას" ერთ დაკარგულ ქულად დაუჯდა.

შეუჩერებელია ჩემპიონატის სტარტზე "მონრეალის" მცველი **ანდრეი მარკოვი**, რომელიც სრულად გამოჯანმრთელდა ტრავმის შემდეგ და ისევ შიშის ზარს სცემს მეკარეებს თავისი უძლიერესი დარტყმებით. გუშინ, "კანადიენსმა" საკუთარ მოედანზე ოვერტაიმში მოუგო "ნიუ ჯერსის", გადამწყვეტი გოლი კი სწორედ მარკოვმა გაიტანა, როცა დამატებაზე აჯობა ყველას. "ნიუ ჯერსიმ" სეზონში პირველი მატჩი წააგო.

"ტამპა ბეიმ" მოულოდნელად გაანადგურა "ფილადელფია" – 5:1 და ზედიზედ მესამე გამარჯვება გაიფორმა. ამით **გი ბუშეს** გუნდი კონფერენციაში პირველ ადგილზე გადავიდა. **კუტურიეს** სწრაფი გოლის მიუხედავად, "ტამპამ" უკვე პირველ პერიოდში უპასუხა სამი გოლით, რასაც ბოლო პერიოდში კიდევ ორი დაუმატა. მატჩის გმირად შეიძლება დავასახელოთ **მარტინ სან ლუი**, რომელმაც ოთხი შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში, აგრეთვე **ტედი პურსელი** – მის ანგარიშზე სამი ქულაა. შესანიშნავად შეხვდა ახალ სეზონს მცველი **ერიკ ბრიუერი,** რომელსაც უკვე სამი გოლი აქვს, არადა, შარშან, მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ერთი გოლი შეაგდო.

"ვინიპეგი" საკუთარ მოედანზე პრაქტიკულად არავის უტოვებს შანსს. "ჯეტსმა" შემტევ ჰოკეიში გამოსტაცა გამარჯვება "აილენდერსს" – 5:4 ოვერტაიმში. არადა, მასპინძლები მესამე პერიოდის შუაში ორ შაიბას აგებდნენ. ეს **ჯონ ტავარესის** დამსახურება იყო, რომელმაც ათ წუთში სამი ქულის აღება შეძლო. მაგრამ **ბაფლინმა** და **ბურმისტროვმა** თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს, სადაც გადამწყვეტი გოლი **ევანდერ კეინმა** ჩაიწერა. გარდა ამისა, პირველი გოლი გაიტანა ახალ გუნდში **ალექსეი პონიკაროვსკიმ, ოლი იოკინენმა** კი პირველი ქულა მოიხვეჭა "ვინიპეგის" მაისურით.

დასავლეთში სეზონში საუკეთესო სტარტის მხრივ საკლუბო რეკორდი მოხსნა "ჩიკაგომ". "ბლეკჰოქსმა" "დეტროიტს" 2:1 მოუგო და ზედიზედ ექვსი გამარჯვება დაუგროვდა. მასპინძლებში ორივე შაიბა მცველებმა გაიტანეს – **კიტმა** და **ლედიმ**. "ჩიკაგო" ასპროცენტიანი მაჩვენებლით მთლიანად რეგულარული ჩემპიონატის ლიდერია.

არანაკლებ ბრწყინვალე ტემპი აქვს აღებული "სან ხოსეს", რომელიც გუშინ "ვანკუვერს" გაუსწორდა – 4:1. **პატრიკ მარლომ** ვერ შეძლო ზედიზედ მეხუთე მატჩში დუბლის შესრულება, თუმცა თავისი გოლი და შედეგიანი პასი მაინც მიითვალა. ასეთივე შედეგი ჰქონდა **ჯო ტორნტონს, პაველსკიმ** კი დუბლი შეასრულა. "შარქსს" ხუთიდან ხუთი მოგება აქვს სეზონის სტარტზე.

**ზაკ პარიზეს** მონდომება ისევ არ ეყო "მინესოტას" გამარჯვების მოსაპოვებლად. ისევე, როგორც "დეტროიტთან" მატჩში, ექსნიუჯერსელმა დუბლი გაიფორმა, მაგრამ მისმა გუნდმა ოვერტაიმში წააგო "სენტ ლუისთან". ამ მოგებით "ბლუზმენებმა" შეინარჩუნეს მეოთხე ადგილი, "მინესოტა" კი მოკრძალებული ხუთი ქულის მიუხედავად, საკუთარი დივიზიონის ლიდერია.

## სამი ვარსკვლავი

ტრადიციულად, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ დღის სამი ვარსკვლავი დაასახელა. საუკეთესოდ აღიარეს "ტამპას" 37 წლის ფორვარდი მარტინ სან ლუი, რომელმაც ოთხი საგოლე პასით გამოიჩინა თავი.

მეორე ვარსკვლავია "სან ხოსეს" თავდამსხმელი ჯო პაველსკი. მან ორი გოლი გაუტანა "ვანკუვერს" და ახლა, 5 მატჩში 10 ქულა (2+8) აქვს.

საუკეთესო სამეულშია კიდევ ერთი ფორვარდი – ევანდერ კეინი "ვინიპეგიდან", რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა "აილენდერსთან" და თან ერთი შედეგიანი პასიც შეასრულა.

**ვაშინგტონი–ბაფალო 3:2**

1:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 0:1 ენისი-1 (ოტი-1, სტეფორდი-2), 1:1 ჯ. უორდი-3 (ჩიმერა-3, რიბეირო-4), 2:1 ერსკინი-1 (ჯ. უორდი-2, ჩიმერა-4), 3:1 ოვეჩკინი-1 (მაიკ გრინი-2, რიბეირო-5), 3:2 ფოლინო-1 (კალეტა-1, სეკერა-2).

**ოტავა–პიტსბურგი 1:2 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯ. ნილი-4 (მალკინი-5), 1:1 გრინინგი-1 (სპეცა-3, მ. მიხალეკი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** ჯ. ნილი (პიტსბურგი), სპეცა (ოტავა), კროსბი (პიტსბურგი), ტარისი (ოტავა), მალკინი (პიტსბურგი).

**მონრეალი–ნიუ ჯერსი 4:3 (ო)**

2:0, 0:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 რ. უაიტი-1 (მოენი-1, ემელინი-1), 2:0 გალაჰერი-1 (გალჩენიუკი-1), 2:1 ელიაში-2 (ფეინი-2, კლარკსონი-2), 3:1 პრუსტი-1 (გალჩენიუკი-2), 3:2 კლარკსონი-3 (ელიაში-3, კოვალჩუკი-3), 3:3 ზუბრუსი-1 (ელიაში-4, კლარკსონი-3), 4:3 მარკოვი-4 (ე. კოული-2, რ. ბურკი-2).

**ტამპა ბეი–ფილადელფია 5:1**

3:1, 0:0, 2:0

**გოლები:** 0:1 კუტურიე-2 (ტელბოტი-2), 1:1 პურსელი-1 (სტემკოსი-7, სან ლუი-5), 2:1 ბრიუერი-3 (პურსელი-5, სან ლუი-6), 3:1 ლეკავალიე-2 (სან ლუი-7, სალო-4), 4:1 ჰედმანი-2 (ა. ჰოლი-2, სალო-5), 5:1 სტემკოსი-3 (პურსელი-6, სან ლუი-8).

**სტ ლუისი–მინესოტა 5:4 (ო)**

1:0, 1:3, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 რედენი-2 (ბეკსი-3, პერონი-3), 1:1 პარიზე-4 (გილბერტი-2, სატერი-2), 1:2 პარიზე-5 (მ. კოივუ-5, ჰიტლი-2), 1:3 მ. კოივუ-1 (პარიზე-4, გილბერტი-3), 2:3 ბერგლუნდი-3 (პერონი-4, პიეტრანჯელო-5), 3:3 კ. სტიუარტი-4 (პიეტრანჯელო-6, შატენკირკი-7), 4:3 ჯეკმანი-1 (ტარასენკო-4, შატენკირკი-8), 4:4 ჰიტლი-4 (კულენი-1, სატერი-3), 5:4 სობოტკა-1 (ე. მაკდონალდი-3, პოლაკი-1).

**ჩიკაგო–დეტროიტი 2:1 (ო)**

1:0, 0:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კიტი-1 (სიბრუკი-2, მარიან ჰოსა-3), 1:1 ფრანცენი-1 (ბრუნერი-1, ზეტერბერგი-4), 2:1 ლედი-1 (სტალბერგი-1, ტეივზი-3).

**ვინიპეგი–აილენდერსი 5:4 (ო)**

1:1, 1:0, 2:3, 1:0

**გოლები:** 0:1 ულსტრიომი-2, 1:1 პონიკაროვსკი-1 (უელვუდი-1, ენსტრიომი-6), 2:1 ლიტლი-1 (ანტროპოვი-2, ლედი-3), 2:2 ტავარესი-1 (ოკსოპო-2, მოულსონი-2), 2:3 მოულსონი-3 (ტავარესი-5, ჰამონიკი-2), 2:4 მოულსონი-2 (ნილსენი-3, ტავარესი-6), 3:4 ბაფლინი-3 (ველერი-3, ე. კეინი-3), 4:4 ბურმისტროვი-1, 5:4 ე. კეინი-3 (ო. იოკინენი-1, ჰეინსი-1).

**სან ხოსე–ვანკუვერი 4:1**

2:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ჯ. ტორნტონი-3 (ვლასიჩი-2, ბ. სტიუარტი-2), 2:0 პაველსკი-1, 2:1 ბაროუზი-1 (ჰანსენი-3), 3:1 მარლო-9 (დ. ბოილი-4, კუტური-5), 4:1 პაველსკი-2 (ჯ. ტორნტონი-10, მარლო-4).

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **აფრიკის თასი** | |
| კონგოს დრ-მალი | 1:1 |
| ნიგერი-განა | 0:3 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| აგფ ორჰუსი-ვიბორგი | 2:0 |
| ოლიმპია-გიოტებორგი | 0:0 პენ. 3:2 |
| დინამო (დ)-მაგდებურგი | 2:0 |
| ცსკა-სტრიომსგოდსეტი | 1:2 |
| ძაბალა-პეტროლული | 2:0 |
| გლორია-მეტალურგი (ზ) | 0:1 |
| ლუდოგორეცი-ეკრანასი | 1:0 |
| რიეკა-კრილია | 0:2 |
| სილკებორგი-მატერსბურგი | 1:1 |
| შახტარი-რუსენბორგი | 1:0 |
| კიოლნი-დორტმუნდი | 1:0 |
| რაპიდი-სკენდერბეუ | 1:0 |
| დუბლინი-ეთლონი | 3:2 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| ექსეტერი-ტორკი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| იუვე სტაბია-ბრეშია | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| სევილია-გრანადა | 3:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| ლოტე-ფორტუნა | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დიჟონი-ლანსი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვოლენდამი-ალმერი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| პორტუ-ჟილ ვისენტე | 5:0 |
| **საბერძნეთი** | |
| კერკირა-არისი | 2:2 |

| | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| ვიცაჩი-ლარისა | 0:3 |
| **თურქეთი** | |
| ესქისეჰირი-ორდუ | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ადანა-ანკარაგიუჯუ | 0:1 |
| **კვიპროსი** | |
| ალკი-დოქსა | 2:2 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ნანტი | 87:84 |
| **საბერძნეთი** | |
| პანათინაიკოსი-არისი | 81:62 |
| **იტალია** | |
| ბრინდიზი-მონტეპასკი | 94:84 |
| **თურქეთი** | |
| ტურკ ტელეკომი-ბეშიქთაში | 59:85 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-სპარტაკი | 1:2 |
| მეტალურგი (ნ)-დინამო (რ) | 3:1 |
| სიბირი-დონბასი | 2:5 |
| ს. იულიაევი-იუგრა | 5:4 |
| აკ ბარსი-ბარისი | 2:4 |
| ლოკომოტივი-ტორპედო | 2:1 |
| ნეფტიხიმიკი-ავანგარდი | 1:4 |
| ვიტიაზი-ავტომობილისტი | 2:1 |
| დინამო (მ)-მეტალურგი (მ) | 2:1 (ბ) |
| სკა-ტრაქტორი | 5:1 |
| ლევ პოპრადი-სევერსტალი | 5:4 |
| სლოვანი-დინამო (მნ) | 1:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **WTA. პარიზი** | |
| ბარტელი-უ. რადვანსკა | 7:6, 6:0 |
| მედინა გარიგესი-ზაკოპალოვა | 6:2, 5:7, 0:6 |
| მაკჰეილი-პარმენტიე | 6:4, 6:1 |
| **WTA. პატაია** | |
| ვონგტეინჩაი-ბეკი | 6:3, 6:3 |
| ჰსიე-ერაკოვიჩი | 2:6, 2:6 |
| პანოვა-ბეგუ | 7:6, 3:2 უარი |
| იოჰანსონი-ჩანგი | 6:4, 6:3 |

## TV პროგრამა

**29 იანვარი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. ჰერაკლესი-ეინდჰოვენი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. ჰამბურგი-ვერდერი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. ვიტესი-აიაქსი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XIX ტური. დორტმუნდი-ნიურნბერგი.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. სან პაულუ-სოროკაბა.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**23:45** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ქუინზ პარკი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**01:45** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ასტონ ვილა-ნიუკასლი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვოლფსბურგი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ოკლაჰომა.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას შტატი. პაულისტა-კორინთიანსი.
**17:00** კალათბურთი. NBA. ლეგენდარული მატჩები. ბოსტონი-ფილადელფია. 1981 წელი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** NBA ACTION.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-მემფისი.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:45** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ასტონ ვილა-ნიუკასლი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-აშშ.
**13:45** სპორტ-NEWS.
**14:15** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლენსტერი-სკარლეტსი.
**16:15** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. დანია-ხორვატია
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ფულემი.
**20:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-მინესოტა.
**22:30** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/2 ფინალი. ესპანეთი-აშშ.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 0 | 8 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 6 | 12 | (წვიმა) |
| ბათუმი | 10 | 12 | (წვიმა) |
| ფოთი | 7 | 11 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 5 | 11 | (წვიმა) |
| გორი | 1 | 10 | (წვიმა) |
| თელავი | 1 | 9 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 1 | 8 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | -3 | 3 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -2 | 5 | (წვიმა) |
| მესტია | -5 | 4 | (წვიმა) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2327 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6600 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6110 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5189 |

კრივი

# ამერიკელთა ვერსიით


ნონიტო დონერი

ოთხიწონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონი, ფილიპინელი **ნონიტო დონერი** 2012 წლის საუკეთესო მოკრივე გახდა. მან გაიმარჯვა გამოკითხვაში, რომელიც ამერიკელ ჟურნალისტთა ასოციაციამ ჩაატარა. ამ ორგანიზაციამ აზრი ჰკითხა კრივის სფეროში მომუშავე ჟურნალისტებს.

30 წლის დონერმა 2012 წელს მოიგო ოთხი შეხვედრა. თებერვალში მან ქულებით დაამარცხა **ვილფრედო ვასკესი**, ივლისში ასევე ქულებით მოუგო **ჯეფრი მატებულას**, ოქტომბერში ტექნიკური ნოკაუტით სძლია **ტოსიაკი ნისიოკას**, ხოლო დეკემბერში ნოკაუტში გაგზავნა **ხორხე არსე**.

დღეისთვის, დონერი 55.3 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBC-ის „ბრილიანტის" ქამარს ფლობს, აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონია ამავე კატეგორიაში WBO-ის ვერსიით.

გარდა ამისა, ამერიკელ ჟურნალისტთა ასოციაციამ 2012 წლის ბრძოლად გამოაცხადა ფილიპინელი **მენი პაკიაოსა** და მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესის** დუელი, რომელიც 8 დეკემბერს გაიმართა და მექსიკელის გამარჯვებით დასრულდა.

წლის მწვრთნელად დასახელდა დონერის დამრიგებელი **რობერტ გარსია**.

■ ■ ■

სამწუხარო ინფორმაცია გავრცელდა ინდონეზიიდან. იუნიორებს შორის ქვეყნის ჩემპიონატზე გამართული ერთ-ერთი ბრძოლის დროს გარდაიცვალა 17 წლის მოკრივე **ტუბაგუს საკტი**. სიკვდილის მიზეზი ტვინში სისხლჩაქცევა გახდა. მერვე რაუნდში მოკრივემ გონება დაკარგა და ის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მერვე რაუნდის ბოლოს, საკტიმ ხელი მაღლა ასწია და ამით ანიშნა მსაჯებს, რომ აღარ აპირებდა ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ ამის შემდეგ თავში რამდენიმე მძიმე დარტყმა მიიღო, რეფერიმ კი ვერ შეძლო ამ სისასტიკის შეჩერება. მოკრივე რამდენიმე წამი ინარჩუნებდა წონასწორობას, შემდეგ კი გონება დაკარგა.

საკტისთვის ეს იყო მეშვიდე ბრძოლა კარიერაში. მის ანგარიშზე იყო ორი მოგება, ორი წაგება და ამდენივე ფრე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

# ბოლო რეპეტიცია გავლილია

სპეციალური სლალომით დასრულდა მსოფლიოს თასის ეტაპები ავსტრიის კიტცბუელსა და სლოვენიის მარიბორში და წინა დღეებისგან განსხვავებით, ამჯერად ბოლო ორი სტარტი მასპინძლების მოსალოდნელი გამარჯვებით დასრულდა.

კიტცბუელში დიდი დუელი იყო მოსალოდნელი ავსტრიელ **მარსელ ჰირშერსა** და გერმანელ **ფელიქს ნოიროიტერს** შორის. სწორედ ისინი არიან დღეისთვის საუკეთესო სლალომისტები მამაკაცებს შორის.

ჰირშერს წელს უკეთესი შედეგები აქვს და ლიდერობს საერთო ჩათვლას, მაგრამ ნოიროიტერმა შეძლო ვენგენში ავსტრიელის დამარცხება და მიუნხენშიც, პარალელური სლალომის ფინალშიც სწორედ ჰირშერს სძლია. და მაინც, ავსტრიელის სარისკო მანერამ და ბრწყინვალე მეორე ცდამ შანსი არ დაუტოვა გერმანელს. ასე რომ, მარსელმა გაზარდა თავისი უპირატესობა სლალომის ჩათვლაში.

ნოიროიტერმა, თავის მხრივ, უკვე მესამედ დაიკავა მეორე ადგილი და კიდევ ერთი პოდიუმი დაუმატა ორ გამარჯვებას. ფელიქსისთვის ეს არის საუკეთესო სეზონი კარიერაში, რასაც ვერ ვიტყვით **ივიცა კოსტელიჩზე**. თუმცა ხორვატმა სუპერკომბინაციაში შეძლო გამარჯვება, რომელიც კიტცბუელში ორი დღის განმავლობაში იმართებოდა. ამ წარმატებას ივიცამ სლალომში მესამე ადგილი დაუმატა. ასე რომ, ხორვატმა, შესაძლოა, კარგი ფორმა აკრიფოს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის.

აღვნიშნავთ სლალომში ოლიმპიური ჩემპიონის **ჯულიანო რაცოლის** მეოთხე ადგილს, რომელიც, როგორც იქნა, გამოვიდა ჩრდილიდან. იტალიელებმა შესანიშნავად ჩაატარეს პირველი ცდა (**სტეფანო გროსი** ლიდერი იყო პირველი დაშვების შემდეგ), მაგრამ ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა. **ბენიამინ რაიხი** 25-დან მეხუთე ადგილზე ამაღლდა, რითაც, სავარაუდოდ, გაიხალდა სასტარტო ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატის სლალომში.

### სლალომი

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:44.34; 2. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - +0.77; 3. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორვატია) - +0.93; 4. **ჯულიანო რაცოლი** (იტალია) - +1.01; 5. **ბენიამინ რაიხი** (ავსტრია) - +1.29; 6. **პატრიკ ტალერი** (იტალია) - +1.42...

### სუპერკომბინაცია

1. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორვატია) - 3:45.80; 2. **ალექსის პინტურო** (საფრანგეთი) - 3:47.06; 3. **ბლონდინ ტომან მერმილო** (საფრანგეთი) - 3:48.36; 4. **რომედ ბაუმანი** (ავსტრია) - 3:51.33; 5. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 3:51.55; 6. **ჩიეტილ იანსრუდი** (ნორვეგია) - 3:51.63...


ტინა მაზე

### საერთო ჩათვლა

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1035; 2. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 935; 3. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 750; 4. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 726; 5. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორვატია) - 650; 6. **ალექსის პინტურო** (საფრანგეთი) - 570...

■ ■ ■

გიგანტურ სლალომში მეორე ადგილით სლოვენიელი **ტინა მაზე** აშკარად იმედგაცრუებული ჩანდა, რადგან მშობლიურ ტრასაზე პირველობა გადაულოცა ყველაზე პრინციპულ მეტოქეს **ლინდსი ვონს**, რომელთანაც მაზეს არც ისე კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. ტინას რეაბილიტაცია სპეციალურ სლალომში ჰქონდა დაგეგმილი.

სეზონის ლიდერს ეს კარგად გამოუვიდა. არადა, არ შეიძლება ტინა ამ სახეობაში დომინატორად გამოვაცხადოთ – ის კარგია სლალომში, მაგრამ არის სახეობები, რომელშიც უკეთ გამოდის. მიუხედავად ამისა, მარიბორის ტრასა და მაყურებლის დიდი რაოდენობა, აშკარად დაეხმარა მაზეს ორივე ცდაზე საუკეთესო დროის ჩვენებაში. კონკურენტებს მის წინაალმდეგ არანაირი შანსი არ ჰქონდათ.

თავის მხრივ, დაძაბული გამოვიდა ბრძოლა პოდიუმისთვის. მეორე ადგილი საკმაოდ დამაჯერებლად შვედმა **ფრიდა ჰანსდოტერმა** დაიკავა, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი ავსტრიელმა **კატრინ ცეტელმა** მხოლოდ ერთი მეასედი წამით აჯობა **ვერონიკა ზუზულოვას**.

გენერალურ კლასიფიკაციაში ტინა მაზეს უპირატესობა **მარია რიშზე**, რომელიც პირველ ცდაზე გამოეთიშა ბრძოლას, 800 ქულას გადაცდა. სლოვენიელს უკვე 1654 ქულა აქვს და ყველანაირ რეკორდს ემუქრება.

### სლალომი

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1:33.68; 2. **ფრიდა ჰანსდოტერი** (შვედეთი) - +0.86; 3. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - +1.13; 4. **ვერონიკა ზუზულოვა** (სლოვაკეთი) - +1.14; 5. **მიხაელა კირხგასერი** (ავსტრია) - +1.53; 6. **ირენე კურტონი** (იტალია) - +1.62...

### საერთო ჩათვლა

1. **ტინა მაზე** (სლოვენია) - 1654; 2. **მარია რიში** (გერმანია) - 820; 3. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 740; 4. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 711; 5. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 704; 6. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერმანია) - 590...

● ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ესპანეთი ჩემპიონია!

ესპანეთის ნაკრებმა თავისი არსებობის ისტორიაში მეორედ მოიპოვა მამაკაცებს შორის მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ტურნირის მასპინძლებმა ეს ძალიან დამაჯერებლად გააკეთეს - ფინალში ქვა ქვაზე არ დატოვეს დანიის ნაკრებისგან, რომელსაც მანამდე რვიდან რვა მატჩი ჰქონდა მოგებული და ბუკმეიკერების ფავორიტადაც მიიჩნეოდა. თან არც ის უნდა დაგვევიწყებინა, რომ ბოლო სამ დიდ სპორტულ ფორუმზე, დანიას ზედიზედ სამჯერ ჰყავდა დამარცხებული ესპანეთი.

როგორც გაირკვა, დანიისთვის გადაულახავი აღმოჩნდა მეტოქის მოედნის ფაქტორი, რასაც ესპანელთა ფანტასტიკური განწყობაც დაემატა. მატჩი სკანდინავიელებისთვის ძალიან ცუდად დაიწყო: ზედიზედ სამი გაშვებული ბურთი. სიტუაცია დროულად აღებულმა ტაიმ-აუტმა შეცვალა, რის შემდეგაც დანიამ ორი გოლი გაიტანა. დაიწყო ბურთი ბურთზე თამაში: ევროპის მოქმედი ჩემპიონი ინარჩუნებდა მინიმალურ ჩამორჩენას, მაგრამ ვერაფრით ახერხებდა ანგარიშის გათანაბრებას. ესპანელთა გაქცევა 21 წუთიდან დაიწყო, როცა დანიელთა კარში ზედიზედ ოთხი უპასუხო ბურთი გავიდა. 13:8-ზე დანიამ ისევ აიღო ტაიმ-აუტი, მაგრამ ამან უკვე ველარ უშველა ფავორიტს. შესვენებისთვის დაფიქსირდა ფინალისთვის არადამახასიათებელი ანგარიში - 18:10.

მეორე ტაიმში დანიამ პირველმა გაიტანა, მაგრამ ამას მოჰყვა მორიგი კოშმარი - 18:11 დახლოებით ათ წუთში 26:11-ად გადაიქცა. 8:0 გაქცევამ გადაწყვიტა ოქროს მედლის ბედი. ტრიბუნებმა ზეიმი მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე დაიწყეს. ესპანელმა ხელბურთელებმაც გულშემატკივრების ბოლომდე გახარება გადაწყვიტეს და სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა, რომელმაც, საბოლოოდ, 16 ბურთს მიაღწია - 35:19. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ფინალურ მატჩებში ასეთი სხვაობა არასოდეს დაფიქსირებულა.

### სიმბოლური ნაკრები

**მეკარე:** ნიკლას ლანდინი (დანია)
**მარცხენა ფრთა:** ტიმურ დიბიროვი (რუსეთი)
**მარცხენა ინსაიდი:** ალბერტო ენტრერიოსი (ესპანეთი)
**გამთამაშებელი:** დომაგოი დუვნიაკი (ხორვატია)
**ხაზი:** იულენ აგინაგალდე (ესპანეთი)
**მარჯვენა ინსაიდი:** ლასლო ნადი (უნგრეთი)
**მარჯვენა კუთხე:** ჰანს ლინდბერგი (დანია)
**ტურნირის MVP:** მიკელ ჰანსენი (დანია)
**საუკეთესო ბომბარდირი:** ანდერს ეგერტი (დანია) - 55

● ავტოსპორტი

# დიდი და პატარა შუმი: ერთად ტესტზე

ლეგენდარულმა **მიხაელ შუმახერმა** მონაწილეობა მიიღო კომპანის Tony Kart-ის ახალი სპორტული კარტების ტესტებში, რომელიც იტალიის ჩრდილოეთით, ქალაქ ლონატოს ტრასაზე გაიმართა. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა Racer EVK-ის ახალი შასი გამოსცადა.

მიხაელთან ერთად, ტესტებში მონაწილეობა მიიღო კარტინგში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **ფლავიო კომპანეშიმ**, აგრეთვე Tony Kart-ის დებიუტანტმა, 13 წლის **მიკ ბეტჩმა**. სინამდვილეში, ამ ბიჭის ნამდვილი გვარია შუმახერი და ლაპარაკია ლეგენდის ვაჟზე (ბეტჩი - მიხაელის მეუღლის - კორინას ქალიშვილობის გვარია). თუმცა უმცროსი შუმახერი ჯერჯერობით დაბალი კატეგორიის კარტს იყენებს, სადაც მკაცრად არის შეზღუდული ძრავის სიმძლავრე.

სხვათა შორის, ესპანურმა გაზეთმა El Mundo Deportivo-მ დაწერა, რომ ტესტების შემდეგ, Tony Kart-სა და უფროს შუმახერს შორის გაფორმდა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ფორმულა 1-ის ყოფილი ჩემპიონი 2013 წელს მონაწილეობას მიიღებს კარტინგის სტარტებში. თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დადასტურებულა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მიხაელ შუმახერი




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია თვალაბეიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოძვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608